AMERICAN UNIVERSITY

Transnational Crime and
Corruption Center (TraCCC)
Georgia Office

TraCCC
Georgia Office

ტრანსნაციონალური დანაშაულისა
და კორუფციის კვლევითი ცენტრი
საქართველოს ოფისი

ქეთევან როსტიაშვილი

# კორუფციის პრობლემები საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

ფონდი STARR და IREX

თბილისი
2004

ნაშრომი ეხება კორუფციის პრობლემებს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში. ქართული თუ საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციათა მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზებულია განათლების სისტემაში არსებული უახლესი ტენდენციები. ნაშრომის დიდი ნაწილი ეთმობა სპეციალურად ამ გამოკვლევისთვის ჩატარებული 60 ინტერვიუს მასალების ანალიზს.

სარედაქციო კოლეგია:

პროფესორი ლუიზა შელი, პროფესორი გიული ალასანია,
ერიკ სკოტი, ანდერს ლინჩი, შოთა პაპავა, ირინე კაკოიაშვილი

წინამდებარე ნაშრომი შესრულებულია STARR-ისა და IREX-ის ფონდების ფინანსური მხარდაჭერით და აგრეთვე ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევითი ცენტრის (TraCCC) საქართველოს ოფისის გრანტების პროგრამის ფარგლებში, რომელსაც აფინანსებს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ნარკოტიკებისა და სამართალდამცავი ორგანოების საქმეთა სახელმწიფო ბიურო (INL) აშშ იუსტიციის დეპარტამენტის კოორდინაციით (DOJ/OPDAT).

ქეთევან როსტიაშვილი არის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევითი ცენტრის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი.

© ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულისა
და კორუფციის კვლევითი ცენტრის საქართველოს ოფისი, ფონდი STARR და IREX

© დაიბეჭდა შპს "პოლიგრაფში", თბილისი, 26 მაისის მოედანი, № 2

ISBN 99928 – 0 – 831 – 4

AMERICAN UNIVERSITY

TraCCC
Georgia Office

Transnational Crime and
Corruption Center (TraCCC)
Georgia Office

ტრანსნაციონალური დანაშაულისა
და კორუფციის კვლევითი ცენტრი
საქართველოს ოფისი

Ketevan Rostiashvili

# Problems of Corruption in Higher Education System of Georgia

Starr Foundation and IREX

Tbilisi
2004

This publication is about corruption in the higher education system of Georgia. Using materials from international and Georgian governmental/non-governmental organizations, this article analyzes recent tendencies in the higher educational sector of Georgia. Especially for this publication, 60 interviews were conducted in Tbilisi and a significant portion of the article analyzes these results.

**EDITORIAL BOARD:**

**Dr. Louise Shelley, Johanna Wilson Dadiani, Erik Scott, Anders Lynch, Shota Papava.**

This research project was conducted within the framework of the Georgia Office of the American University's Transnational Crime and Corruption Center (TraCCC)'s grant program. Financial support was provided by: the Bureau of International Narcotics and Law Enforcement Affairs of the U.S. Department of State, in coordination with the Office of Overseas Prosecutorial Development Assistance and Training (DOJ/OPDAT) of the U.S. Department of Justice; as well as the Starr Foundation, IREX and Political Science Center of Tbilisi State University.

Ketevan Rostiashvili is Director of the American University's Transnational Crime and Corruption Center (TraCCC) Georgia Office and Senior Fellow at the Political Science Center of Tbilisi State University. She received her Ph.D in history and second dissertation in political science. She is the author of numerous publications in the field of US and Georgian history and politics. She can be contacted at office@traccc.cdn.ge.

**© American University's Transnational Crime and Corruption Center (TraCCC) Georgia Office, Starr Foundation and IREX**

**© Printed by Polygraph**
**2, 26 May Square, Tbilisi, Georgia**

**ISBN 99928-0-831-4**

## ნაშრომის შესახებ

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება: უმაღლესი განათლების სისტემაში, კერძოდ, განათლების სამინისტროსა და წამყვან სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში კორუფციის პრობლემების ანალიზს; სისტემაში არსებული კორუფციის სპეციფიკის შესწავლასა და რეკომენდაციების შემუშავებას, რომელთა საშუალებითაც მოხერხდება უმაღლესი განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება. ნაშრომში ფართოდ არის გამოყენებული: საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა; სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების დოკუმენტები; ქართული და უცხოური პრესის მასალები; სამეცნიერო ნაშრომები კორუფციისა და უმაღლესი განათლების პრობლემების შესახებ.; სპეციალურად ამ გამოკვლევისათვის ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის (60 ჩაღრმავებული ინტერვიუს) შედეგების ანალიზი.

## ძირითადი დასკვნები

უმაღლესი განათლების სისტემის ფუნქციონირება დღესდღეობით მხოლოდ ნეგატიურად შეიძლება შეფასდეს. მას ახასიათებს: ზნეობრივი ღირებულებებისა და ქცევის ნორმების დაკნინება; სწავლისა და სწავლების მეტად დაბალი დონე; პროფესორ-მასწავლებელთა ძირითადი ნაწილის სიღატაკე; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიდუხჭირე; სპეციალისტების მომზადების დაბალი ხარისხი; შეუსაბამობა უმაღლესი განათლების სისტემისა და შრომის ბაზრის მოთხოვნილებებს შორის; ახალგაზრდა სპეციალისტთა უმუშევრობის მაღალი დონე; კორუფციის გავრცელება უმაღლესი განათლების მართვისა თუ სწავლების ყველა რგოლში.

კორუფცია უმაღლესი განათლების სისტემაში გამოწვეულია პრობლემათა სამი ძირითადი წყებით:

მართვის ზეცენტრალიზებული სისტემა, დაფუძნებული ლოიალურ ქვეშევრდომთა ინსტიტუტზე, ფუნქციონირებდა როგორც სამთავრობო დონეზე, ისე უმაღლეს სასწავლებლებში, რაც რუსეთის იმპერიის მართვის სისტემას უკავშირდება. ეს სისტემა კი, თავის მხრივ, მართვის პრუსიულ მოდელზე იყო დამყარებული, რომელიც მოდერნიზებული სახით დამკვიდრდა საბჭოთა კავშირის განათლების სისტემაში და დღესაც უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს საქართველოში;

სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკა, რომელიც აკანონებდა პროფესიონალთა, მათ შორის, პროფესორ-მასწავლებლების სიღატაკესა და სიდუხჭირეს;

ფსიქოლოგიური ტრადიცია, რომელიც ამკვიდრებდა ნათესავ-მეგობრების ინსტიტუტის პრიორიტეტს პროფესიონალიზმისა და დამსახურებათა პრინციპის უგულებელყოფის ხარჯზე. ეს კი, თავის მხრივ, იწვევდა საზოგადოებრივი ინტერესების ხელყოფის ხარჯზე ინდივიდუალური თუ ჯგუფური კეთილდღეობის მენტალიტეტის სწრაფ გავრცელებას ქვეყანაში.

საკითხთა ამ სამი ჯგუფის ერთობლიობა უმაღლესი განათლების სისტემაში განაპირობებს სწავლების მიუღებელ დაბალ დონეს და კორუფციის არსებობას წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში. საქართველოში ამჟამად მიმდინარეობს დემოკრატიული ინსტიტუტების სრულყოფისა და უმაღლესი განათლების სისტემის დახვეწის პროცესი.

## ძირითადი რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტმა სათანადო განხილვის შემდეგ უმოკლეს ვადაში უნდა მიიღოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი უმაღლესი განათლების შესახებ;

სამართალდამცავმა ორგანოებმა ობიექტურად უნდა შეისწავლონ უმაღლეს სასწავლებლებში არსებული ფინანსური თუ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენახვის დარღვევები და პასუხისგებაში მისცენ ის პირები, ვინც წლების განმავლობაში ბოროტად იყენებდა თანამდებობას ან გულგრილად ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობებს;

უნდა მოხდეს კონტროლის პალატის რეფორმირება, იქ არსებული კორუფციული სისტემის აღმოფხვრა;

უმაღლეს სასწავლებლების დონეზე აუცილებელია მართვის დეცენტრალიზაცია;

კადრების შერჩევა უნდა ხდებოდეს არა ადმინისტრაციისადმი ლოიალურობის პრინციპით ან ნაცნობობით, არამედ ღია და ობიექტური კონკურსის წესით; საკადრო პოლიტიკის გატარებისას უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაცია ორიენტირებული უნდა იყოს საუკეთესო პროფესორ-მასწავლებლების მოზიდვაზე და არა უმწეო, ძველი, საბჭოური მენტალიტეტის მქონე პედაგოგებისთვის სამუშაო ადგილების შენარჩუნებაზე;

უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაცია უნდა იზიდავდეს საუკეთესო მენეჯერებს, რათა მოკლე ვადებში მოხდეს არსებული თანხების ოპტიმალური გამოყენება და დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა;

სისტემატურად უნდა ხდებოდეს სტუდენტთა აზრის გაზიარება, მათი სამართლიანი მოთხოვნების შესწავლა და დაკმაყოფილება;

უნდა შეიქმნას პროფესორ-მასწავლებელთა ეროვნული ასოციაცია. მისი ძირითადი დანიშნულება იქნება სპეციალისტებისთვის დახმარების გაწევა, თითოეული უმაღლესი სასწავლებლის ბაზაზე შექმნან მსგავსი ასოციაციები, რომლებიც, თავის მხრივ, გაერთიანდებიან ეროვნულ ასოციაციაში. ამ ასოციაციებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ უმაღლესი განათლების სისტემაში ახალი ზნეობრივი პრინციპების დანერგვაში, რაც მნიშვნელოვანი ბერკეტი გახდება კორუფციასთან, პროტექციონიზმთან, პლაგიატის ინსტიტუტთან და სხვა არსებულ ხარვეზებთან საბრძოლველად. აღნიშნული ასოციაციები უნდა გახდეს უმაღლესი განათლების დაწესებულებების ადმინისტრაციათა ძირითადი მაკონტროლებელი ძალა. ამ ასოციაციებმა უნდა დაიცვან შესაბამის სოციალურ ჯგუფთა პროფესიული ინტერესები. მათ უნდა დაამყარონ პროფესიული კონტაქტები და ხელი შეუწყონ სპეციალისტებისა და სტუდენტების თანამშრომლობას მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებთან;

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოციალურ მეცნიერებათა განვითარებას, ვინაიდან ეს რგოლი ტრადიციულად ყველაზე სუსტად, დამახინჯებულად ვითარდებოდა, როგორც საბჭოთა, ისე გარდამავალ პერიოდში. ამ დარგში არსებული ხარვეზები მოითხოვს რადიკალურ ცვლილებებს სპეციალისტთა მომზადების საქმეში.

# სარჩევი


წინასიტყვაობა ..... 9
შესავალი ..... 11
პრობლემის არსი ..... 11
მოხსენების ძირითადი მიზნები: ..... 12
მეთოდოლოგია ..... 12
ისტორიული მიმოხილვა ..... 13
დარგის სტატისტიკური მახასიათებლები ..... 16
მოსახლეობის განათლების დონე ..... 16
უმაღლესი სასწავლებლებისა და სტუდენტების რაოდენობა და ზრდის ტემპები ..... 16
დასაქმებულთა რაოდენობა ..... 17
მოსახლეობის პირდაპირი და ირიბი მონაწილეობა ..... 17
პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობა ..... 18
უმუშევრობა ..... 18
საბიუჯეტო დაფინანსება ..... 19
ანაზღაურება ..... 20
სიღარიბის ზღვარი ..... 20
შავი ბაზრის წილი ..... 21
საკანონმდებლო ბაზა ..... 22
მოქმედი კანონმდებლობის ხარვეზები ..... 22
კანონპროექტის დადებითი და უარყოფითი მხარეები ..... 27
ახალი კანონპროექტის დადებითი და უარყოფითი მხარეები ..... 28
კორუფცია წამყვან საგანმანათლებლო ინსტიტუტებში ..... 30
განათლების სამინისტრო ..... 30
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ..... 32
კონტროლის პალატის მასალების ხარვეზები ..... 33
მასმედია და სხვა კვლევები ..... 34
სოციოლოგიური გამოკითხვის დასკვნები ..... 35
რესპუბლიკაში არსებული კორუფციის შესახებ ..... 36
კორუფციის მასშტაბები საქართველოში ..... 36
ყველაზე კორუმპირებული ორგანიზაციები ..... 36
ყველაზე კორუმპირებული სოციალური ჯგუფი ..... 36
კორუფციის მიზეზები ..... 37
ქვეყნის მართვის ისტორიული გამოცდილება ..... 37
ცხოვრების წესის სპეციფიკა ..... 38
ყოველდღიური რეალობა ..... 39
კორუფციის სოციალურ-ეკონომიკური მოტივები ..... 39
კორუფციის შედეგები ..... 39
კორუფციის დინამიკა ..... 40
პროტესტის გამოხატვის ტრადიცია ..... 41
კორუფცია უმაღლესი განათლების სისტემაში ..... 44
ყველაზე კორუმპირებული სოციალური ჯგუფი ..... 45
კორუფციის მიზეზები უმაღლეს სასწავლებლებში ..... 46
კორუფციის ფორმები უმაღლეს სასწავლებლებში ..... 47
მისაღები გამოცდებისათვის მომზადება ..... 47
მისაღები გამოცდები ..... 48
მექრთამეობა ..... 49
შუამავლის ინსტიტუტი ..... 51
ლექტორების მიერ წიგნების იძულებითი რეალიზაცია ..... 52
კორუფცია საერთაშორისო ორგანიზაციებში ..... 52
კორუფცია საერთაშორისო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში ..... 53
პროტესტი ..... 53

დასკვნა .......... 56
რეკომენდაციები .......... 58
შენიშვნები .......... 60
დანართი 1 (განათლების სექტორის სტატისტიკური მახასიათებლები) .......... 62
ცხრილი 1. მოსახლეობის განათლების დონე .......... 62
ცხრილი 2. არასახელმწიფო საერო (ფასიანი) უმაღლესი სასწავლებლები .......... 63
ცხრილი 3. სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები და სტუდენტთა რიცხოვნობა სწავლების სახეების მიხედვით .......... 64
ცხრილი 4. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი დარგების მიხედვით .......... 65
ცხრილი 5ა. დასაქმებულების განაწილება ეკონომიკის დარგების მიხედვით .......... 66
ცხრილი 5ბ. დასაქმებულების განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით .......... 67
ცხრილი 5გ. დასაქმებულების განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით .......... 68
ცხრილი 6. მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობა ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით .......... 69
ცხრილი 7. უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა .......... 70
ცხრილი 8. დასაქმების სამსახურებში რეგისტრირებული უმუშევრების რიცხოვნობის განაწილება განათლების დონის მიხედვით .......... 71
ცხრილი 9. დასაქმების სამსახურებში რეგისტრირებული უმუშევრების რიცხოვნობის განაწილება ასაკის მიხედვით .......... 71
ცხრილი 10. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი .......... 72
ცხრილი 11ა. ეკონომიკის დარგებში დასაქმებულების საშუალო ყოველთვიური ნომინალური ხელფასი .......... 74
ცხრილი 11ბ. ეკონომიკაში დასაქმებულების საშუალო ყოველთვიური ნომინალური ხელფასი ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით .......... 75
ცხრილი 11გ. ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით დასაქმებულების საშუალო ყოველთვიური ნომინალური ხელფასის შეფარდება მთლიანად ეკონომიკაში დასაქმებულების საშუალო ყოველთვიურ ნომინალურ ხელფასთან .......... 76
ცხრილი 12. სამუშაო ძალაზე გაწეული დანახარჯები ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით .......... 77
ცხრილი 13. სიღარიბის აბსოლუტური და ფარდობითი ზღვრები .......... 79
ცხრილი 14. მოსახლეობის საშუალო ყოველთვიური შემოსავლები .......... 81
ცხრილი 15. მოსახლეობის საშუალო ყოველთვიური ხარჯები ქალაქად და სოფლად .......... 82
ცხრილი 16. საშუალო ყოველთვიური შემოსავლები ერთ სულზე ქალაქად და სოფლად .......... 83
ცხრილი 17. საშუალო თვიური ხარჯები ერთ სულზე ქალაქ/სოფლის მიხედვით .......... 84
ცხრილი 18. საქართველოში რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა .......... 85
დანართი 2 (განათლების სამინისტროს კონტროლის პალატის აუდიტის შესახებ) .......... 86
დანართი 3 (განათლების სამინისტროს სამოქალაქო მონიტორინგის შესახებ) .......... 93
დანართი 4 (კონტროლის პალატის მოხსენებითი ბარათი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტის შესახებ) .......... 97
დანართი 5 (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის წერილი კონტროლის პალატის ხელმძღვანელისადმი) .......... 101
დანართი 6 (ფოტოები) .......... 103
დანართი 7 (სოციოლოგიური გამოკითხვის თემები) .......... 136
დანართი 8 (საერთაშორისო გამოცდილება) .......... 144
ბიბლიოგრაფია .......... 145

# წინასიტყვაობა

კორუფციის საკითხების შესწავლა უმაღლესი განათლების სისტემაში ქართველ მეცნიერთა ინიციატივაა, რომელსაც მხარი დაუჭირა ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ლუიზა შელიმ. ამ კვლევით ასევე დაინტერესდნენ ამერიკული ორგანიზაციები: „IREX" და ფონდი „STAR", რომლებმაც დააფინანსეს აღნიშნული ნაშრომი.

პრაქტიკულად, წინამდებარე კვლევა წარმოადგენს საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში არსებული კორუფციის სისტემური ანალიზის ერთ-ერთ პირველ ცდას. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ აღნიშნული თემა მეტად მრავალმხრივი და რთულია, ხოლო წარმოდგენილი ნაშრომი მხოლოდ ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია უმაღლესი განათლების სისტემაში კორუფციის პრობლემების შესწავლისა და დაძლევის საქმეში.

წინამდებარე მოხსენების მთავარი მიზანია, ქართველ და უცხოელ მკითხველს გააცნოს ამ სექტორში არსებული რეალური ვითარება და საჯარო განხილვისა და კამათის საფუძველზე ეძიოს გზები არსებული ვითარების გამოსასწორებლად, რაც საშუალებას მოგვცემს, შევქმნათ თანამედროვე მსოფლიო მიღწევებზე ორიენტირებული განათლების სისტემა.

გამოკვლევა მომზადდა 2003 წელს. მართალია, დღესდღეობით რესპუბლიკაში არსებული ვითარება ძირითადად შეცვლილია, მაგრამ ვინაიდან მოხსენებაში აღწერილი კორუფციის სისტემა დღემდე შენარჩუნებულია, მიგვაჩნია, რომ ნაშრომი კვლავ აქტუალურია და იმსახურებს საზოგადოების ყურადღებას.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, თქვენი მოსაზრებები, შეკითხვები თუ რჩევები მოგვაწოდოთ ელექტრონული ფოსტით: office@traccc.cdn.ge, ფაქსით: 22-44-49 ან ტელეფონებით: 91-23-42, 91-25-79.

* * *

ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევითი ცენტრის საქართველოს ოფისი საინტერესო მასალების მოწოდებისათვის დიდ მადლობას უხდის პარტნიორი ორგანიზაციების: კონტროლის პალატის, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის, საერთაშორისო გამჭვირვალობის, „ღია საზოგადოება-საქართველოს" ხელმძღვანელებს.

დიდ მადლობას ვუხდით იმ სტუდენტებს, მშობლებსა და ექსპერტებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სპეციალურად ამ ნაშრომისათვის ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკითხვაში.

მადლობას ვუხდით ექვსი წევრისაგან შემდგარ სპეციალისტთა ჯგუფს ბატონ გურამ სვანიძის ხელმძღვანელობით, რომელმაც ჩაატარა აღნიშნული გამოკითხვა.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ დოქტორ ლუიზა შელის, რომელიც კოორდინაციას უწევდა კვლევას საქართველოსა და უკრაინის უმაღლესი განათლების სისტემებში არსებული კორუფციის შესახებ.

მადლობას ვუხდით ასევე ფონდების "STARR"-ისა და "IREX"-ის ხელმძღვანელებს, რომელთა მხარდაჭერითაც მომზადდა წინამდებარე გამოკვლევა.

დიდ მადლობას ვუხდით აშშ-ს საელჩოს საქართველოში ყურადღებისა და მორალური მხარდაჭერისათვის.

ასევე დიდ მადლობას ვუხდით ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გიული ალასანიას, ფილოლოგებს, ირინა კაკოიაშვილსა და ეფემია ლორიას შენიშვნების, რჩევებისა და შესწორებებისათვის, გაწეული შრომისათვის ტექსტის რედაქტირების პროცესში.

# შესავალი

## პრობლემის არსი

ნებისმიერი ერის წარმატებული მომავალი დამოკიდებულია განათლების სისტემის სწორ მოწყობასა და ფუნქციონირების მაღალ ხარისხზე. იმ ქვეყნებში, სადაც ეფექტიანია განათლების სისტემა, შესაბამისად, ჯანსაღია სახელმწიფოს ყველა წამყვანი ინსტიტუტი, მათ შორის, ეროვნული უშიშროების, სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოები, წარმატებით ვითარდება ბიზნესი და თვითმმართველობა. უმაღლესი განათლების სისტემაში გავრცელებული კორუფცია კი აფერხებს და ანადგურებს ერის ჯანსაღი განვითარების პროცესს, მის უნარს, დაიცვას ეროვნული იდეალები და რაციონალურად მართოს სახელმწიფო.

მაღალგანვითარებულმა სახელმწიფოებმა განათლების გაცილებით ნაყოფიერი სისტემა შექმნეს, ვიდრე განვითარებადმა ქვეყნებმა. უფრო რთულია, თითქმის შეუძლებელია განათლებული საზოგადოების ცუდად, ბოროტად მართვა, ვიდრე ნაკლებად განათლებულისა. სწორედ ამიტომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განსაკუთრებით იცავს განათლების მიღების უფლებას და მას აცხადებს ადამიანის ღირსების დაცვის ტოლფასად. გაეროს 1966 წლის 16 დეკემბრის 2200ა (XXI), რეზოლუციაში (ძალაში შევიდა 1976 წლის 3 იანვარს) ნათქვამია: „განათლება უნდა ეხმარებოდეს ადამიანს მისი პიროვნებისა და ღირსების შეგრძნების განვითარებაში, აძლიერებდეს პატივისცემას ადამიანთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისადმი".[1] ამავე რეზოლუციაში გაცხადებულია ადამიანთა საყოველთაო უფლება განათლებაზე.

ევროგაერთიანების ქვეყნები აქტიურად მუშაობენ იმაზე, რომ, სავარაუდოდ, 2010 წლისათვის შეიქმნას უმაღლესი განათლების ერთიანი სივრცე. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან ნაბიჯად ითვლება ევროსაბჭოს წევრი-ქვეყნების მიერ მიღებული განათლების დამადასტურებელი სერთიფიკატების, დიპლომებისა თუ ხარისხების ცნობა, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოებს შორის აკადემიურ თანამშრომლობას. ეს პროცესი მეტად პერსპექტიულია და მომავალში მოიაზრება, როგორც მსოფლიო მასშტაბის ტენდენცია. ევროპის თანამეგობრობას მიაჩნია, რომ: „უმაღლესი განათლება უნდა განიხილებოდეს, როგორც საზოგადოებრივი სიკეთე, რომელზე პასუხისმგებლობაც ეკისრება თვით საზოგადოებას".[2]

საქართველო, როგორც კავკასიის გეოსტრატეგიული ცენტრი, ახლა იწყებს ლიბერალური დემოკრატიის ღირებულებებზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბებას, ევროპულ და მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრირებას.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა ჯერ კიდევ შორსაა სწავლებისა და თვით სწავლის პროცესის დასავლური სტანდარტებისაგან. ყველაზე სერიოზული პრობლემაა მთლიანი საგანმანათლებლო სისტემის არაეფექტური მართვა და ამ სფეროში არსებული კორუფცია.

**მოხსენების ძირითადი მიზნები:**

- უმაღლესი განათლების სისტემაში, კერძოდ, განათლების სამინისტროსა და წამყვან სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში არსებული ვითარების ანალიზი;
- სისტემაში არსებული კორუფციის სპეციფიკის შესწავლა;
- რეკომენდაციების შემუშავება, რომელთა საშუალებითაც მოხერხდება უმაღლესი განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება.

**ნაშრომის მომზადებისას გამოყენებული მასალები:**

- გაეროსა და ევროგაერთიანების დოკუმენტები;
- საქართველოს კანონმდებლობა განათლების შესახებ და ახალი საკანონმდებლო პროექტები უმაღლესი განათლების შესახებ;
- საქართველოს სამთავრობო ორგანიზაციების დოკუმენტები: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ყოველწლიური მონაცემები, კონტროლის პალატის ანგარიშები;
- საქართველოს არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მოხსენებები;
- ქართული და უცხოური პრესის მასალები;
- საქართველოსა და უცხოეთში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები კორუფციისა და უმაღლესი განათლების პრობლემების შესახებ;
- სპეციალურად ამ გამოკვლევისათვის ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების ანალიზი.

## მეთოდოლოგია

მოხსენება ემყარება სტრუქტურულ-ფუნქციურ და ინსტიტუციურ მეთოდოლოგიას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია შესასწავლი ობიექტის მრავალმხრივი ანალიზი. ჩვენს შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო, შეგვესწავლა უმაღლესი განათლების სისტემა, როგორც ერთიანი, რთული ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანებულია არა მარტო სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლები, არამედ განათლების სამინისტროც მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურებით. ეს სისტემა ნაშრომში განხილულია საქართველოში მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული პროცესების ფონზე.

სპეციალურად იქნა შესწავლილი და გაანალიზებული მოსახლეობის აზრი საქართველოში, კერძოდ, უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული კორუფციის შესახებ. ამ მიზნით ჩატარდა 60 ჩაღრმავებული ინტერვიუ თბილისის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების, ასევე განათლების სამინისტროს ექსპერტებთან,

სტუდენტებთან და მშობლებთან. ჩაღრმავებული ინტერვიუ არის თვისებრივი სოციოლოგიური გამოკვლევის ტიპი. ამ მეთოდით მიღებულ შედეგებს არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია რეპრეზენტატულობაზე, ანუ მიესადაგოს მთელ შესასწავლ ობიექტს. ამდენად,მიღებული დასკვნები შეიძლება ატარებდეს მხოლოდ ჰიპოთეზურ ხასიათს და გამოითქვას ვარაუდის ფორმით. ცხადია, ნებისმიერ ჰიპოთეზას სჭირდება ვერიფიკაცია. სოციოლოგიაში ეს ფუნქცია ეკისრება რაოდენობრივ კვლევებს. თუმცა რაოდენობრივი კვლევის შედეგებსაც არ შეიძლება ჰქონდეს იურიდიული დოკუმენტის ძალა. იგი მხოლოდ ადგენს მოცემულ ეტაპზე საზოგადოებრივი აზრის დონეზე არსებულ ობიექტურ ტენდენციებს, მაშინ, როდესაც თვისებრივი კვლევა ააშკარავებს ტენდენციებს, რომლებიც, შესაძლოა, არსებობდეს საზოგადოებაში, თუმცა არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რომელი ტენდენციაა დომინანტური.

სოციოლოგიური გამოკითხვისას გამოიყენებოდა "თოვლის გუნდის" მეთოდი, რომელიც ეფუძნება ცალკეულ გამოკითხულ პირთა რეკომენდაციას, თუ ვინ შეიძლება გახდეს შემდგომი გამოკითხვისთვის საინტერესო რესპონდენტი, რაც ხელს უწყობს გამოკითხულთა სიის სწრაფ ზრდას (თოვლის გუნდის მსგავსად).

ვინაიდან უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული კორუფცია უშუალო შედეგია ქვეყანაში არსებული კორუმპირებული სისტემის, საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ რესპონდენტებთან საუბრის დროს გამოგვეყო ორი ჯგუფის პრობლემები: პირველი ჯგუფი უკავშირდებოდა კორუფციას რესპუბლიკაში, მეორე – კორუფციას უმაღლესი განათლების სისტემაში. ჩვენ გვაინტერესებდა, თუ რამდენად დააკავშირებდნენ რესპონდენტები ერთმანეთთან ამ ორ მოვლენას, რომელ ნიშან-თვისებებს გამოყოფდნენ, როგორც საერთოს და კერძოს, რა ღირებულებები იქნებოდა მათთვის განმსაზღვრელი სისტემის დახასიათებისას.

რესპონდენტებისგან მაქსიმალური გულახდილობის მისაღწევად ინტერვიუები ტარდებოდა ანონიმურად. ფიქსირდებოდა მხოლოდ მათი სახელი. მოხსენებაში კორუფცია განხილულია, როგორც "მინიჭებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენება კერძო სარგებლის მისაღებად". ეს განსაზღვრება მოიცავს კორუფციას როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში, მათი მართვის ყველა დონეზე.*

## ისტორიული მიმოხილვა

საბჭოური განათლების საკმაოდ წარმატებული სისტემა ეფუძნებოდა განათლების პრუსიულ მოდელს, რომელიც ორიენტირებული იყო სწავლების და არა შესწავლის პროცესის ღირებულებაზე და მართვის ცენტრალიზებულ სტრუქტურაზე.

ამ სისტემის მეშვეობით საბჭოთა კავშირში და, შესაბამისად, საქართველოშიც აღმოფხვრილი იყო წერა-კითხვის უცოდინრობა. მიღწეული იყო საზოგადოების საერთო განათლების საკმაოდ მაღალი დონე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მიღწევები შეიმჩნეოდა ფუნდამენტურ მეცნიერებათა დარგებში. მაგრამ სისტემის უმთავრესი ნაკლი გახლდათ ის, რომ იგი ორიენტირებული იყო სწავლებაზე და

* Transparency International, Global Corruption Report 2003. (2003), p.IX.

არა შესწავლასა და ანალიზზე. ამას ემატებოდა ისიც, რომ საბჭოთა სწავლების მეთოდი მოქცეული იყო მკაცრად განსაზღვრულ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში, რაც განსაკუთრებულ ზიანს აყენებდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ისეთ დარგებს, როგორიცაა: ისტორია, იურისპრუდენცია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია და სხვ. მეტად რთული იყო იდეოლოგიური ბარიერების გარღვევა და ორიგინალური ნაშრომების შექმნა, რომლებიც ქვეყანაში რეალურად არსებულ ვითარებას ასახავდა. ეს მეცნიერებები პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებშიც დღესაც არ არის სათანადოდ განვითარებული. როგორც აღვნიშნეთ, მეტად სუსტია ან საერთოდ არ არსებობს შემეცნებასა და ანალიზზე ორიენტირებული სწავლების ტრადიცია, თუმცა ცალკეულ რესპუბლიკებში შეიმჩნევა გარკვეული წინსვლა.

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სუსტად განვითარებამ ნეგატიურად იმოქმედა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზეც, რომელიც გულისხმობს აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე პიროვნებების ჩამოყალიბებას და მათ ეფექტიან ზემოქმედებას მთავრობასა და მმართველობის ფორმებზე, მაშინ, როდესაც პასიური საზოგადოება ადვილად ეგუება ცხოვრების ნებისმიერ სფეროში მთავრობის მიერ "ორგანიზებულ ქაოსსა" და კორუფციის არსებობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ შექმნა ქვეყნის მმართველობისა და მისი განათლების ზეცენტრალიზებული სისტემა. განათლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი, როგორც წესი, განიხილებოდა უმაღლეს სამთავრობო დონეზე და უგულებელყოფდა მმართველობის საშუალო თუ დაბალ საფეხურზე არსებულ ინიციატივას.

განათლების სისტემას, ისე, როგორც მთელ ქვეყანას, დიდ ზიანს აყენებდა დასმენის ინსტიტუტი. ბოლშევიკურმა, შემდგომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ შემოიღო მთელ საზოგადოებაში გავრცელებული სპეცსამსახურის აგენტთა სისტემა, რომელსაც ევალებოდა საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს ნებისმიერ სექტორში არსებული ვითარების შესწავლა და არაფორმალური კონტროლი. საიდუმლო სამსახურის ქსელი ფუნქციონირებდა უმაღლეს საგანმანათლებლო ორგანიზაციებშიც. ეს საიდუმლო სტრუქტურები პრაქტიკულად აკონტროლებდა არა მარტო უმაღლესი სკოლების ადმინისტრაციას, არამედ თითოეულ ფაკულტეტსა და კათედრას, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებსა და მომსახურე პერსონალს. ინფორმაცია პროფესორ-მასწავლებელთა თუ სტუდენტთა განწყობის, სწავლების მეთოდების, ურთიერთობების სპეციფიკისა და მათი ინტერესების შესახებ მიეწოდებოდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სათანადო სამსახურებს. პრაქტიკულად, სწორედ ამ სისტემამ წარმოშვა სწავლების დახურული და ფორმალური სახე, აზრის გამოხატვის, მით უმეტეს, ანალიზისა და თავისუფალი აზროვნების მეტად შეზღუდული სისტემა. უმაღლეს სასწავლებლებში დომინირებდა ე.წ. სტერილური იდეოლოგიური გარემო, რამაც სერიოზულად შეაფერხა მეცნიერების განვითარება.

მეორე მხრივ, საგანმანათლებლო მართვის ვერტიკალურმა, ზეცენტრალიზებულმა იერარქიულმა სისტემამ შეაჩერა სექტორის დინამიკური განვითარება და წარმოშვა უმაღლესი სასწავლებლების პასიური, ინდიფერენტული ადმინისტრაცია და ასეთივე პროფესორ-მასწავლებლები.

საბჭოთა განათლების სისტემის კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა იყო კორუფცია, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ იჩენდა თავს უმაღლესი განათლების სისტემაში.

საბჭოთა კავშირის შესაბამისად, საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური სისტემა ორიენტირებული იყო ელიტის ერთგულებაზე. კომუნისტური ელიტისათვის კანონს ძალიან პირობითი მნიშვნელობა ჰქონდა და იგი თითქმის უგულებელყოფილი იყო. ელიტა ცხოვრობდა საყოველთაო კანონებისა და ნორმების გვერდის ავლით. იგივე სიტუაცია იყო უმაღლესი განათლების სისტემაშიც: უპირატესობა ენიჭებოდა არა ცოდნას, არამედ პირად კონტაქტებს. პრივილეგირებული ოჯახების შვილები უმაღლეს სასწავლებლებში ირიცხებოდნენ სათანადო მომზადებისა და ცოდნის გარეშე. ასევე პრივილეგირებულ ჯგუფებს მიეკუთვნებოდნენ ისინი, ვინც არალეგალური გზით შოულობდა ფულს და შეეძლო როგორც პარტიული ჩინოვნიკების (რომლებიც კურირებდნენ განათლების სისტემას), ისე უმაღლეს სასწავლებელთა ადმინისტრაციის წარმომადგენლების მოქრთამვა. ამ ტენდენციამაც შეუწყო ხელი უმაღლესი განათლების სისტემაში კორუფციის დამკვიდრებას.

ეს ტენდენცია, რომელიც გავრცელდა 1950-1960-იან წლებში, 1970-1980-იანი წლებისათვის სისტემის განუყოფელ ნაწილად იქცა. 1990-იან წლებში კორუფციის ფართო მასშტაბებმა როგორც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, ისე საქართველო საფრთხის წინაშე დააყენა.

ძირითადად გავრცელებული იყო ორი სახის კორუფცია: მისაღები გამოცდების თუ სწავლის პროცესში და სამეურნეო საქმიანობაში, როდესაც ხდებოდა სახელმწიფო თანხების არამიზნობრივი ხარჯვა თუ დატაცება. კორუფციის ორივე სახე იყო უნიათო მართვის შედეგი, როდესაც სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი კონტროლი აღნიშნულ სფეროში სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. რეალურად უმაღლესი განათლების სისტემა მეტად მკაცრად კონტროლდებოდა სახელმწიფოს მხრიდან, მაგრამ არა მისი ჯანსაღი მართვისათვის, არამედ მაქსიმალური კერძო გამორჩენის მიზნით ხელისუფალთა ცალკეული პირების მიერ.

1970-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით განსაკუთრებით აქტიური "ბრძოლა" გამოუცხადა ნეგატიურ მოვლენებს რესპუბლიკაში, დაპატიმრებული იქნა სამედიცინო ინსტიტუტის რექტორიც კი (პეტრე გელბახიანი). მიუხედავად ამისა, ეს მაინც დარჩა ცალკეულ გამოვლენად კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. კორუმპირებული სისტემა ხელუხლებელი დარჩა, რამაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, ბიძგი მისცა მის აღზევებას 1980-2000-იან წლებში.

დღეისათვის საქართველოში კორუფცია უმაღლესი განათლების სისტემის განუყოფელია ნაწილია. იგი ძირს უთხრის ეროვნულ თვითშეგნებას, უსაფრთხოებასა და ქვეყნის წარმატებულ მომავალს. საბჭოთა მართვის ფორმები, მისი ხარვეზებით, კვლავ მწვავე პრობლემად რჩება არა მხოლოდ უმაღლესი განათლების, არამედ მთლიანად ქართული საზოგადოებისთვის. განათლების დარგში შექმნილ უმწვავეს ვითარებას კარგად ავლენს საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ მომზადებული მასალები.

# დარგის სტატისტიკური მახასიათებლები

## მოსახლეობის განათლების დონე

ბოლო ათწლეულების მანძილზე უმაღლესი განათლების სექტორი სწრაფად, ექსტენსიური გზით ვითარდებოდა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2003 წლის მონაცემებით, 1999 წელს ყოველი 1000 კაციდან 201-ს ჰქონდა სრული უმაღლესი განათლება, 2002 წელს კი ეს რიცხვი 243-მდე გაიზარდა, ე.ი. სამ წელიწადში ზრდის ტემპი 17%-ს შეადგენდა (საშუალოდ 5, 6% წელიწადში), რაც მაღალი მაჩვენებელია (იხ. დანართი 1, ცხრილი 1). 2002 წელს მიღწეული დონე ყველაზე მაღალია 1959 წლიდან. 1959 წელს 1000 კაცზე სრული უმაღლესი განათლება ჰქონდა მხოლოდ 48 ადამიანს.[3] ე.ი. 43 წლის განმავლობაში უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის რაოდენობა ხუთჯერ გაიზარდა. პრაქტიკულად საქართველოში ყოველ მეხუთე ადამიანს აქვს მიღებული უმაღლესი განათლება, რაც აიხსნება კვალიფიცირებულ კადრებზე მოთხოვნილების სწრაფი ზრდითა და თანამედროვე საერთაშორისო პროცესების გავლენით საქართველოზე. არანაკლებ იმოქმედა მეორე ფაქტორმაც: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვი, რამაც, ბუნებრივია, გამოიწვია უმაღლესდამთავრებულთა რაოდენობის ზრდაც. საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოს, ისევე, როგორც სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს, ამ პოზიციით წამყვანი ადგილი ეკავა კავშირის მასშტაბით.[4] ზრდის განსაკუთრებით სწრაფი ტემპი შეიმჩნეოდა 1960-1770-იან და 1989-2002 წლებში, როდესაც მაჩვენებლები პრაქტიკულად გაორმაგდა.

## უმაღლესი სასწავლებლებისა და სტუდენტების რაოდენობა და ზრდის ტემპები

უმაღლესი განათლების განსაკუთრებით სწრაფი ზრდის ტემპები დაფიქსირდა 1990-2000-იან წლებში, გარდამავალ პერიოდში, ბევრი სხვა დარგის, განსაკუთრებით ბიზნესის მსგავსად, რის უმთავრეს მიზეზად იქცა თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. ამას კი მოჰყვა უმაღლესი სასწავლებლებისა და სტუდენტთა რაოდენობის სწრაფი ზრდა. სიმბოლური მისაღები გამოცდებისა და ფასიანი სწავლების შემოღების პირობებში ნებისმიერ ახალგაზრდას შეეძლო, იოლად გამხდარიყო სტუდენტი. უკვე აღარ იყო საჭირო აბიტურიენტთა სათანადო მომზადება. 1991/1992 სასწავლო წლიდან 1999/2000 წლებამდე უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა (ძირითადად კერძო სექტორში) გასამმაგდა – 48-დან 162-მდე გაიზარდა. 2002/2003 წლისთვის მათი რაოდენობა 5%-ით –154-მდე შემცირდა (იხ. დანართი 1, ცხრილი 2).[5] შედარებით უმნიშვნელოდ იზრდებოდა სახელმწიფო სექტორის უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი: იმავე პერიოდში 1990/1991 სასწავლო წლიდან 1999/2000 წლებამდე მათი რაოდენობა მხოლოდ 21%-ით გაიზარდა – 19-დან 24 სასწავლებლამდე, 2002/2003 წელს – 26-მდე, რაც შეიძლება აიხსნას სახელმწიფო დაფინანსების შეზღუდული შესაძლებლობებით (იხ. დანართი 1, ცხრილი 3).

2002/2003 წელს საქართველოს 180 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა 153 700 სტუდენტი, მათი დაახლოებით 20%, 31 500 სტუდენტი – კერძო სასწავლებელში.

ბოლო სამი წლის მანძილზე მათი რაოდენობა შემცირდა 40 100-დან 31 500-მდე, ე.ი. 8 600 სტუდენტით (21%-ით). საქართველოს სტუდენტების 80%, ე.ი. 122 200 სტუდენტი სახელმწიფო სასწავლებელში სწავლობდა (იხ. დანართი 1, ცხრილი 2-3). საგულისხმოა ახალი ტენდენციაც: სახელმწიფო უმაღლესი განათლების დაწესებულებათა რაოდენობა 1999/2000–2002/2003 წლებში მხოლოდ 2 ერთეულით, ე.ი. 8,3%-ით გაიზარდა (როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეადგინა 26 ერთეული), მაშინ, როცა სტუდენტთა რიცხვი გაიზარდა 27 200-მდე, ანუ 28,6%-ით,[6] რაც აიხსნება სახელმწიფოს მიზანმიმართული პოლიტიკით, სახელმწიფო სექტორის სასწავლებლების განსაკუთრებული მხარდაჭერით, ათწლეულების მანძილზე ამ მიმართულებით მთელი რიგი ღონისძიებების გატარებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემებით, განათლების სექტორის ზრდის ტემპი რესპუბლიკის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპთან მიმართებაში ძალზე დაბალი იყო. განსაკუთრებული მერყეობა აღინიშნებოდა 1999-2002 წლებში. ზრდის ტემპმა 1999 წელს შეადგინა 9,5, 2000 წელს – 8,2, 2002 წელს – 1,9 ერთეული.[7] ეს, შესაძლებელია, აიხსნას აღრიცხვიანობის სისტემაში არსებული ხარვეზებით, ასევე ამ სექტორში შავი ბაზრის მაღალი წილით. საინტერესო იქნებოდა ამ ტენდენციების უფრო ღრმა ანალიზი ეკონომისტების მიერ და პრობლემათა სამსჯავროზე გამოტანა (იხ. დანართი 1, ცხრილი 4).

## დასაქმებულთა რაოდენობა

ტრადიციულად, განათლების სექტორი ერთ-ერთი მოწინავე სფეროა საზოგადოების დასაქმების თვალსაზრისით. 1990 წელს ამ მაჩვენებლებით განათლების სექტორი მესამე ადგილზე გავიდა, რამდენადაც თავის რიგებში (კულტურის მუშაკების ჩათვლით) რესპუბლიკის საერთო დასაქმებულთა 11.2%-ს აერთიანებდა. პირველ ადგილზე იყო სოფლის მეურნეობა 25.2%-იანი მაჩვენებლით, მეორეზე – მრეწველობა 20.3%-ით. 1996 წელს განათლების სექტორმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა 10.8%-ით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა პროცენტი კი 50.2%-ს აღწევდა. 2002 წლისათვის განათლების სექტორი კვლავ მესამე ადგილზეა (იხ. დანართი 1, ცხრილები 5 "ა", "ბ" და "გ"). პირველ ადგილზე რჩებოდა სოფლის მეურნეობა 53.8%-ით, 988 400 ადამიანით, მეორეზე – საბითუმო, საცალო ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერო დასაქმებულთა 11.7%-ით, 215 400 ადამიანით. მესამე ადგილს იკავებდა განათლების სფერო დასაქმებულთა 7.1%-ით, 129 700 ადამიანით. მოცემული სტატისტიკა კარგად აჩვენებს, თუ რაოდენ არაჯანსაღ ტენდენციებს ჰქონდა ადგილი ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებებში, როდესაც გამუდმებით იზრდებოდა სოფლის მეურნეობის წილი და მცირდებოდა მომსახურების სექტორი.[8] მიუხედავად ამისა, განათლება მაინც ინარჩუნებს ერთ-ერთ წამყვან პოზიციას დასაქმების სფეროში.

## მოსახლეობის პირდაპირი და ირიბი მონაწილეობა

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2003 წელს საქართველოში (ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე) ცხოვრობდა 4 342 600 ადამიანი.[9] ამათგან 643 300 იყო 20-29 წლის ასაკის ქალი და

მამაკაცი (მოსახლეობის 14.8%-ი (იხ. დანართი 1, ცხრილი 6). ეს არის ძირითადი ასაკობრივი ჯგუფი, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ყველაზე მეტად არის დაკავშირებული უმაღლესი განათლების სისტემასთან.[10] ეს, როგორც წესი, საზოგადოების ყველაზე კრიტიკულად მოაზროვნე, აქტიური, ენერგიული და ცვლილებების მომხრე ნაწილია. პრაქტიკულად, ამ სოციალური ჯგუფის ზეგავლენა კიდევ უფრო მეტია საზოგადოებაზე, თუ მხედველობაში მივიღებთ მათი ოჯახის წევრებსაც, რაც შეადგენს მოსახლეობის დაახლოებით 50-60%-ს.

## პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობა

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა 2002/2003 წლებში შეადგენდა 11 964-ს, მათ შორის 1 291 მეცნიერებათა დოქტორია, ხოლო 2 573 – მეცნიერებათა კანდიდატი (იხ. დანართი 1, ცხრილი 7).[11] სულ საქართველოს ჰყავს 3 864 ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენელი, რომელიც პერმანენტულად იმყოფებოდა ეკონომიკურ, შესაბამისად მორალურ-ფსიქოლოგიური კრიზისის პირობებში.

## უმუშევრობა

საქართველოს განათლების სისტემის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია მისი შეუსაბამობა შრომით ბაზართან. ვერც განათლების სამინისტრო და ვერც უმაღლესი სასწავლებლები პრაქტიკულად ვერ აკმაყოფილებენ ბაზრის მოთხოვნილებებს. ამ თვალსაზრისით გაცილებით ეფექტურად მუშაობს ზოგიერთი კერძო სასწავლებელი, რომლის სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს.

ამგვარი ნეგატიური ტენდენცია საბჭოთა პერიოდშიც არსებობდა. 1970-1980-იანი წლებიდან კი მან განსაკუთრებით მწვავე ხასიათი შეიძინა, რაც გამოწვეული იყო შეუსაბამობით ბაზრის მოთხოვნილებასა და კადრების მიწოდებას შორის. დასაქმების სამსახურებში რეგისტრირებული უმაღლესი განათლების მქონე პირთა უმუშევრობის დონე უფრო მაღალი იყო, ვიდრე არასრული და სრული საშუალო განათლების მქონე პირთა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმების სამსახურებში რეგისტრირებული უმუშევრობის მაჩვენებელი სრულად არ ასახავს უმუშევრობის დონეს რესპუბლიკაში, ვინაიდან მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, სათანადო ინფორმაციის უქონლობის გამო, არ მიმართავს აღნიშნულ სამსახურებს.

1991-1997 წლებში უმაღლესი განათლების მქონე პირთა დიდი ნაწილი უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ პირთა უმუშევრობის საშუალო დონე, რესპუბლიკის უმუშევართა საერთო რიცხვთან მიმართებაში, 1995 წელს აღწევდა 79%-ს, უმაღლეს ზღვარს, არასრული საშუალო განათლების მქონე პირთა უმუშევრობის საშუალო დონე – მხოლოდ 1,8%-ს, ხოლო სრული საშუალო განათლების მქონე პირთა – 19,0% -ს (იხ. დანართი 1, ცხრილი 8).

1997 წლიდან უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობაში იწყება უმუშევრობის დონის მკვეთრი შემცირება, რაც 1997 წელს შეადგენს 44,7%-ს, 1998 წელს – 44%-ს, 1999 წელს – 33,1%-ს, 2002 წელს – 33.3%-ს. ეს შემცირება პრაქტიკულად მოხდა

არასრული და სრული საშუალო განათლების მქონე პირთა ხარჯზე. მათი მაჩვენებელი მკვეთრად გაიზარდა და 2002 წელს უმუშევრობამ სრული საშუალო განათლების მქონე პირთა შორის მიაღწია 66,2%-ს, არასრული საშუალო განათლების მქონე პირთა შორის – 0,45%-ს (იხ. დანართი 1, ცხრილი 8). ეს ბოლო მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა 2001 წელთან შედარებით (რაც აიხსნება როგორც სუბიექტური (დასაქმების ოფისის რეორგანიზაციით), ისე ობიექტური მიზეზებით (მათ შორის, დიდი საერთაშორისო პროექტის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებით და ნაკლებადკვალიფიცირებულ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის მკვეთრი ზრდით).

უმაღლესი განათლების მქონე პირთა მდგომარეობის გაუმჯობესება 1997 წლიდან შეიძლება აიხსნას მრავალი საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბებით, რამაც გარკვეულწილად გაზარდა მოთხოვნილება კვალიფიციურ სპეციალისტებზე.

უმუშევართა ასაკობრივი მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ 1991 წლიდან 30-49 წლის ასაკობრივი ჯგუფი, რომელიც წამყვან სამუშაო ძალას წარმოადგენს ნებისმიერ ქვეყანაში და ბიოლოგიური მონაცემებით საზოგადოების ყველაზე დინამიკური, შემოქმედი ძალაა, საქართველოში უმუშევართა შორის პირველ ადგილზეა. 1991-2002 წლებში ეს ჯგუფი დასაქმების სამსახურებში რეგისტრირებულ უმუშევართა საერთო რაოდენობის 48,0%-ს შეადგენდა, 16-29 წლისა – დაახლოებით 26,0%-ს და 50 წლის და მეტი ასაკის – 21,1%-ს. გამოკვეთილია უმუშევართა რაოდენობის ზრდის ტენდენცია 50 წლის და მეტ ასაკობრივ კატეგორიაში (იხ. დანართი 1, ცხრილი 9).

2002 წლის მონაცემებით, უმაღლესდამთავრებულთა რაოდენობის მკვეთრი შემცირება არ უნდა ასახავდეს რეალურ სიტუაციას და გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ამ წელს ადგილი ჰქონდა დასაქმების ოფისის რეორგანიზაციას და სარეგისტრაციო კამპანია სათანადოდ ვერ განხორციელდა.

## საბიუჯეტო დაფინანსება

უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსებისას სახელმწიფო იყენებდა ორმაგ სტანდარტებს. 1996 წლის განათლების შესახებ მთავრობის დადგენილების შესაბამისად, განათლება აღიარებული იყო ქვეყნის სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტად. ამ სექტორის დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები შეადგენდა მთლიანი ბიუჯეტის 3-8%. ეს სექტორი ყველაზე მწირად დაფინანსდა 1996 წელს – 19,1 მილიონი ლარით, რაც მთელი ეროვნული ბიუჯეტის 3,6%-ს შეადგენდა. 1997 წელს გამოყოფილი იქნა 46,3 მილიონი ლარი (ბიუჯეტის 7,8%), მაგრამ 2002 წელს საბიუჯეტო ასიგნებანი 37 022 ლარამდე (4,0%) შემცირდა (იხ. დანართი 1, ცხრილი 10).[12] 2003 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა და მაქსიმუმს მიაღწია 2004 წელს, როდესაც განათლების სექტორს გადაეცა 72 მილიონი ლარი.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი ექვემდებარებოდა ყოველწლიურ 15-20%-იან სეკვესტრს, ნათელი გახდება, რამდენად უმწეო ფინანსურ მდგომარეობაში იყო საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ესოდენ დიდი მნიშვნელობის მქონე სფერო.

## ანაზღაურება

უმაღლესი განათლების სექტორში არსებული ხელფასების დონე კვლავ ძალიან დაბალია. 2002 წელს რესპუბლიკაში საშუალო ყოველთვიური ხელფასის ოდენობა 113,5 ლარს შეადგენდა, მაშინ, როდესაც განათლების სექტორში საშუალო ყოველთვიური ხელფასი 56,6 ლარი იყო (საერთო საშუალო მაჩვენებლის 49,8%, იხ. დანართი 1, ცხრილი 11, "ბ"). საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ გამოცემაში არ არის მონაცემები უმაღლესი განათლების სექტორში საშუალო ხელფასის რაოდენობის შესახებ, მაგრამ, ფაქტობრივად, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სახელფასო განაკვეთი დაახლოებით იგივეა, რაც საერთოდ განათლების სექტორში. ხელფასების ყველაზე მაღალი დონე განათლების სექტორში აღინიშნა 1990 წელს, როდესაც ამ მაჩვენებელმა მიაღწია 156,9 ლარს (გაანგარიშებულია ლარებში, რომელიც შემოღებული იქნა მოგვიანებით), მაგრამ ყოველთვიური ხელფასის დონე მკვეთრად შემცირდა 1995 წელს და განათლების სექტორში შეადგინა 7,0 ლარი. 1995 წლის შემდეგ ხელფასები ძალიან ნელა, მაგრამ მაინც რეგულარულად იზრდებოდა (იხ. დანართი 1, ცხრილი 11, "ა" და "ბ").

თუ შევადარებთ განათლების სექტორში მომუშავე პერსონალისა და მთლიანად ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო ყოველთვიურ ნომინალურ ხელფასებს, აშკარად გამოვლინდება უკუპროცესი, როდესაც განათლების სექტორში ხდება საშუალო ყოველთვიური ნომინალური ხელფასის სისტემატური შემცირება – 1998 წელს არსებული 83,8%-დან 2002 წლის 49,8%-იან მაჩვენებლამდე (იხ. დანართი 1, ცხრილი 11 "გ").

განათლების სექტორში არსებული ანაზღაურების სისტემის ანალიზს უფრო სრულყოფილს ხდის მონაცემები დაქირავებული სამუშაო ძალის საშუალო ღირებულების შესახებ, ვინაიდან ამ კატეგორიაში, ხელფასისგან განსხვავებით, დევს ის სოციალური დანახარჯებიც, რომელსაც ასევე გასცემს დამქირავებელი. 2002 წლის მონაცემებით, განათლების სექტორში დაქირავებული სამუშაო ძალის საშუალო ღირებულება ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით შეადგენდა 926,8 ლარს წელიწადში, რაც თვეში 77 ლარი იყო. ეს იმაზე მეტყველებს, რომ განათლების სექტორში თითოეულ მომუშავეს სოციალური სარგებლის სახით ყოველთვიურად დამატებით უხდიდნენ 20 ლარს (იხ. დანართი 1, ცხრილი 12).

ხელფასების რაოდენობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც საქართველოში ყველაზე მეტი სუბსიდიით და პრივილეგიით სარგებლობს, მოცემულია შენიშვნაში.[13] ეს მონაცემები აღემატება ქვეყნის საერთო მონაცემებს, ვინაიდან მთავრობა ოფიციალურად უზრუნველყოფს თსუ-ს დადგენილი სტანდარტის 50%-ით უფრო მაღალ ხელფასს, რათა ხელი შეუწყოს საქართველოსა და კავკასიაში პირველი, "დედა" უნივერსიტეტის განსაკუთრებული სტატუსის შენარჩუნებას.

## სიღარიბის ზღვარი

დაბალი ანაზღაურების სიმწვავე უფრო ნათელი გახდება, თუ გავაანალიზებთ მოსახლეობის სიღარიბის მაჩვენებლებს. 2002 წლის მონაცემებით, საქართველოში საარსებო მინიმუმი საშუალოდ შეადგენდა 125,4 ლარს თვეში და საშუალო მოხმარება (მედიანა) – 121,6 ლარს თვეში. ეს მონაცემები ნათლად გვიჩვენებს,

რომ განათლების სექტორში დასაქმებულთა ხელფასები დაახლოებით ორჯერ ნაკლები იყო, ვიდრე ოფიციალურად გამოცხადებული აბსოლუტური და შეფარდებითი სიღატაკის ზღვარი და, ფაქტობრივად, შეადგენდა საარსებო მინიმუმის 45,1%-ს (იხ. დანართი 1, ცხრილი 13).

## შავი ბაზრის წილი

როდესაც ვაანალიზებთ დასაქმებულთა შემოსავალს, უნდა გავითვალისწინოთ ქვეყანაში არსებული შავი ბაზრის დონე. შავი ბაზრის მასშტაბების შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მაჩვენებლებით. მონაცემები გვიჩვენებს შემოსავლებისა და დანახარჯების დეფიციტს როგორც ქვეყნის დონეზე, ისე ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. 2001 წელს ქვეყნის მთელი მოსახლეობის (ქალაქად და სოფლად, სულ ნაღდი და უნაღდო) საშუალო ყოველთვიური შემოსავალი 209,2 მილიონი ლარის ტოლი იყო.[14] მთლიანად ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის საშუალო ყოველთვიური დანახარჯები იმავე პერიოდში შეადგენდა საშუალოდ 330 მილიონ ლარს (იხ. დანართი 1, ცხრილები 14-15). ამრიგად, დეფიციტი შეადგენდა 120,8 მილიონ ლარს და დანახარჯი 57,7%-ით აღემატებოდა შემოსავალს, რაც შეიძლება ჩაითვალოს შავი ბაზრის მოცულობის დაახლოებით მაჩვენებლად. ეს ტენდენცია მნიშვნელოვნად შემცირდა 2002 წელს, როდესაც შემოსავალსა და გასავალს შორის დაფიქსირდა 24,6%-იანი სხვაობა გასავლის სასარგებლოდ. შავი ბაზრის მოცულობის ასეთი მკვეთრი შემცირება სპეციალური შესწავლის საგანი უნდა გახდეს, რადგანაც მიღწეული შედეგები მრავალ შეკითხვას ბადებს იმის გამო, რომ აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში არ გატარებულა რაიმე მნიშვნელოვანი ფინანსური თუ ეკონომიკური რეფორმა. სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა სუბიექტური ფაქტორების ამოქმედებას, რაც ქვეყანაში მნიშვნელოვან გარდატეხას ვერ მოახდენდა.

სტატისტიკური დეპარტამენტის მონაცემებით, ქვეყანაში საშუალო ყოველთვიური შემოსავლები (ქალაქად და სოფლად, ფულადი და არაფულადი სახსრები სულ) ერთ სულზე გაანგარიშებით 2001 წელს შეადგენდა 50,1 ლარს, ხარჯები – 79 ლარს, ანუ გასავალი 57,6%-ით მეტი იყო შემოსავალზე, 2002 წელს კი ამ სხვაობამ შეადგინა 24,4% გასავლის სასარგებლოდ (იხ. დანართი 1, ცხრილები 16-17).

ჩვენი აზრით, ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი, არსებული არალეგალური შემოსავალ-გასავლის ფაქტობრივი მასშტაბები კიდევ უფრო მაღალი იყო, ვიდრე ეს ჩანს ოფიციალური მონაცემებით, მაგრამ სრულყოფილად არ არის ასახული სტატისტიკურ მონაცემებში აღრიცხვიანობის სირთულის გამო.

ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ შევარდნაძის რეჟიმისდროინდელი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ხშირად უფრო მეტად ოპტიმისტური იყო, ვიდრე ქვეყანაში არსებული რეალობა. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები, ისევე, როგორც სხვა სტატისტიკური მასალა, ყოველთვის მოითხოვს დიდ სიფრთხილეს.

შავი ბაზრის და არალეგალური შემოსავლების არსებობა მნიშვნელოვანწილად ხსნის იმ გარემოებას, თუ რატომ არ არსებობდა სოციალური პროტესტის ინსტიტუტი უმაღლესი განათლების სექტორში. თავის მხრივ, ვითარებას ხელს უწყობდა განათლების შესახებ ეროვნული კანონმდებლობაც, რომელიც, პრაქტიკულად, ინარჩუნებდა მოდერნიზებულ,მაგრამ თავისი არსით საბჭოური ტიპის მმართველობას რესპუბლიკაში.

# საკანონმდებლო ბაზა

1991 წლიდან, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან, დღემდე საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული იყო მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები, დადგენილებები, ბრძანებულებები განათლებისა და მეცნიერების დარგში.[15]

საქართველოს ძირითადი საკანონმდებლო აქტები უმაღლესი განათლების შესახებ:

- 1992 წელი – საქართველოს სახელმწიფო საბჭოს დადგენილება უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიურობის შესახებ. სასწავლებლების ავტონომიის შესახებ;
- 1996 წელი – მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება განათლების შესახებ, რომელმაც სკოლის შემდგომი განათლება ქვეყნის პრიორიტეტად გამოაცხადა. ამ დოკუმენტს საფუძვლად დაედო 1994 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებული განათლების განვითარების კონცეფცია;
- 1997 წელი – კანონი განათლების შესახებ;
- 1999 წელი – კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ;
- 1999 წელი – კანონი მეცნიერებათა აკადემიის შესახებ, რომლის თანახმადაც მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოცხადდა თანამშრომლობა უმაღლეს სასწავლებლებთან და ფუნდამენტური კვლევების კოორდინირება;
- 1999 წელი – კანონი სამეწარმეო საქმიანობის შესახებ;
- 1999 წელი – პრეზიდენტის ბრძანებულებით განისაზღვრა სახელმწიფო უნივერსიტეტების რექტორთა სტატუსი;
- 2000 წელი – სწავლულ ექსპერტთა საბჭოს შექმნა;
- 2001 წელი – საქართველოს პარლამენტმა პირველი წაკითხვით მიიღო დადგენილება "საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებების" შესახებ.

ამ დოკუმენტთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია 1997 წელს მიღებული „საქართველოს კანონი განათლების შესახებ". მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტში თითქმის ყოველწლიურად შეჰქონდათ შესწორებები, იგი აშკარად მოძველებულია. სამწუხაროდ, იმის მაგივრად, რომ ხელს უწყობდეს ახალი ღირებულებებისა და პრიორიტეტების დამკვიდრებას, ეს კანონი, ფაქტობრივად, ინარჩუნებს განათლების სისტემის საბჭოური მართვის მოდელს, ხელს უწყობს ამ სექტორის დარჩენას სამთავრობო ძალაუფლების ცენტრალიზებულ სისტემაში.

## მოქმედი კანონმდებლობის ხარვეზები

1997 წლის კანონის თანახმად, "განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას წარმართავს და ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი".

- ის ამტკიცებს "განათლების მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამებს";
- იღებს გადაწყვეტილებას, შექმნას სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი,

ასევე, განათლების სამინისტროს წინადადების საფუძველზე მოახდინოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის ლიკვიდაცია;

- განათლების სამინისტროსთან ქმნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს, ამტკიცებს მის დებულებას და პერსონალურ შემადგენლობას;
- "განათლების მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორს და ამ კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში ვადამდე წყვეტს მის უფლებამოსილებას".[16]

გაუმართლებლად მიგვაჩნია პრეზიდენტისთვის განათლების სექტორში ასეთი ფართო ფუნქციების დაკისრება, ვინაიდან ამ სფეროში წარმატების მისაღწევად ის დაკავებული უნდა იყოს მხოლოდ განათლების სექტორით. ამ მხრივ საინტერესოა დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება, სადაც უმაღლესი განათლების კერები ავტონომიურია, დამკვიდრებულია აკადემიური შემოქმედებისა და ადმინისტრაციული საქმიანობის დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციებიდან საქართველოს პრეზიდენტი რეალურად იყენებდა მხოლოდ ერთს – რექტორების დამტკიცების ფუნქციას. ყველა დანარჩენს კი ფიქტიური ხასიათი ჰქონდა, რაზეც მეტყველებს ამ სექტორში შექმნილი სავალალო მდგომარეობა.

ერთ-ერთი მაგალითი, თუ რაოდენ ფორმალური იყო დაკისრებული ვალდებულებები, გახლავთ აკრედიტაციის საბჭოს ჩამოყალიბება, რომელიც პრაქტიკულად არ ფუნქციონირებდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1997 წელს, აღნიშნული კანონის მიღების შემდეგ, სახელმწიფო სასწავლებლების მიერ გაცემული დიპლომები პრაქტიკულად არაკანონიერად ითვლება, ვინაიდან სასწავლებელს, კანონის შესაბამისად, არ ჰქონდა გავლილი სავალდებულო აკრედიტაცია.

რექტორების დამტკიცების ინსტიტუტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა შევარდნაძის რეჟიმისთვის, ვინაიდან ის იყო სტაბილურობის შენარჩუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი. რექტორები პრაქტიკულად აკონტროლებდნენ სტუდენტებს, მათ სოციალურ ფენას, რომელიც ადვილად შეიძლება გამხდარიყო არსებული სისტემის დამანგრეველი ძალა, თუ მათ აქტიურობას მიეცემოდა სათანადო მიმართულება.

რეჟიმისადმი ლოიალურ რექტორთა ინსტიტუტის მნიშვნელობას კარგად აცნობიერებდნენ საბჭოთა ლიდერებიც. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირის პერიოდში რექტორები ინიშნებოდნენ უმაღლესი სასწავლებლის წარდგინების შემდეგ, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით. ამ თანამდებობაზე გამორიცხული იყო კრიტიკულად მოაზროვნე, პარტიის მიმართ არალოიალური პიროვნების დანიშვნა.

რექტორები იყვნენ კომუნისტური პარტიისა და მისი ხელმძღვანელების ერთგული ბიუროკრატები, რომლებიც, თავის მხრივ, კადრებს არჩევდნენ არა პროფესიონალიზმის, არამედ მათდამი ლოიალურობის ნიშნით. ეს კი ხელს უწყობდა უნივერსიტეტებში მეტად არაჯანსაღი საკადრო პოლიტიკის გატარებას. ხშირ შემთხვევაში კადრების

შერჩევა ხდებოდა პირადი ნაცნობობის საფუძველზეც, რაც ხელს უწყობდა ჩაკეტილი სისტემის შექმნას არა პროფესიონალური, არამედ რეჟიმისადმი მორჩილი სპეციალისტების ხარჯზე.

ამ სისტემის შედეგს წარმოადგენს „დიდი სამეცნიერო საბჭოების" დაკომპლექტება რექტორისადმი ლოიალური თანამშრომლებით, ვინაიდან აღნიშნული საბჭოები წარმოადგენს უნივერსიტეტების მართვის უმაღლეს ორგანოს, რომელიც პრაქტიკულად წყვეტს უმაღლესი სასწავლებლების ყველა მნიშვნელოვან საკითხს.

უმაღლესი სასწავლებლების საბჭოები ძირითადად შედგება ფაკულტეტების, კათედრების, სამეცნიერო ლაბორატორიების და ადმინისტრაციის ხელმძღვანელებისა და წამყვანი მეცნიერებისაგან, რომლებიც ირჩევენ რექტორს. რექტორის არჩევნები ტრადიციულად ფორმალურად ტარდება, რისი ნათელი დადასტურებაცაა 2003 წელს ჩატარებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის უალტერნატივო არჩევნები. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული არჩევნები არც დემოკრატიული იყო და არც სამართლიანი. ეს არჩევნები ჩატარდა საბჭოური ტრადიციების შესაბამისად, რამაც სტუდენტებისა და პროფესორების ნაწილის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია.

უმაღლეს სასწავლებლებში არსებული მართვის პირამიდა შემდეგნაირად ფუნქციონირებს: რექტორი ქმნის მორალურ კლიმატს ორგანიზაციაში, სადაც ფაკულტეტების, კათედრების, ინსტიტუტების, სხვადასხვა ქვედანაყოფების თუ ადმინისტრაციული სამსახურების ხელმძღვანელები „ირჩევიან" (არჩევნები ამ დონეებზეც ფიქტიურია) და ინიშნებიან რექტორისადმი ერთგულების ნიშნით. ზოგ შემთხვევაში "არჩეული" თანამშრომლები გამოირჩევიან არა პროფესიონალიზმით, ორგანიზაციული ნიჭით, არამედ რექტორისადმი და წლობით გაბატონებული სისტემისადმი ერთგულებით, რომელიც ეფუძნება ნაცნობობას, პროტექციონიზმს, მექრთამეობასა და ბიუროკრატიის მახინჯ ფორმებს.

ამ სისტემის საფუძველი გახლავთ საქართველოს კანონი განათლების შესახებ. აღნიშნული კანონის მე-4 თავის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგი სამუშაოზე მიიღება ხელშეკრულების საფუძველზე, კონკურსის წესით ან უამისოდ".[17]

ვინაიდან საქართველოში არ არსებობს ვაკანტურ ადგილებზე კონკურსით მიღების გამჭვირვალე და სამართლიანი ტრადიცია, კონკურსი ფიქტიურ ხასიათს ატარებს, რაც ხელსაყრელ გარემოს ქმნის კორუფციისათვის.

განვითარებულ ქვეყნებში არსებული საკადრო პოლიტიკა მკვეთრად ემიჯნება ჩვენში არსებულს. როდესაც დასავლური უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიას, კონკურსში მონაწილეობენ სპეციალისტები ფაქტობრივად მთელი მსოფლიოდან. მათი შერჩევა ხდება გამჭვირვალედ და უპირველეს კრიტერიუმს წარმოადგენს მეცნიერის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომთა ნუსხა და ხარისხი, პროფესიონალიზმი და კოლეგების დადებითი შეფასება, მაშინ, როცა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგთა დაქირავების პრინციპი ძირითადად ნაცნობობასა და პირად კონტაქტებზეა აგებული.

კანონის მე-4 თავის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტირებული საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგი გადის ატესტაციას, თუმცაღა კანონი

არ აკონკრეტებს, ვის მიერ, რა პერიოდულობით და რა კრიტერიუმით ხდება თანამშრომლების შეფასება.[18] ეს ყველაფერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელებს შესაძლებლობას აძლევს, არასწორად, პირადი ინტერესების შესაბამისად, წარმართონ საკადრო პოლიტიკა. ამის შედეგია, რიგ შემთხვევაში, უნივერსიტეტების დაკომპლექტება ნაკლებადკვალიფიცირებული კადრებით.

უნივერსიტეტების ხელმძღვანელების მიერ პრაქტიკულად არ ხდება სტუდენტთა აზრის გაზიარება, მათი მოთხოვნების შესწავლა და დაკმაყოფილება. ამ მხრივ მეტად სასარგებლო იქნებოდა, მომავალში შემოღებულიყო პედაგოგთა რეიტინგული შეფასების სისტემა – პედაგოგებისა თუ ადმინისტრაციის წარმომადგენლების ყოველწლიური შეფასება სტუდენტების მიერ. ეს მონაცემები უნდა გახდეს სპეციალისტთა შემდგომი წინსვლის მნიშვნელოვანი კრიტერიუმი. ყველა თანამდებობაზე აუცილებლად უნდა ტარდებოდეს ღია კონკურსები, რომელში მონაწილეობის საშუალებაც ექნება მსოფლიოს ნებისმიერ მეცნიერს თუ პედაგოგს. ამ სისტემის ამოქმედების შემთხვევაში დადგება დიპლომების ნოსტრიფიკაციის საკითხი, რაც ასევე დაუყოვნებლივ მოგვარებას საჭიროებს, ვინაიდან ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მიერ მიღებული (სსეს-ი) 2003 წლის 28 იენისის №316 ბრძანებულება[19] . ეს დოკუმენტი კიდევ ერთი გამოვლინებაა საბჭოური ჩაკეტილი აზროვნებისა. ამ ბრძანებულების თანახმად, იმისათვის, რომ საქართველოში ცნონ სამეცნიერო ხარისხი, მეცნიერმა უნდა გაიაროს ოთხი ინსტანცია და წარმოადგინოს თითქმის ყველა ის საბუთი, რაც ესაჭიროებოდა ბიუროკრატიულ აპარატს დისერტაციის დასაცავად. ამის შემდეგ სადისერტაციო საბჭომ უნდა იმსჯელოს, ცნობს თუ არა წარმოდგენილ დიპლომს. ამას საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭო სამეცნიერო ხარისხის ცნობის "გამარტივებულ წესს" უწოდებს, რაც, ჩვენი აზრით, ცინიკურია და აბსოლუტურად გაუმართლებელი. არც ერთ სერიოზულ მეცნიერს არ ექნება საკმარისი დრო, რომ სსეს-ის ყოვლად გაუმართლებელი მოთხოვნები დააკმაყოფილოს, რაც საქართველოს მეცნიერების ისედაც შელახულ რეპუტაციას ვერანაირად ვერ გამოასწორებს, პირიქით, დატოვებს მას ნიჭიერი კადრების გარეშე, რაც, შესაძლოა, მეტად სარფიანი იყოს ზოგი ბიუროკრატი-მეცნიერისთვის.

იმისთვის, რომ უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებს მოეთხოვოთ ხარისხიანი მუშაობა, ისინი უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ მაღალი ანაზღაურებით. ამისთვის კი უნდა არსებობდეს უმაღლეს სასწავლებელთა ფინანსური ოპერაციების გამჭვირვალე სისტემა და მუდმივი მკაცრი კონტროლი პედაგოგთა და სტუდენტთა ასოციაციების მხრიდან.

დღესდღეობით უმაღლეს სასწავლებლებში დასაქმებული სპეციალისტების ნაწილი მოქმედებს არა იმ პრინციპით, რომ აღზარდოს ნიჭიერი, კრიტიკულად მოაზროვნე, კარგი პროფესიონალები, არამედ იმ ნიშნით, რომ ხელი შეუწყოს რექტორს და მისი ადმინისტრაციის ნაწილს ძალაუფლების დამკვიდრებასა და ფინანსური სარგებლის მიღებაში. ამ მხრივ ორივე მხარე მოგებულია, როგორც ადმინისტრაცია, ისე მისადმი ლოიალური პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც სისტემატურად სარგებლობენ პრივილეგიებით (მაღალი ანაზღაურების თუ სხვა სოციალური ხელშეწყობის სახით). პრაქტიკულად, უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი დამოკიდებულია კათედრაზე, ფაკულტეტზე, საბოლოო ჯამში კი უნივერსიტეტის ადმინისტრაციაზე, რომელიც ანაწილებს სამუშაო საათებს და განსაზღვრავს

ხელფასის რაოდენობას. მაღალი ხელფასი დამოკიდებულია სამუშაო საათების რაოდენობაზე. თუ პედაგოგი ან პროფესორი გამოირჩევა თავისი კრიტიკული დამოკიდებულებით ადმინისტრაციისადმი, მას აქვს მეტად არახელსაყრელი სამუშაო პირობები: დამატებითი საათების მცირე რაოდენობა, შესაბამისად, მცირე ხელფასი, უვარგისი აუდიტორია, არახელსაყრელი სამუშაო დრო და სხვ., რასაც ქართულ რეალობაში სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება, ხელფასიდან დაწყებული, აუდიტორიით დამთავრებული, გათბობის უქონლობის პირობებში, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში.

ადმინისტრაციისადმი კრიტიკული განწყობა საქართველოში შეიძლება ნიშნავდეს წარმატებულ კარიერასაც. სამწუხაროდ, ცნობილია ბევრი ფაქტი, როდესაც შელახული რეპუტაციის მქონე პირი იკავებს კათედრისა თუ ფაკულტეტის ხელმძღვანელის პოსტს მხოლოდ იმიტომ, რომ უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციაზე მას აქვს კომპრომატი და ხელმძღვანელებს ურჩევნიათ, დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნები. ხშირ შემთხვევაში ასეთი ტიპის ადამიანები მიისწრაფიან, რომ გახდნენ უმაღლესი სასწავლებლის კორუმპირებული სისტემის ნაწილი და შეინარჩუნონ პრივილეგიები.

კრიტიკულად მოაზროვნე პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც ვერ ეგუებიან უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ უკიდურესად მძიმე მორალურ თუ მატერიალურ ვითარებას და მასმედიის საშუალებით ამხელენ იქ არსებულ პრობლემებს, ზოგ შემთხვევაში თავისუფლდებიან სამსახურებიდან. მაგალითად, ჟურნალისტმა აკაკი გოგიჩაიშვილმა, სამაუწყებლო ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის გადაცემა "60 წუთის" ავტორმა, საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არსებული ვითარება. ამის შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, მას ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩამოართვეს ლექციების წაკითხვის უფლება, მიუხედავად სტუდენტების დიდი მხარდაჭერისა. სამწუხაროა, რომ ამ მეტად საინტერესო ჟურნალისტის ცოდნა და გამოცდილება მომავალი სპეციალისტებისთვის დღეს გამოუყენებელია.

დისიდენტი-პედაგოგების დევნის მაგალითები არცთუ ბევრია უნივერსიტეტებში, მხოლოდ იმის გამო, რომ პედაგოგთა შერჩევა ხდება ზემოთ აღნიშნული სისტემის შესაბამისად.

კიდევ ერთი მწვავე სოციალური პრობლემაა უმაღლესი სასწავლებლების ასაკოვანი პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც აფერხებენ ახალგაზრდა კადრების მოზიდვის პროცესს. ამ პრობლემის არსებობა აიხსნება იმ გარემოებით, რომ ასაკოვანი პედაგოგები წარმოადგენენ ადმინისტრაციის ერთ-ერთ საყრდენ ძალას და არსებული ვითარების შენარჩუნების საუკეთესო მექანიზმს. ეს ის სოციალური ჯგუფია, რომელიც მწირი ანაზღაურების სანაცვლოდ, მზადაა პროტესტის გამოხატვის გარეშე იარსებოს არსებულ სისტემაში და მხოლოდ ფორმალურად გამოთქვას უკმაყოფილება არსებული ანაზღაურებით. ამით ისინი კორუმპირებული ადმინისტრაციის მოკავშირეები ხდებიან. ჩვენი აზრით, ამ სოციალური ჯგუფის დაკმაყოფილება სათანადო, მაღალი პენსიებით, უმაღლეს სასწავლებლებს საშუალებას მისცემს, მომავალში უმტკივნეულოდ აამოქმედონ როტაციის პრინციპი.

## კანონპროექტის დადებითი და უარყოფითი მხარეები

უმაღლესი განათლების სისტემაში რეალურად არსებული ვითარება ცხადყოფს, რომ ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობა რადიკალურ ცვლილებებს საჭიროებს. საქართველოს პარლამენტმა 2002 წელის 1 მარტს მიიღო დადგენილება – საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებები.[20] ეს დოკუმენტი საფუძვლად დაედო ახალი კანონპროექტის მომზადებას. ახალი კანონპროექტი თავისი არსით გაცილებით უფრო პრაგმატულია, ვიდრე მოქმედი კანონმდებლობა:

1. იგი აუქმებს უმაღლესი განათლების სფეროში პრეზიდენტის ტრადიციულ უფლებამოსილებებს;
2. არღვევს მისაღები გამოცდების არსებულ ტრადიციას, შემოაქვს სკოლის დამთავრებისთანავე აბიტურიენტთა უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ახალი, ერთიანი სისტემა;
3. ამკვიდრებს დაფინანსების ახალ წესს, ორიენტირებულს არა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, არამედ სტუდენტთა ინდივიდუალურ დაფინანსებაზე ვაუჩერების მეშვეობით;
4. აწესრიგებს უმაღლესი საგანმანათლებლო ორგანიზაციების აკრედიტირებას;
5. ამკვიდრებს აკადემიური ხარისხების ერთსაფეხურიან სისტემას დღესდღეობით არსებული ორსაფეხურიანის ნაცვლად;
6. შემოაქვს სტუდენტთა მომზადების შეფასების, კრედიტების ახალი ნორმები;
7. ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახალი ტიპის მენეჯმენტის დანერგვას.

## კანონპროექტის უარყოფითი მხარეები:

1. მისი ბევრი პუნქტი ბუნდოვანია და ბოლომდე არაა გააზრებული;
2. არ იძლევა საკმარის სტიმულს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა დეცენტრალიზაციისათვის;
3. ახალი მართვის სისტემა მეტ ადმინისტრაციულ და ფინანსურ ძალაუფლებას უნდა ანიჭებდეს ფაკულტეტებსა და კათედრებს;
4. დასახვეწია რექტორის არჩევის ინსტიტუტი;
5. დასაზუსტებელია მომავალ კანონმდებლობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: ვინ გაუწევს ზედამხედველობას ამ ახალი სისტემის ფუნქციონირებას და რა დაფინანსება ესაჭიროება მას.

ვინაიდან ახალი პროექტი გაცილებით უკეთესია მოქმედ კანონმდებლობაზე, მისი მიღება აუცილებლად მიგვაჩნია, მაგრამ, ამასთანავე, საჭიროა გაგრძელდეს მუშაობა მისი შემდგომი დახვეწისათვის.

2004 წლის ზაფხულში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკონსულტაციო საბჭომ მოამზადა აღნიშნული კანონპროექტის ახალი ვერსია*, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული კანონპროექტის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ ვარიანტს. პრაქტიკულად, ის შეიძლება შეფასდეს, როგორც რევოლუციური, ვინაიდან რადიკალურად შეცვლის ვითარებას უმაღლესი განათლების სისტემაში.

**ახალი კანონპროექტის დადებითი და უარყოფითი მხარეები:**

**დადებითი:**

მასში გათვალისწინებულია ის ხარვეზები, რომელზეც ზევით იყო მითითებული, კერძოდ:

1. გაცილებით დახვეწილია კანონპროექტის შინაარსი და სტილი;

2. ის იძლევა საჯარო სამართლის იურიდიული პირის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის დეცენტრალიზაციის ძლიერ სტიმულს; დახვეწილია მართვის სისტემის სქემა, კერძოდ, უკეთ არის წარმოდგენილი ძალაუფლების გადანაწილების პრინციპი; გამიჯნულია უფლებამოვალეობები ორ ძირითად შტოს – აკადემიურ საბჭოს (მეცნიერთა უმაღლეს "წარმომადგენლობით" ორგანოს რექტორის ხელმძღვანელობით) და სენატს (პედაგოგებისა და სტუდენტების უმაღლეს ორგანოს სპიკერის ხელმძღვანელობით) შორის. ეს ორი ორგანო მოაზრებულია, როგორც ურთიერთდამბალანსებელი და მაკონტროლებელი სისტემა. ცალკეა გამოყოფილი ადმინისტრაციული აპარატი კანცლერის მეთაურობით;**

3. დახვეწილია საჯარო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებში თანამდებობებზე არჩევის სისტემა;

4. ახალი კანონპროექტი მეტ ადმინისტრაციულ და ფინანსურ ძალაუფლებას ანიჭებს ფაკულტეტებს, რაც მიგვაჩნია დადებით და სასარგებლო ინიციატივად. კერძოდ, ამ კანონპროექტის მესამე თავის "ე" მუხლი ითვალისწინებს უმაღლეს სასწავლებელთა ფაკულტეტების მიერ "კანონმდებლობითა და წესდებით დადგენილი წესით" მათი ფინანსებისა და ქონების განკარგვას;***

5. სხვა დადებით ინიციატივებს შორის გამოვყოფდით კანონპროექტის გარდამავალ მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც კანონის ძალაში შესვლისთანავე წყდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის უფლებამოსილება. საქართველოს პრეზიდენტი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წარდგინებით ნიშნავს დროებით მმართველს, ვიდრე 2006-2007 წწ არ ჩატარდება პირველი არჩევნები. დროებით მმართველს არა აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს მომავალ არჩევნებში. პირველი რექტორი აირჩევა მხოლოდ ორი წლით, ხოლო ყველა შემდგომი - კანონით გათვალისწინებული ვადით. რექტორობის, კანცლერობისა და ფაკულტეტის დეკანობის

---

* მისი გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს ვებგვერდზე: www.mes.gov.ge.

** საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (პროექტი),თავი IV,გვ. 11, www.mes.gov.ge.

*** საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (პროექტი), თბილისი, 2004, გვ.10,www.mes.gov.ge.

კანდიდატებს ჩაეთვლებათ "ვადა, რომლის განმაელობაშიც მათ ამ უმაღლეს სასწავლებელში ეკაეათ რექტორის და/ან ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა, მათ შორის, როგორც მოეალეობის შემსრულებებს". ვიმედოვნებთ, რომ ეს ინიციატივა პრაქტიკულად გაწმენდს უმაღლეს სასწავლებლებს არასახარბიელო რეპუტაციის მქონე ხელმძღვანელებისგან და დანერგავს საუკეთესო კადრების მოზიდეის პრინციპს;

6. სათანადოდაა გათვალისწინებული კადრების როტაციის პრინციპიც. აკადემიური საბჭოს შემადგენლობის ერთი მესამედი ექვემდებარება განახლებას ძირითადი სასწავლო კურსით დადგენილი ხანგრძლივობის ნახევრის გასვლის შემდეგ. ეს მოთხოვნა ხელს შეუწყობს თანამშრომლების მონაცვლეობას აკადემიურ საბჭოში და ხელს შეუწყობს სასწავლებლების მართვის გაუმჯობესებას.

პირობითად უარყოფითი მხარეები:

ახალი პროექტის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს აქვს უფლება, დაითხოვოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სენატი, თუ ის ზედიზედ ორჯერ ვერ გაივლის ინსტიტუციურ აკრედიტაციას (ეს დებულება გამართლებულად მიგვაჩნია); "შეუძლებელია კონკრეტულ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად შეთანხმება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულების მართვის ორგანოებს შორის". პრაქტიკულად, ეს დებულება მიუთითებს იმაზე, რომ უმაღლეს სასწავლებელში წარმოქმნილ კრიზისულ ვითარებაში ერთვება განათლებისა და მეცნიერების მინისტრი და ამყარებს წესრიგს. ამ შემთხვევაში მინისტრს უფლება აქვს, დაითხოვოს უმაღლეს სასწავლებლის რექტორიც და კანცლერიც.

გარდამავალ პერიოდში, როდესაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებები იმყოფებიან უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და მორალურ ვითარებაში, ეს მეტად ძლიერი დაქვემდებარება განათლების სამინისტროსადმი გამართლებულად მიგვაჩნია. მომავალში, როდესაც ვითარება თვისებრივად შეიცვლება მთლიანად რესპუბლიკასა და კერძოდ უმაღლესი განათლების სექტორში, ვიმედოვნებთ, შესაძლებელი გახდება უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიის აღდგენა.

ამ ეტაპზე დასახვეწად მიგვაჩნია სენატის, აკადემიური საბჭოსა და ადმინისტრაციის წევრების გაწვევის პირობები და პროცედურა, ვინაიდან ამაზე არაფერია ნათქვამი კანონპროექტში.

მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტის ტექსტი მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი შემდგომი რედაქტირება, საჯარო განხილვა პარლამენტის შესაბამის კომიტეტებსა და ქვეკომიტეტებში სხვა შენიშვნების გასათვალისწინებლად, რათა მომავალი კანონის ტექსტი სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი საქართველოს საზოგადოებისთვის.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი უმაღლესი განათლების შესახებ მიგვაჩნია მეტად მნიშვნელოვან და საჭირო დოკუმენტად, რომელიც უახლოეს დროში უნდა იქნას მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ.

# კორუფცია წამყვან საგანმანათლებლო ინსტიტუტებში

## განათლების სამინისტრო

უმაღლესი განათლების სისტემაში შექმნილი მდგომარეობა, გარკვეულწილად, განპირობებულია განათლების სამინისტროს ფუნქციონირებაში არსებული ხარვეზებითაც.

განათლების კანონის შესაბამისად (თავი მე-3, მე-18 მუხლი, 1 პუნქტი), განათლების სამინისტრო უფლებამოსილია, "ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა გაატაროს განათლების სფეროში, ასევე უხელმძღვანელოს განათლების სისტემის მართვის ორგანოებს (მე-4 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი").[21] მართალია, გაურკვეველია, მართვის რომელ ორგანოებზეა საუბარი, მაგრამ უდავოა, რომ განათლების სამინისტრო ახორციელებს განათლების დარგისა და მისი რგოლების საქმიანობის კოორდინაციას. ის აკონტროლებს მისდამი დაქვემდებარებულ 200-ზე მეტ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლებიც მას ფინანსურადაც ექვემდებარებიან. კანონის მიხედვით, განათლების მინისტრი კოორდინაციას უწევს ავტონომიური უნივერსიტეტების ფუნქციონირებას. იგი ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულებების ღონისძიებებს, ეროვნულ თუ საერთაშორისო ურთიერთობებსა და პროექტებს. რეალურად სამინისტროში მეტად მძიმე ვითარება იყო შექმნილი შევარდნაძის რეჟიმის დროს. მის მიმართ უამრავი საჩივარი არსებობდა როგორც უშუალოდ საზოგადოების, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდანაც. სამინისტროსადმი სამოქალაქო სექტორის მიერ წაყენებული ძირითადი ბრალდება ეხება სამინისტროს მიერ დარღვევებს სახელმწიფო ქონებისა და თანხების მართვაში.

ამ საკითხში უკეთ გასარკვევად შევისწავლეთ კონტროლის პალატის 2002 წლის მასალები, კერძოდ, განათლების სამინისტროს მიერ 2001 წლის პერიოდში გაწეული მუშაობის მონიტორინგის შედეგები. კონტროლის პალატის მასალები ააშკარავებს განათლების სამინისტროში არსებული კორუფციის მაღალ დონეს და მიუთითებს მატერიალურ და ფინანსურ დარღვევებზე:

მატერიალური ქონების მართვა. დარღვევები გამოვლინდა როგორც ნაგებობათა, ისე აღჭურვილობის ხარჯთაღრიცხვაში, რასაც ადასტურებს არსებული ოფიციალური დოკუმენტაციის მოუწესრიგებელი წარმოება. სამინისტროს არ გააჩნია სრულყოფილი დოკუმენტაცია მის მიერ ჩამოწერილი ქონების შესახებ. ფაქტობრივად,ჩამოწერილი იქნა დაახლოებით 9 976 500 ლარის (ანუ დაახლოებით 4,5 მილიონი დოლარის) ღირებულების საქონელი, მაგრამ სამინისტრომ ვერ წარმოადგინა შესაფერისი დოკუმენტაცია ინვენტარიზაციის სათანადო კონტროლის არარსებობის გამო (იხ. დანართი 2).

კონტრაქტების მენეჯმენტი. გამოვლენილია მთელი რიგი დარღვევები სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციებისთვის ქონების დროებითი გადაცემის საქმეში. ორგანიზაციები, უმეტესწილად, უკანონოდ ითვისებდნენ ქონებას ან შელახული სახით უბრუნებდნენ სამინისტროს, რაზეც ეს უკანასკნელი არ ახდენდა არანაირ რეაგირებას.

ფინანსების მართვა. სამინისტროს დაავალიანებები პრაქტიკულად არ არის სათანადოდ აღრიცხული, არ არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია. სამინისტროს გააჩნდა საბიუჯეტო დავალიანება სტუდენტთა ჩარიცხვის სახელმწიფო დაკვეთის სისტემატური გადაჭარბების გამო. 2001 წელს განათლების სამინისტრომ დაუშვა, საბიუჯეტო სექტორზე მიეღოთ გეგმით გათვალისწინებულზე 3 759-ით მეტი სტუდენტი,[22] რამაც შექმნა კორუფციის დამატებითი წყარო როგორც სამინისტროს, ისე უმაღლესი სასწავლებლების დონეზე.

საზოგადოების სამართლიან აღშფოთებას იწვევდა სამინისტროს მიერ არაობიექტურად ჩატარებული ტენდერების პრაქტიკაც, რომელშიც იმარჯვებდა არარენტაბელური პროექტები, თუმცა ამის შესახებ არაფერია ნათქვამი კონტროლის პალატის მასალებში.

ჩვენი აზრით, კონტროლის პალატის დოკუმენტები სრულად არ ასახავს სამინისტროს საქმიანობაში არსებულ ხარვეზებს, ვინაიდან თვით კონტროლის პალატა იყო კორუმპირებული, სარგებლობდა რესპუბლიკაში არსებული განუკითხაობით და აწარმოებდა "სტრატეგიულად მნიშვნელოვანი" ობიექტების უკანონო საქმიანობის მეტად ზერელე შესწავლას. მაგალითად, სერიოზული დარღვევები განათლების სამინისტროს მიერ ტენდერების ჩატარებისას არ გამხდარა მათ მიერ სპეციალური შესწავლის საგანი. მიუხედავად ამისა, კონტროლის პალატის მასალები მაინც იძლევა საკმარის ფაქტებს იმისათვის, რომ აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე განათლების სამინისტროს ხელმძღვანელების საქმიანობაზე. ამ თვალსაზრისით კონტროლის პალატის რეკომენდაციები იმის თაობაზე, რომ გამოკვლეული მასალების შესახებ უნდა ეცნობოს განათლების სამინისტროს ხელმძღვანელებს, ზედმეტად ლმობიერი, შეიძლება ითქვას, დანაშაულებრივიც კი იყო, ვინაიდან მოხსენებებში მოცემული ფაქტები აშკარად იმსახურებდა სისხლის სამართლის კოდექსის კონტექსტში განხილვას (კონტროლის პალატის მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათის სრული ტექსტი იხ. დანართში 2).

2003 წელს განათლების სამინისტროს მუშაობა ასევე ნეგატიურად შეაფასეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ და საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ (მათ მიერ მომზადებული მოხსენების – "2001 წელს განათლების სამინისტროს მიერ გაწეული ხარჯების სამოქალაქო მონიტორინგის შედეგების" – მასალები იხ. დანართში 3). ამ ორგანიზაციების მიერ გაკეთებული დასკვნები შეესაბამება კონტროლის პალატის მიერ მოცემული შემოწმების შედეგებს. კერძოდ, დასაბუთებულია, რომ:

1. სამინისტროს მიერ შედგენილი პროგრამები ძალიან დაბალპროფესიონალურ დონეზეა შესრულებული;

2. სამინისტროს საქმიანობა არ შეესაბამება განათლების სახელმწიფო პოლიტიკას. პროგრამების ეფექტურობა ძალზე დაბალია;

3. არსებობს სერიოზული პრობლემები საბუღალტრო აღრიცხვაში. ხშირია დოკუმენტაციის ფალსიფიცირება და კანონის დარღვევით გამოყენება. სამინისტრო არასწორად განკარგავს საბიუჯეტო თანხებს.[23]

ჩვენი აზრით, საქართველოს არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ეს მეტად საინტერესო გამოკვლევა სათანადო რეაგირების გარეშე დარჩა.

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს ხელმძღვანელები გამუდმებით არღვევდნენ კანონს, ბოროტად იყენებდნენ მათ ხელთ არსებულ ფონდებს, რაზედაც საკმარისი ინფორმაცია არსებობდა, კომპეტენტურმა ორგანოებმა არ ამხილეს სამინისტროს ხელმძღვანელობა სამოხელეო დანაშაულში, სისხლის სამართლის კოდექსის XXXIX თავის შესაბამისად. საქართველოში პრაქტიკულად სისხლის სამართლის კოდექსი არსებობდა რეალური ცხოვრებისგან განყენებულად. ბიუროკრატების დაუსჯელობა ქმნიდა რესპუბლიკაში კორუფციის აღზევებისთვის ხელსაყრელ გარემოს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2002 წლის სტატისტიკური მაჩვენებლები ცხადყოფს ამ ტენდენციას. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით რეგისტრირებული იყო მხოლოდ 96 დანაშაული, გახსნილი – 95, სამსახურებრივი გულგრილობისთვის – 65 (იხ. დანართი I, ცხრილი 18). მხოლოდ “ვარდების რევოლუციის” შემდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე განათლების ყოფილი მინისტრის, ა. კარტოზიასა და მისი ყოფილი მოადგილის, ვ. სანაძის წინააღმდეგ.

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პრაქტიკულად, იგივე სახის დარღვევები აღინუსხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც.

2002 წელს კონტროლის პალატამ ჩაატარა თსუ-ს ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი. შესწავლილი იქნა 2000-2002 წწ. მონაცემები და გამოვლინდა ბევრი დარღვევა როგორც საფინანსო, ისე ადმინისტრირების სხვა სფეროებშიც.[24]

ფინანსური დარღვევები. ნაკლოვანებები გამოვლინდა მოლარის საქმიანობაში, სალაროს წიგნის წარმოებაში, სალაროს ნაშთების დაანგარიშებაში, სალაროდან თანხების გამოტანაში საქვეანგარიშო ვალდებულებების დაუხურავად. ადგილი ჰქონდა ასევე ფინანსურ გადახარჯვებს, რამაც 2000-2001 წელს შეადგინა 153 200 ლარი, ვინაიდან უნივერსიტეტმა არ განახორციელა შტატების დაგეგმილი 10%-იანი შემცირება (იხ. დანართი 4).

სახელმწიფო დაკვეთები. ყოველწლიურად თსუ არღვევდა სახელმწიფო დაკვეთებს. 2000/20001 სასწავლო წელს კანონით გათვალისწინებულზე 158-ით, ხოლო 20001/2002 წელს 224 სტუდენტით მეტი იქნა მიღებული. ეს ნეგატიურად აისახებოდა სასწავლო პროცესზე და ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს კორუფციული გარიგებებისათვის.

ჭვირნიშნიანი ფურცლები და დიპლომები. სასწავლო-მეთოდურ სამმართველოში თანხების მიღება ხდებოდა ქვითრების გაცემის გარეშე. კონტროლის პალატის მასალებში მითითებულია: “არ არის ნაწარმოები ჭვირნიშნიანი ფურცლებისა და დაბეჭდილი დიპლომების რეგისტრაციისა და მოძრაობის ჟურნალები” (იხ. დანართი 4).

გადახარჯვა. კომუნალური მომსახურების ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდით “2000/2001 წლებში ადგილი ჰქონდა ფაქტობრივი ხარჯების დიდი ოდენობით

გადამეტებას დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებთან მიმართებაში 2000 წელს, შესაბამისად, 717 600 და 719 600 ლარით, ხოლო 2001 წელს – 721,5 ათასი ლარით". გადახარჯვა ძირითადად გამოწვეული იყო "წყლის ხარჯვასა და აღრიცხვიანობაზე სათანადო კონტროლის არარსებობით და მოწოდებული წყლის ღირებულების დროულად გადაუხდელობის გამო საურავების დარიცხვით, რამაც 2002 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 608,1 ათასი ლარი შეადგინა".

სახელმწიფო შესყიდვები. არ სრულდებოდა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები. "2000-2001 წლების განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვები ტენდერის გზით საერთოდ არ განხორციელებულა", მითითებულია კონტროლის პალატის მასალებში.[25]

კონტროლის პალატის თანამშრომელთა მოხსენებითი ბარათის სრული ტექსტი იხ. დანართში 4. თსუ-სა და განათლების სამინისტროს შემოწმების მასალების სრული ანგარიში ინახება როგორც კონტროლის პალატაში, ისე სხვადასხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებში. ინფორმაცია საჯაროა და ყველათვის ხელმისაწვდომი.

## კონტროლის პალატის მასალების ხარვეზები

კონტროლის პალატის მიერ მოპოვებული ინფორმაცია მეტად საინტერესოა, ვინაიდან წარმოადგენს სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ თსუ-ს ფინანსური თუ სხვა მატერიალური დარღვევების შეჯამების მცდელობას. ეს დოკუმენტი კარგად ავლენს თვით კონტროლის პალატაში არსებულ პრობლემებსა და მუშაობის ხარვეზებს. ნათელს ხდის, თუ რაოდენ დასახვეწია იქ დამკვიდრებული სისტემა:

აღნიშული დოკუმენტები არ არის პროფესიულ დონეზე მომზადებული. გადატვირთულია ზედმეტი დეტალებით, მაშინ, როდესაც არაა ღრმად შესწავლილი კონკრეტული გარიგებების ფაქტები.

მასალები ცხადყოფს, რომ მატერიალურ-ფინანსური დარღვევები გაცილებით სერიოზულ ხასიათს უნდა ატარებდეს, ვიდრე ეს დოკუმენტებშია ნაჩვენები. გასაოცარია, რომ კონტროლის პალატის საბოლოო (ერთადერთი) რეკომენდაცია გულისხმობს შემოწმების შედეგების წარდგენას თსუ-ს საბჭოსთვის ("დიდი საბჭო") და არ გახდა უფრო ღრმა შესწავლისა თუ სპეციალური გამოძიების საგანი. კონტროლის პალატა დასჯერდა უნივერსიტეტის რექტორის წერილს, რომელშიც ის იუწყება სათანადო რეაგირების შესახებ. აღნიშული წერილიც ისეთივე ფორმალურია, როგორც თვით მოხსენებითი ბარათი. პრაქტიკულად, რექტორმა საყვედურიც კი არ გამოუცხადა პასუხისმგებელ პირებს და "მკაცრი გაფრთხილებით" შემოიფარგლა (რექტორის წერილის სრული ტექსტი იხ. დანართში 5).

გასაკვირი არაა, რომ თსუ-ში დღესაც ადგილი აქვს უნიათო მართვას, რაც კარგად ვლინდება იქ არსებულ მატერიალურ თუ ფინანსურ სიდუხჭირეში, აუდიტორიების სავალალო იერსახეში, საპირფარეშოებში არსებულ ანტისანიტარიაში, ბიბლიოთეკისა და არქივის მოშლასა და უფუნქციობაში, რაც ასევე დამახასიათებელია სხვა უმაღლესი სასწავლებლებისთვისაც (ფოტოები იქ არსებული ვითარების შესახებ იხ. დანართში 6).

პრაქტიკულად, თსუ-ში არსებული სიდუხჭირისა და სავალალო მდგომარეობის უშუალო მსხვერპლი იყო სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობდა ადმინისტრაციის გარიგებებში. ყველა დანარჩენს კი აწყობდა არსებული სისტემა, ყოველნაირად ხელს უწყობდა მის შენარჩუნებას და არ იმაღლებდა ხმას არსებული დარღვევების წინააღმდეგ. მეტიც, თსუ-ს პროფესორ-მასწავლებლების მთელი რიგი მიიჩნევდა, რომ ამ უმაღლეს სასწავლებელს ჰქონდა მეტად სერიოზული მიღწევები, რაც ყოველწლიურად აისახებოდა გამოქვეყნებულ ანგარიშებში.[26]

## მასმედია და სხვა კვლევები

უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული კორუფცია ბევრჯერ ყოფილა მხილებული როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პრესაში თუ ცალკეულ ნაშრომებში.[27] გამოქვეყნებული მასალები ეწინააღმდეგება მხოლოდ მსოფლიო ბანკის მონაცემებს, რომელიც ეფუძნება 2000 წელს საქართველოში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებს. მონაცემების მიხედვით, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები შეფასებული იყო ნაკლებად კორუმპირებულ ორგანიზაციებად. ამ კვლევის თანახმად, აღნიშნულ სექტორში ქრთამის მოთხოვნის რაოდენობა პროცენტულად ყველაზე დაბალია, ხოლო კორუფციის დონე – "მოკრძალებული".[28] მოხსენების შესაბამისად, უმაღლესი სასწაელებლები გამოირჩევა პატიოსნებითა და შეუვალობით, რაც ეწინააღმდეგება ჩვენ მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებს. გამოკვლევებს შორის არსებული 3-წლიანი სხვაობა (მსოფლიო ბანკის გამოკითხვა ჩატარდა 2000 წელს, ჩვენი – 2003 წელს) უმნიშვნელოა, ვინაიდან შევარდნაძის რეჟიმის დროს წლების მანძილზე სერიოზულად არავინ ებრძოდა კორუფციას, მით უფრო, უმაღლესი განათლების სფეროში.

საქართველოში გამოცემული იყო მეტად საინტერესო ცალკეული ნაშრომები, სადაც გაანალიზებული იყო უმაღლესი განათლების აქტუალური პრობლემები, მათ შორის კორუფციის საკითხებიც. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გ. თევზაძის ნაშრომი "საქართველოს განათლების სისტემაში აუცილებელი ანტიკორუფციული მოქმედებების შესახებ", ა. კახნიაშვილის პუბლიკაცია "კორუფცია საქართველოს უნივერსიტეტებში".[29]

## სოციოლოგიური გამოკითხვის დასკვნები

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში კორუფციის პრობლემების შესასწავლად სპეციალურად ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა, კერძოდ, 60 ჩაღრმავებული ინტერვიუ: 30 ინტერვიუ – საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მომუშავე ექსპერტებთან, 15 – სტუდენტებთან და 15 – მშობლებთან. მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ აღნიშნული გამოკვლევა ჩატარდა 2003 წლის გაზაფხულზე. მოხსენებაში მოცემული მასალა სრულად შეესაბამება საქართველოს საზოგადოებაში არსებულ მაშინდელ შეფასებებსა და მოსაზრებებს.

ექსპერტთა ჯგუფში შედიოდნენ წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები და მეცნიერ-მუშაკები (ისტორიკოსები, სოციოლოგები, პოლიტოლოგები, იურისტები, ფიზიკოსები, ადმინისტრაციის ზოგიერთ წარმომადგენელი, 24 მამაკაცი და 6 ქალი). გამოკითხულთა ასაკობრივი მონაცემები: 30% იყო 41-50 წლის, 26% – 31-40, 17% – 51-61, 13% - 60 წელს ზევით, ხოლო 13,3% კი – 30 წლამდე. გამოკითხულთაგან ათი იყო არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. გამოკითხულ ექსპერტთა უმრავლესობა მონაწილეობდა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო კანონმდებლობის ახალი პროექტის შემუშავებაში.

შერჩეული იყო ასევე 15 მშობელი, რომელთა შვილებიც სწავლობდნენ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში: შვიდი მათგანი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ერთი – პედაგოგიურ უნივერსიტეტში, ერთი – სამედიცინო უნივერსიტეტში, ხუთი – ტექნიკურ უნივერსიტეტში და ერთიც – თეატრალურ ინსტიტუტში (რესპონდენტებიდან 13 იყო ქალი, ორი – კაცი). ამ ჯგუფის წევრთა ასაკი 38-59 წელი იყო. მათი ოჯახების ყოველთვიური შემოსავალი მერყეობდა 50-დან 100 ლარამდე. მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა არ დაასახელა ოჯახის ბიუჯეტის რაოდენობა. ოჯახის წევრთა შემადგენლობა 2-დან 6 წევრამდე მერყეობდა.

15 გამოკითხული სტუდენტიდან ათი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მათ შორის იყო ხუთი ვაჟი და ხუთი ქალი. სამი სტუდენტი (ქალი) სწავლობდა ტექნიკურ უნივერსიტეტში, ხოლო ორი ვაჟი – სამედიცინო უნივერსიტეტში. ასე რომ, გამოკითხული იყო საქართველოს სამი წამყვანი უნივერსიტეტის სტუდენტები. ეს სასწავლებლები განიხილება პრესტიჟულ სახელმწიფო უნივერსიტეტებად და იღებს (სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით) ყველაზე დიდ დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

პროცესების უფრო ღრმა ანალიზისთვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრობლემები ორ ჯგუფად იყო დაყოფილი. პირველი ბლოკის პრობლემები ზოგადად საქართველოში გავრცელებულ კორუფციას ეხებოდა, ხოლო მეორე – უშუალოდ კორუფციას უმაღლესი განათლების სისტემაში.

საერთო ჯამში დისკუსია გაიმართა 89 საკითხის ირგვლივ: ექსპერტებთან განხილული იყო 25 საკითხი, მშობლებთან და სტუდენტებთან 32-32 (საკითხების რაოდენობრივი სხვაობა აიხსნება სოციალური ჯგუფების სპეციფიკით. კითხვარი იხ. დანართში 7).

ყველა რესპონდენტმა კორუფცია განსაზღვრა, როგორც უარყოფითი მოვლენა, თანამდებობის პირთა მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. გამოკითხულთა უმრავლესობამ კორუფცია მიიჩნია საზოგადოებისათვის საშიშ მოვლენად, რომელიც ხელს უშლის ერის ჯანსაღ განვითარებას. შესაბამისად, ის უნდა დაიგმოს და აღმოიფხვრას. პასუხები უმეტესწილად ერთგვაროვანი იყო. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე სოციოლოგიური გამოკითხვა ჩატარდა 2003 წლის გაზაფხულზე, "ვარდების რევოლუციამდე" ნახევარი წლით ადრე. ამიტომ კიდევ ერთხელ გვინდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ მოხსენებაში მოცემული მასალა განხილული იქნას ისტორიულ პრიზმაში.

## რესპუბლიკაში არსებული კორუფციის შესახებ

### *კორუფციის მასშტაბები საქართველოში*

თითქმის ყველა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში კორუფციის გავრცელების დონე ძალზე მაღალია. მათი აზრით, "ამ პროცესში მთელი საზოგადოებაა ჩათრეული. ყოველი ფეხის ნაბიჯზე ეხედებით ამ მოვლენას (სამსახურში მიღებისას, სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევისას, სამთავრობო სტრუქტურებში, როგორც ცენტრში, ისე რეგიონებში)". დასახელებული იყო ისეთი უმნიშვნელო სფეროც კი, როგორიც ცეკვის შემსწავლელი კურსებია. ბევრი ექსპერტის აზრით, კორუფციას ღრმად აქვს ფესვები გადგმული საზოგადოებაში და მისი აღმოფხვრა საკმაოდ რთულია. ის მიჩნეულია ნორმად და მასთან საბრძოლველად არაფერი კეთდება.

### *ყველაზე კორუმპირებული ორგანიზაციები*

ყველაზე კორუმპირებულ ორგანიზაციებად დასახელდა საბიუჯეტო: სამართალდამცავი, საფინანსო, მაკონტროლებელი სტრუქტურები. მათ რიცხვს ემატება ის ორგანიზაციებიც, რომლებიც დაკავებულნი არიან გრანტების, ჰუმანიტარული დახმარებებისა და კრედიტების განაწილებით. ნაკლებად კორუმპირებულად იქნა მიჩნეული არასამთავრობო ორგანიზაციები.

ზოგი სტუდენტის აზრით, კორუმპირებული გარემო აიძულებდა ადამიანს, ჩართულიყო არსებულ სისტემაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, მისი მსხვერპლი გამხდარიყო. სხვა რესპონდენტებმა დაასახელეს მაგალითები, როდესაც სისტემამ ვერ აიძულა პიროვნება, გამხდარიყო კორუმპირებული (პოლიციაშიც კი).

### *ყველაზე კორუმპირებული სოციალური ჯგუფი*

ყველაზე კორუმპირებულ სოციალურ ჯგუფად ექსპერტებმა დაასახელეს ქვეყნის მმართველი ფენა, ზოგიერთმა სტუდენტმა კი ის, ვინც წარსულში სოციალისტურ ელიტას წარმოადგენდა.

ექსპერტთა აზრით, რაც უფრო მაღალ თანამდებობაზეა მოხელე, მით უფრო ხშირია გამოძალვის ფაქტები, დიდია ქრთამის მოცულობა და კორუფციის მასშტაბი. ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, მაღალი თანამდებობის პირები არწმუნებდნენ ხალხს, რომ ცხოვრებაში წინსვლა ქრთამის გარეშე შეუძლებელი იყო. ზოგიერთი სტუდენტის აზრით, „კორუფციული კულტურულ-ფსიქოლოგიური გარემო, განწყობა შექმნილი იყო თვით ელიტის მიერ, რომლის ლიდერი, ვითომდა პატიოსანი კაცის სახელით ეხმარებოდა ხალხს უკანონოდ ნაშოვნი ფულით". ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, ნაწილობრივ დამნაშავე იყო მასმედიაც, ვინაიდან ის მხარს უჭერდა აშკარად კორუმპირებულ პირებს. ეს კი არღვევდა იმ მორალურ ბარიერს, რომლის მეშვეობითაც ბევრი ადამიანი თავს იკავებდა და არ იყო ჩართული კორუფციაში.

### *კორუფციის მიზეზები*

რესპონდენტებმა დაასახელეს მთელი რიგი მიზეზებისა, რომელიც იწვევდა საზოგადოებაში კორუფციის გავრცელებას, მათ შორის:

### *ქვეყნის მართვის ისტორიული გამოცდილება*

ექსპერტმა-რესპონდენტებმა საქართველოში კორუფციის განვითარების მეტად საინტერესო კულტურულ-ისტორიული ასპექტები წარმოაჩინეს. მათი აზრით, კორუფციის განვითარების სტიმულად იქცა ვასალთა ინსტიტუტი, რომელიც ეყრდნობოდა დაბალი ანაზღაურების სისტემას. საქართველოში, შაჰის რეჟიმიდან მოყოლებული, ფართო გავრცელება ჰპოვა მცირე ანაზღაურებამ ან საერთოდ არანაზღაურებამ სახელმწიფო მოხელეებისთვის. განსაკუთრებით ეს ვრცელდებოდა მათზე, ვინც დაკავებული იყო გადასახადების აკრეფით ან მოსახლეობასთან იყო უშუალო კონტაქტში და შეეძლო იმდენი ფული ამოეღო, რამდენსაც კი შეძლებდა.*

გამოითქვა მეორე მოსაზრებაც: 200 წლის განმაელობაში საქართველოს დაკარგული ჰქონდა სახელმწიფოებრიობა, რამაც მოსახლეობას მოუსპო საკუთარი სახელმწიფოს აღქმის კულტურა. მოსახლეობის ცნობიერებაში სახელმწიფოსთვის მოპარვა გაიგივებული იყო დამპყრობლისათვის მოპარვასთან, რაც დამახასიათებელია დაპყრობილი ხალხის მენტალიტეტისთვის და, შესაბამისად, ზეგავლენას ახდენს ქვეყნის მართვაზე.

რესპონდენტთა აზრით, საქართველოში კორუფციის განვითარებას ხელი შეუწყო თანამედროვე პროცესებმაც. 1992 წელს ხელისუფლების უკანონო გზით შეცვლამ, ძალაუფლების უზურპაციამ საზოგადოებაში დაამკვიდრა მორალური ღირებულებებისა და კანონის უზენაესობის უგულებელყოფა, კერძოდ, სიხარბის, ტყუილის, ძალადობის პრინციპი, რამაც გამოიწვია კორუფციის მასშტაბების ზრდა საზოგადოებაში.

იყვნენ ისეთი რესპონდენტებიც, რომელთაც მიაჩნდათ, რომ კორუფციას არაფერი ჰქონდა საერთო ეროვნულ კულტურასთან თუ ფსიქოლოგიასთან და ეს ფენომენი

---

* ამ ისტორიულ პრობლემას უფრო ღრმა ფესვები აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში წარმოგიდგენთ მხოლოდ რესპონდენტების აზრს.

არ არის შეზღუდული დროსა და სივრცეში. ერთ-ერთ რესპონდენტს მიაჩნდა, რომ "კორუფცია მოდის აბელისა და კაენის დროიდან და ის ყველა ერისა თუ ყველა ისტორიული ეპოქის მახასიათებელია".

*ცხოვრების წესის სპეციფიკა*

ექსპერტთა ნაწილს მიაჩნია, რომ კორუფციის წარმოშობის მიზეზი თვით ერის კულტურულ ტრადიციებშია საძიებელი, რომელსაც ეფუძნება ეროვნული ცნობიერება. ერი, რომელიც ნაკლებად ორიენტირებულია შრომის "კულტზე", განწირულია კორუფციისათვის. ზოგიერთი ქართული ტრადიცია, რომლითაც ერი ამაყობს (მაგალითად სტუმართმოყვარეობა, გრანდიოზული წვეულებები, ძვირფასი ტანსაცმელი,ნივთები,ზოგადად ფუფუნებისაკენ ლტოლვა და სხვ.) ძვირადღირებული სიამოვნებაა. ამგვარი ტრადიციებით ცხოვრება კი უდავოდ მოითხოვს სახელმწიფო მოხელეების ჩაბმას კორუფციაში, ასკვნის ზოგი გამოკითხული.

რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ საქართველოში ღრმად აქვს ფესვები გადგმული მეგობრობისა და ნათესაობის კულტს, რის გამოც რიგით სამუშაოზე თუ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე შერჩევა ხდება არა პროფესიონალიზმის ნიშნით, არამედ პირადი კავშირებით.

რესპონდენტთა აზრით, ასევე კორუფციის წყაროს წარმოადგენს საჭირო ადამიანის პატივისცემის ტრადიცია ფულით ანდა რაიმე სამსახურის გაწევით.

კორუფციის განვითარებას ასევე ხელს უწყობს ქართული ოჯახური ღირებულებანი. პრესტიჟულად ითვლება, პიროვნებას ჰქონდეს მდიდარი ოჯახი. თუ ასეთი ოჯახის შვილები საქართველოში იღებენ განათლებას, ხშირ შემთხვევაში სწავლობენ უმაღლესი სასწავლებლის უფასო სექტორზე. პრესტიჟულად ითვლება, თუ მშობელი ოფიციალურად არ იხდის ფულს შვილების განათლებაში, ანუ ისინი, ასე ვთქვათ, „ნიჭიერები" არიან. პრესტიჟულად ითვლება, იყო ნიჭიერი და ჭკვიანი. სწორედ პრესტიჟის შენარჩუნებისათვის იხდიან მშობლები ფულს, მაშინ, როცა ასეთი ოჯახების შვილები ხშირად განათლების დაბალი დონითა და ქცევის დაბალი კულტურით გამოირჩევიან, მიიჩნევს ერთ-ერთი გამოკითხული. ქრთამის მიცემა საქართველოში, საზოგადოების ნაწილისთვის პრესტიჟულადაც იქცა. სამწუხაროდ, სტუდენტთა გარკვეული ნაწილიც ასე ფიქრობს.

ექსპერტთა მხოლოდ მცირე ნაწილი თვლის, რომ კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობა დამოკიდებულია ოჯახის ეთიკურ ნორმებზე და მათი კულტურის დონეზე.

საქართველოში კორუფციის გავრცელების კიდევ ერთ, ეთნოფსიქოლოგიურ ფაქტორს წარმოადგენს გადაჭარბებული ლტოლვა პირველობისაკენ,რაც ხშირად იწვევს მიზნის მიღწევას ნებისმიერი საშუალებით.

### *ყოველდღიური რეალობა*

რესპონდენტთა აზრით, საზოგადოებისთვის ყველაზე საზიანოა ყოველდღიური უარყოფითი გამოცდილება. „თუ კანონს დაემორჩილები, წაგებული დარჩები და უამრავი პრობლემა შეგექმნება. საზოგადოების ნებისმიერ სფეროში ბიუროკრატებთან ურთიერთობა თითქმის ყოველთვის კორუფციული გარიგებით მთავრდება. თუ ქრთამს მისცემ, ცხოვრება გაგიადვილდება, ხოლო თუ კორუფციულ სისტემაში ჩაებმები, გაურიგდები თანამდებობის პირებს, მაშინ წარმატებას მიაღწევ, ვინაიდან მთავრობა უძლურია, უზრუნველყოს მოქალაქენი მინიმალური სოციალურ-ეკონომიკური მომსახურებით", თვლის ზოგი რესპონდენტი.

ამავე მოსაზრებას ადასტურებს სხვა რესპონდენტის გამონათქვამიც: „საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი, რაც მეტს მოიპარავ, მით მეტად დაცული და შეძლებული იქნები". დღესდღეობით სამსახურში მისაღებად პიროვნებას უნდა ჰქონდეს ქრთამისათვის გამიზნული თანხა. რესპონდენტის ერთ-ერთმა ნათესავმა 200-ლარიანი ანაზღაურების სამსახურში მისაღებად 500 აშშ დოლარი ქრთამი გადაიხადა.

რესპონდენტთა აზრით, „მმართველი წრეებისთვის უფრო ადვილია, მხარი დაუჭირონ კორუფციას, ვიდრე კანონის ფარგლებში იცხოვრონ, ვინაიდან მთელი სახელმწიფო საკუთრება არაკანონიერი გზით ინაცვლებს კერძო პირთა მფლობელობაში. ამიტომ არსებული რეჟიმისათვის ყველაზე ცუდი, რაც კი შეიძლებოდა მომხდარიყო, იქნებოდა მართვა კანონის დაცვით და მისდამი დამორჩილებით". სხვა ექსპერტის აზრით, "თანამდებობის პირებს არ შეუძლიათ კორუფციასთან ბრძოლა, ვინაიდან თვითონ არიან კორუმპირებულები და ამავე წესით მართავენ საზოგადოებას".

### *კორუფციის სოციალურ-ეკონომიკური მოტივები*

კორუფციის გავრცელების ძირითად სოციალურ-ეკონომიკური მოტივებად დასახელდა:

- დაბალი ანაზღაურება;
- საზოგადოების დიფერენციაცია უკიდურესად მდიდრებად და ღატაკებად;
- საშუალო ფენის არარსებობა;
- სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და უფრო მაღალ სოციალურ საფეხურზე გადასვლის სურვილი.

### *კორუფციის შედეგები*

რესპონდენტების აზრით, „ბევრი ადამიანი ილტვის კორუფციის სისტემაში ჩართვისათვის, ვინაიდან მატერიალური თვალსაზრისით ეს ძალზე მომგებიანია". ექსპერტთა უმრავლესობა თვლის, რომ ეს არის ძირითადი მიზეზი საქართველოში კორუფციის ფართოდ გავრცელებისა და ცხოვრებისეულ ნორმად ქცევისა. ექსპერტთა აზრით, საზოგადოებას უბრალოდ არ ესმის, როგორ შეიძლება

სხვანაირად მოიქცე, არ იყო კორუმპირებული, არ აიღო ქრთამი, თუ გაქვს ამის შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ ყველა რესპონდენტმა დაგმო კორუფცია და უარყოფითად შეაფასა კორუმპირებულ თანამდებობის პირები. ყველა ექსპერტმა მიუთითა იმაზე, რომ ისინი დიდად აფასებენ მათ გარშემო მყოფ პატიოსან ხალხს. იმავდროულად, რესპონდენტები იმასაც აღიარებენ, რომ "მოსახლეობის უმრავლესობა პრაქტიკულად კორუმპირებული სისტემის ნაწილია".

რესპონდენტები მიუთითებდნენ, რომ "რესპუბლიკაში შექმნილია ისეთი კულტურულ-ფსიქოლოგიური კლიმატი, სადაც პიროვნებას, თავისი სურვილის წინააღმდეგ, უხდება კორუფციულ სისტემაში ჩართვა და კორუმპირებულ ადამიანებთან თანამშრომ-ლობა". მათი აზრით,არსებობდა ორი ტიპის გარემოება,რომელიც განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო კორუფციის განვითარებისთვის: პირველი, როდესაც სისტემა ითრევდა ინდივიდს მისი სურვილის, ნების საწინააღმდეგოდ, მეორე, როდესაც ინდივიდი თავად იყენებდა სისტემას პირადი გამორჩენის მიზნით. პრობლემა ისაა, რესპონდენტთა აზრით, რომ ყველა გმობდა კორუფციას, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, ერთი ნაწილი იბრძოდა მის წინააღმდეგ, მეორე კი იცავდა მას.

საყურადღებოა, რომ, ერთი მხრივ, საზოგადოებას აღიზიანებდა კორუფციის არსებობა, მეორე მხრივ, ის პესიმისტურად იყო განწყობილი მომავლის მიმართ. მშობელმა-რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ხალხი დაღლილი იყო თანამდებობის პირთა გამუდმებული და უშედეგო ლაპარაკით კორუფციასთან ბრძოლის თაობაზე. ამის მაგალითი გახდა გადაცემა „60 წუთი". იგი ამხელდა კორუფციის ფაქტებს, თუმცა მთავრობის მხრიდან რაიმე რეაგირება არ ჩანდა, რაც თავისთავად წარმოშობდა საზოგადოების გულგრილ დამოკიდებულებას კორუფციისადმი.

*კორუფციის დინამიკა*

რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, კომუნისტური რეჟიმის შემდეგ პრაქტიკულად არაფერი შეცვლილა. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ სოციალიზმის დროს ხალხს კორუფციის გამო დაჭერის ეშინოდა, ახლა კი დასჯის არავითარი საშიშროება არსებობს.

ექსპერტების უმრავლესობას მიაჩნია, რომ 1970-იან წლებში საქართველოში კორუფციის დონე ძალიან მაღალი იყო, თუმცა პარალელურად კომუნისტები იღვწოდნენ პატიოსანი სახელისთვის. კორუფციულ ქმედებაში მხილებულ პირებს სჯიდნენ, განსაკუთრებით თუ მათ სახელმწიფო საკუთრების მითვისებაში ედებოდათ ბრალი. "საბაზრო ეკონომიკამ კი შემოიტანა პირველყოფილი, ანტისოციალური და დამახინჯებული ფორმები, რამაც გამოიწვია კორუფციის სწრაფი გავრცელება".

გამოკითხული სტუდენტის აზრით, „საბჭოთა პერიოდში კორუფცია იყო პირადი წარმატებების მოპოვების საშუალება და მისი მასშტაბი საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ სისტემა ჩქმალავდა რეალობას". სტუდენტების უმრავლესობამ იმაზეც მიუთითა, რომ საგრძნობლად გაუარესდა მდგომარეობა ბოლო ხუთი წლის მანძილზე. ზოგიერთ მათგანს სჯერა, რომ „დღეს ჩვენ საქმე გვაქვს კარგად განათლებულ, მაგრამ კორუმპირებულ ჩინოვნიკებთან".

### *პროტესტის გამოხატვის ტრადიცია*

ქართული კულტურისთვის ნაკლებად არის დამახასიათებელი კორუფციის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვა. თუ დასავლეთში პროტესტანტული ეთიკა გულმოდგინე, პატიოსანი შრომის იდეალს ამკვიდრებდა საზოგადოებაში, მართლმადიდებელი ეკლესია არც საქართველოში და არც რუსეთში არ გამოსულა კორუფციის წინააღმდეგ. ეს აიხსნებოდა იმ გარემოებით, რომ უმაღლეს საეკლესიო პირებს ტრადიციულად ირჩევდა არა მარტო სინოდი, არამედ სახელმწიფოს უმაღლესი პირები, რომელთათვისაც კანონს ყოველთვის ჰქონდა მეტად სიმბოლური დატვირთვა. “პრაქტიკულად, ეკლესია არ და ვერ ეწინააღმდეგებოდა მმართველ კორუმპირებულ ელიტას”, ფიქრობს ერთ-ერთი გამოკითხული.

კორუფციასთან ბრძოლა. ზოგიერთ რესპონდენტს მიაჩნია, რომ კორუფციასთან ბრძოლა საკმაოდ რთულია. გაჭირვებულ ადამიანებს ეს არ ძალუძთ. სოციალური გარანტიის უქონლობის გამო, ისინი ვერ ბედავენ კორუფციასთან ბრძოლას და ისლა დარჩენიათ, შეეგუონ მის არსებობას. ამავე დროს ნათელია, რომ არც ისინი იკლავენ ბრძოლით თავს, ვისაც საამისო რესურსები გააჩნია, ამტკიცებს გამოკითხულთა ნაწილი.

ექსპერტების აზრით, საჭიროა შემდეგი მექანიზმების დანერგვა:

- საბაზრო ეკონომიკის უმთავრესი ღირებულებებისა და პრაქტიკის შემოღება, კონკურენციისთვის ჯანსაღი გარემოს ჩამოყალიბება;
- სამოქალაქო საზოგადოების განვითარება: მმართველობა ხალხის მონაწილეობით სამთავრობო ორგანიზაციების გამჭვირვალობის პირობებში;
- სისტემური ბრძოლა, ორიენტირებული კარგად გათვლილ ტაქტიკასა და სტრატეგიაზე. კონფერენციები თუ ტრეინინგები მხოლოდ გარეგნული ატრიბუტებია. საზოგადოებას ესაჭიროება არსებული პოლიტიკური რეჟიმისა და სტრუქტურების შეცვლა;
- ღია სასამართლო პროცესები კორუმპირებული მოხელეების საქმიანობის დასაგმობად და აღმოსაფხვრელად. მათი ქონება დეტალურად უნდა იყოს აღნუსხული და დასაბუთებული. წარმოუდგენელია, 100-150 ლარი ხელფასის მქონე სახელმწიფო მოხელე საქართველოში ბოლო ათწლეულის განმაელობაში გამდიდრებულიყო;
- პროფესიონალიზმი და პატიოსნება უნდა გახდეს სამსახურში მიღების ძირითადი პრინციპი.

წამყვანი სოციალური ძალა. კორუფციასთან ბრძოლის წამყვან ძალად რესპონდენტებმა პირველ ადგილზე დაასახელეს მთავრობა, მეორეზე – არასამთავრობო სექტორი და შემდეგ – მთელი საზოგადოება. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები დასახელდნენ, როგორც კორუმპირებული ბიუროკრატების მსხვერპლი. კორუფციასთან ბრძოლის მოწინააღმდეგეებად დასახელდნენ ბიუროკრატები, რომელთაც თავიანთი პოსტების მოსაპოვებლად ფული გადაიხადეს, მათ ეს თანხა უკანვე უნდა ამოიღონ დამატებით მოგებასთან ერთად. ამიტომ ისინი შეეწინააღმდეგებიან საზოგადოების ბრძოლას კორუფციასთან,

ვინაიდან ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ისინი ვერასდროს მიიღებდნენ იმ პოსტებს, რომელიც ეკავათ. რესპონდენტთა უმრავლესობა იმასაც ამბობს, რომ ტრენინგებით შეუძლებელია კორუმპირებული ბიუროკრატების გამოსწორება.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში წამყვან ორგანიზაციებად დასახელებული იყო: ანტიკორუფციული საბჭო და მისი აღმასრულებელი ორგანო, ანტიკორუფციული ბიურო, თავისუფლების ინსტიტუტი, გენერალური პროკურატურა, კონტროლის პალატა და შინაგან საქმეთა სამინისტრო. ინფორმაციის მთავარ წყაროდ კი დასახელდა მასმედია. თუმცაღა, ზემოთ დასახელებული ორგანიზაციების ანტიკორუფციულ საქმიანობას რესპონდენტები პრაქტიკულად არ იცნობდნენ და მათი უმრავლესობა არ იყო ჩაბმული კორუფციასთან ბრძოლაში. რესპონდენტები საკმაოდ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი ამ ორგანიზაციების მიმართ, ვინაიდან მათი საქმიანობის შედეგებს ვერ ხედავდნენ. ტელევიზიით ხშირად გადაიცემოდა სიუჟეტები ენერგოსექტორში არსებული კორუფციის შესახებ, მაგრამ რესპონდენტები გამოთქვამდნენ წუხილს, რომ არავინ დასჯილა. ზოგიერთმა გამოკითხულმა აღნიშნა, რომ თვით ანტიკორუფციული ორგანიზაციები იყვნენ კორუმპირებულნი.

ერთ-ერთი რესპონდენტი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამ ბრძოლაში მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებს თუ შესწევდათ ძალა, დაემკვიდრებინათ გამჭვირვალობა. "ამ სექტორს შესწევს უნარი, დაანახოს ხალხს თავისი უფლებები. სამწუხაროდ, ხალხი არ იცნობს თავის უფლებებსა და მოვალეობებს". ამავე დროს, სხვა რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ არასამთავრობო სექტორმა დაკარგა ხალხის ნდობა. მათი აზრით, ძალაუფლებისთვის ბრძოლის თუ კორუფციის ფაქტებს ამ სექტორშიც ჰქონდა ადგილი. ერთ-ერთმა რესპონდენტმა მიუთითა, რომ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ მოახდინა დემოკრატიული ღირებულებებისა და მათ ხელთ არსებული გრანტების განაწილების მონოპოლიზაცია და შედეგად მოისპო გამჭვირვალობა. ამ რესპონდენტის აზრით, როცა აღმოიფხვრება მონოპოლია ამ სფეროში, ხალხს, ალბათ, დაუბრუნდება ნდობა არასამთავრობო სექტორის მიმართ. ასევე აღინიშნებოდა, რომ ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციები იქმნებოდა კორუფციასთან ბრძოლის მიზნით, მაგრამ, ფაქტობრივად, მათი წევრები მჭიდროდ უკავშირდებოდნენ კორუმპირებულ მოხელეებს და თავად ერთვებოდნენ კორუფციაში. გამოკითხულთა ნაწილის აზრით, ასეთი ტიპის ორგანიზაციებს ურთიერთობა აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და შესაბამისად იყენებენ ამ კონტაქტებს კორუფციული გარიგებებისთვის.

ზოგიერთი რესპონდენტი თვლის, რომ კორუფციასთან ბრძოლაში უმთავრესად უნდა ჩაებან არასამთავრობო ორგანიზაციები, მასმედია და შედარებით დამოუკიდებელი სოციალური ჯგუფები, რომლებიც ნაკლებად გამოხატავენ ვინმეს ინტერესებს. ეს პროცესი უნდა იწყებოდეს ზემდგომი ორგანოებიდან. მხოლოდ პატიოსან ლიდერსა და მის მთავრობას შეუძლია, შეცვალოს მდგომარეობა. ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, კორუფციას აქტიურად უნდა ებრძოდეს პრეზიდენტი, პარლამენტი, გენერალური პროკურატურა და საკონსტიტუციო სასამართლო.

ბევრი გამოკითხული სტუდენტი მიიჩნევს, რომ მთავრობას არ შესწევს კორუფციასთან ბრძოლის უნარი, ვინაიდან თვითონ მონაწილეობს კორუფციულ გარიგებებში. სტუდენტებს სჯერათ მხოლოდ ახალი თაობის, რომელსაც ძველი თაობისაგან განსხვავებული მენტალიტეტი აქვს. სტუდენტების გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ კორუფციას უნდა ებრძოდეს არა ცალკეული ჯგუფები და

ორგანიზაციები, არამედ თითოეული მოქალაქე. ერთ-ერთი სტუდენტი აბსოლუტურად სკეპტიკურად იყო განწყობილი, ვინაიდან თავად მუშაობდა ანტიკორუფციულ ორგანიზაციაში და სამსახური დატოვა იმიტომ, რომ არ სურდა კორუფციაში მონაწილეობა. მისი აზრით, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა გადაიზარდა ისევ კორუფციაში; კორუფციას ებრძვის ის ხალხი, ვინც რეალურად არაფერს აკეთებს მის გამოსასწორებლად. ზოგი რესპონდენტი ამის მაგალითად ასახელებს თავისუფლების ინსტიტუტს.

რესპონდენტების უმრავლესობას სჯერა, რომ კორუფციასთან ბრძოლა შესაძლებელია. ამისათვის კი საჭიროა:

- მმართველი ფენის პატიოსნება;
- სკოლებში ანტიკორუფციული განათლების დანერგვა;
- შესაბამისი საკანონმდებლო და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის შექმნა.

სტუდენტებმა ასევე გამოთქვეს მეტად საგულისხმო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კორუფცია ვერ იარსებებს ჭეშმარიტად სამართლიან და დემოკრატიულ საზოგადოებაში, იქ, სადაც დამნაშავეები ისჯებიან.

სამწუხაროდ, რეალობა გვიჩვენებს, რომ კორუფცია არსებობს განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებშიც, მაგრამ ის ისეთი მასშტაბური არაა, როგორც ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.

აღსანიშნავია, რომ პასუხები პირველი ბლოკის შეკითხვებზე საკმაოდ შთამბეჭდავი იყო პროფესიონალიზმის, ფართო ხედვისა და გამოცდილების თვალსაზრისით.

# კორუფცია უმაღლესი განათლების სისტემაში

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის შეფასებისას პრაქტიკულად ყველა რესპონდენტი ერთსულოვანი იყო. თითქმის ყველა მათგანმა აღიარა, რომ ამ სექტორში არსებობს კორუფციის მზარდი დონე.

ექსპერტ-რესპონდენტის აზრით, უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული კორუფციის ერთ-ერთ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ ბოლო წლებში 200-ზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნა. უმეტეს მათგანში სრული დისბალანსი აღინიშნება სწავლის საფასურსა და განათლების ხარისხს შორის. როგორც ერთ-ერთი გამოკითხული აღნიშნავდა, „ამ დაწესებულებათა ერთადერთი ფუნქცია ფინანსების აკუმულაცია გახდა". რა თქმა უნდა, ამ მოვლენას სხვა მეტად დადებითი მხარეებიც ჰქონდა საზოგადოებისთვის (ბევრი ახალგაზრდა, განსაკუთრებით ცენტრსა თუ რეგიონებში, ეზიარა, თუნდაც მცირედი წილით, მეტად უხარისხოდ, მაგრამ მაინც უმაღლეს განათლებას), მაგრამ პრობლემის ამ მხარეზე რესპონდენტთან დისკუსია არ გაგრძელებულა.

რესპონდენტები თვლიან, რომ ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემაში დამკვიდრებული პრობლემები საზოგადოებაში არსებული რეალობის ანარეკლია. თავად საზოგადოება რომ არ ყოფილიყო ძალზე კორუმპირებული, განათლების სისტემა გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა და განათლებაც სათანადოდ იქნებოდა დაფასებული.

ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ საზოგადოებასა და უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული კორუფცია ერთმანეთს ასაზრდოებს; უმაღლესი განათლების სისტემის მესვეურებმა საზოგადოებაში კორუფციის გავრცელებისათვის მყარი საფუძველი შექმნეს და "ეს სისტემა ბოლო 20-30 წლის განმავლობაში სახელმწიფოს აწვდის კორუმპირებულ კადრებს. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ყიდვა ფულის კეთების სისტემაში მხოლოდ შუალედურ რგოლს წარმოადგენს", თვლის ერთ-ერთი გამოკითხული.

რესპონდენტთა აზრით, კორუფცია გავრცელებულია უმაღლესი განათლების სისტემის ყველა სფეროში. კორუფციის დონე განათლების სისტემაში ისეთივე მაღალია, როგორც სამართალდამცავ ორგანოებში და წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ სფეროს ქვეყანაში; კორუმპირებულია განათლების სისტემის ყველა რგოლი, ყველაზე მეტად კი – პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლების პრესტიჟული ფაკულტეტები. სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ფასიან სექტორზე ხშირად კარგად მომზადებული სტუდენტები სწავლობენ, ხოლო უცოდინარი სტუდენტები – უფასო განყოფილებებზე. ამის მიზეზი ის არის, რომ ისინი მდიდარი ოჯახებიდან არიან ან კარგი პირადი კავშირები აქვთ მთავრობასთან თუ თვით უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციასთან.

უმაღლესი განათლების სისტემაში არსებულ პრობლემათა შორის რესპონდენტები ასევე გამოყოფდნენ: თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების დეფიციტს, საბიბლიოთეკო ფონდების მოძველებას, ტექნიკური უზრუნველყოფისა და უმაღლესი სასწავლებლების მართვის მეტად დაბალ დონეს.

გამოკითხულ მშობელთა მხოლოდ მცირე ნაწილმა განაცხადა, რომ მათი შვილები არასოდეს ყოფილან კორუფციის მსხვერპლი ან მოწმე, რადგან ისინი კარგად სწავლობენ. ზოგიერთმა გამოკითხულმა მშობელმა აღნიშნა, რომ მომავალი პროფესიის შერჩევისას კორუფციას არანაირი როლი არ უთამაშია მათი შვილების არჩევანზე, მათი შვილები ქრთამის გარეშე მოხვდნენ იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ ასევე ითქვა, რომ ეს ახალგაზრდები ზედმიწევნით კარგად იყვნენ მომზადებულები.

რესპონდენტებმა განათლების სამინისტრო შეაფასეს კორუმპირებულ ორგანოდ, კორუმპირებული საზოგადოების შემადგენელ ნაწილად. უმეტეს შემთხვევაში ამ სამინისტროში არსებული კორუფცია გაიგივებული იყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებულ კორუფციასთან. ერთ-ერთი სტუდენტი-რესპონდენტი მიამიტურად თვლის, რომ "განათლების მინისტრი ა. კარტოზია არის პატიოსანი, განათლებული პიროვნება, მაგრამ ის, პრეზიდენტ ე. შევარდნაძის მსგავსად, ნაკლებად ერკვევა ეკონომიკის საკითხებში".

გამოკითხულთა შორის იყო ისეთი სტუდენტიც, რომელსაც უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციაში არსებული კორუფცია უმნიშვნელოდ მიაჩნდა, ვინაიდან „ადმინისტრაციის წარმომადგენლებს გააჩნიათ საკუთარი ბიზნესი, ამდენად, მათ არაფერში სჭირდებათ კორუფციაში მონაწილეობა".

## ყველაზე კორუმპირებული სოციალური ჯგუფი

ზოგიერთ სტუდენტს სჯერა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ყველაზე კორუმპირებულ სოციალურ ჯგუფს ადმინისტრაცია წარმოადგენს. მათი აზრით, განათლების სამინისტროში არსებული კორუფცია ნაკლებად საზიანოა ქვეყნისთვის, ვიდრე უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციაში არსებული, ვინაიდან წამყვანი უნივერსიტეტები ავტონომიურები არიან და მათ საქმეებში ჩარევა უფრო რთულია. ხოლო ერთ-ერთ რესპონდენტს მიაჩნია, რომ კორუფცია მჭიდროდაა დაკავშირებული განათლების სამინისტროსთან და მთავრობის მაღალჩინოსნებთანაც.

თითქმის ყველა გამოკითხულმა მშობელმა დაადასტურა, რომ უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციის წარმომადგენელმა არა მარტო კარგად იცის თავის დაწესებულებაში არსებული კორუფციის შესახებ, არამედ თავადაც მონაწილეობს ამ პროცესში. ერთ-ერთი გამოკითხული მშობლის აზრით, ადმინისტრაცია თვალს ხუჭავს კორუფციის ფაქტებზე, ვინაიდან ლექტორთა დაბალი ანაზღაურების პირობებში აბიტურიენტთა მომზადება ან ქრთამის აღება სესიების პერიოდში მათი შემოსავლის დამატებით წყაროს წარმოადგენს.

ადმინისტრაციის კორუმპირებულ წარმომადგენლებს შორის გამოკითხულმა მშობლებმა დაასახელეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი როინ მეტრეველი და პრორექტორი თემურ ხუროძე. თსუ დასახელებულია დაწესებულებად, სადაც ყველაზე დიდია კორუფციის მასშტაბები. მათი აზრით, კორუფცია განსაკუთრებით შესამჩნევია მეორე სპეციალობის მიღების განყოფილებაზე (სადაც სტუდენტებს შეუძლიათ, მიიღონ მეორე სპეციალობის დამადასტურებელი დიპლომი სათანადო ცოდნის გარეშე. კარგადაა ცნობილი ადმინისტრაციის ლოიალური დამოკიდებულება ამ განყოფილების მიმართ). ზოგიერთმა სტუდენტმა-რესპონდენტმა

დაასახელა თსუ-ს ადმინისტრაციის 5, ზოგმა კი – მეტი კორუმპირებული წარმომადგენელი. "თუკი სტუდენტი არ ესწრება ლექციებს და ვერ იღებს დადებით შეფასებას ფულის საშუალებითაც კი (ზოგჯერ პროფესორ-მასწავლებლები შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს), ასეთ შემთხვევაში საქმეში ერევა ადმინისტრაცია და აბსოლუტურად უცოდინარი სტუდენტი ღებულობს ნიშანს (შესაძლოა, უმაღლეს შეფასებასაც კი), ირწმუნებოდა ერთ-ერთი რესპონდენტი.

უმაღლეს სასწავლებლებში ყველაზე კორუმპირებულ სექტორად დასახელდა სამხედრო კათედრები. ვაჟების მშობლები ბედნიერები არიან, რომ სპეციალური მომზადების შემდეგ ისინი თავისუფლდებიან სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან, სადაც უსახსრობის გამო აუტანელი პირობები იყო შექმნილი. ალბათ, სამხედრო კათედრების თანამშრომელთათვის ქრთამის მიცემა ერთგვარი ხარკიც კი გახდა, რომელსაც საზოგადოება იხდიდა ჯარიდან გათავისუფლების საფასურად.

## კორუფციის მიზეზები უმაღლეს სასწავლებლებში

რესპონდენტებმა დაასახელეს კორუფციის გამომწვევი რამდენიმე მიზეზი:

*სოციალურ-ეკონომიკური*

რესპონდენტთა აზრით, რესპუბლიკაში პედაგოგთა საშუალო ყოველთვიური ხელფასი შეადგენს 30-40 ლარს (17-22 აშშ დოლარი).* ჩვეულებრივი ლექტორი (რომელიც ადმინისტრაციის წარმომადგენელი არაა) იღებს 60 ლარს თვეში. სამუშაო ადგილზე მისასვლელად ყოველთვიური სატრანსპორტო ხარჯი საშუალოდ 25 ლარს შეადგენს. ექსპერტები თვლიან, რომ ეს ფინანსური სიდუხჭირე, ისევე, როგორც ზოგადად არსებული ანაზღაურების სისტემა, პედაგოგებისთვის შეურაცხმყოფელია. თუკი უნივერსიტეტში საგანი კარგად ისწავლება, ეს ლექტორის დამსახურებაა და არა სისტემისა, ვინაიდან პედაგოგების კარგი მუშაობისათვის არანაირი სტიმული არ არსებობს, აღნიშნავენ რესპონდენტები.

უმაღლესი განათლების სისტემა არაა ორიენტირებული საბოლოო შედეგზე – შრომითი ბაზრის მოთხოვნებზე, პროფესიონალთა მომზადებაზე. პედაგოგები, შესაბამისად, თავს ვალდებულად არ თვლიან, დაბალი ანაზღაურებისა და საზოგადოების მხრიდან სოციალურ-ეკონომიკური დაკვეთის არარსებობის პირობებში სტუდენტებთან მაქსიმალურად ხარისხიანად იმუშაონ. ისინი ადვილად მიდიან ყოველგვარ გარიგებაზე, ვინაიდან კონტროლი მათ მუშაობაზე ადმინისტრაციის, კათედრისა თუ ფაკულტეტის მხრიდან სიმბოლურია. ხშირად დათმობაზე წასვლას ითხოვს თვით ადმინისტრაცია, როდესაც საქმე მათ პროტეჟეს ეხება. ამ პირობებში ხშირად პედაგოგები კი არ ასწავლიან, არამედ უბრალოდ ფულს იღებენ იმაში, რომ ირიცხებიან ლექტორებად.

სტუდენტები მატერიალურად უზრუნველყოფილი ოჯახებიდან, რომელთაც პრაქტიკულად „ნაყიდი აქვთ" დიპლომი, არასათანადოდ არიან მომზადებულები, ადვილად შოულობენ სამუშაო ადგილს, ვინაიდან მათ საშუალება აქვთ, გადაიხადონ ქრთამი ან ნაცნობობით მოხვდნენ მაღალანაზღაურებად სამსახურში. სტუდენტები

* პროფესორ-მასწავლებლების ანაზღაურებაზე ზემოთ იყო მითითებული, ეს გახლავთ რესპონდენტთა მონაცემები.

ფიქრობენ, რომ დიპლომი უნდა იყიდონ, ვინაიდან საზოგადოებაში ცოდნა არ ფასობს. ერთ-ერთმა რესპონდენტმა დაასახელა ასეთი მაგალითი: პოლიციელი, რომელიც უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში უცოდინარი სტუდენტი იყო, გამოცდის ჩასაბარებლად 200 აშშ დოლარს იხდიდა ქრთამის სახით, მას მიაჩნია, რომ უკვე მუშაობის პერიოდში გამართლებულია მის მიერ ქრთამის აღება.

კორუფცია უმაღლეს სასწავლებლებში ხელსაყრელია პედაგოგების ნაწილისთვის, ასევე იმ სტუდენტებისთვის, ვინც ვერ მიიღო სათანადო განათლება სკოლაში, რაც რესპუბლიკაში არსებული სისტემური კორუფციის შედეგია. სტუდენტთა უმრავლესობას ადვილად უნდა ნიშნის მიღება, სათანადო შრომის გარეშე. მექრთამეობის ინიციატორებად ხშირად თვით სტუდენტები და მათი მშობლები გვევლინებიან. რესპონდენტების აზრით, კორუფციული გარემო ყველასთვის ხელსაყრელია: ლექტორებისთვის, ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის, სტუდენტებისთვის. ეს კი ქმნის ვითარებას ქვეყანაში, როდესაც განათლება და პროფესიონალიზმი სათანადოდ არ ფასდება. ბევრი ექსპერტი ამ სისტემას ჩაკეტილ წრეს ადარებს. არ ხდება არც სწავლის და არც სწავლების სტიმულირება. განათლების დაბალი დონე, მათი აზრით, იწვევს კორუფციას და პირიქით, კორუფცია განსაზღვრავს განათლების დაბალ დონეს. „კურსდამთავრებულთა მხოლოდ 5-10% ითვლება კარგ სპეციალისტად, დანარჩენი 90-95% უცოდინარ ინდივიდთა სიას უერთდება", თვლის ერთ-ერთი გამოკითხული.

## კორუფციის ფორმები უმაღლეს სასწავლებლებში

### *მისაღები გამოცდებისათვის მომზადება*

მისაღები გამოცდებისათვის მომზადება ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი წყაროა საქართველოში. ექსპერტ-რესპონდენტთა აზრით, სახელმძღვანელოების მრავალფეროვნების გამო არ არსებობს ერთიანი სასწავლო პროგრამა და ერთიანი სტანდარტი. დღევანდელობის ერთ-ერთი მწვავე პრობლემა ისაა, რომ სკოლებში მიღებული განათლება ვერ აკმაყოფილებს მისაღები გამოცდების მოთხოვნებს. სწორედ ამიტომ ფართოდაა გავრცელებული რეპეტიტორობის ინსტიტუტი. აბიტურიენტის მომზადების ნიხრი დადგენილია და ყველასათვის ცნობილია. რეპეტიტორები ერთ საგანში მომზადების საფასურად საშუალოდ იღებენ 600 აშშ დოლარს, ზოგიერთ შემთხვევაში ეს თანხა გაცილებით მეტია. თანხა განისაზღვრება რეპეტიტორის ცენზის მიხედვით: რაც უფრო დიდია ლექტორის თანამდებობა უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციულ იერარქიაში, მით უფრო მაღალია მისი ანაზღაურება (800-დან 1500 დოლარამდე). ტექნიკურ უნივერსიტეტში შემსვლელი სტუდენტის მომზადება მხოლოდ ერთ საგანში (მაგალითად, ქიმიაში), რესპონდენტთა თქმით, 600-დან 700 აშშ დოლარამდე ღირს. ფაკულტეტის დეკანი ტრადიციულად ყველაზე მაღალ გასამრჯელოს იღებს, რადგან ის სისტემატურად მიმღები კომისიის წევრია. ჩვეულებისამებრ, ასეთ ლექტორებს ჰყავთ 10-15 აბიტურიენტისგან შემდგარი ჯგუფები. დეკანი უზრუნველყოფს აბიტურიენტების მაღალ შეფასებას არა მარტო მისაღებ გამოცდებზე, არამედ სწავლის პერიოდშიც. წესისამებრ, ტარდება 3 ან 4 მისაღები გამოცდა, ამდენად, აბიტურიენტის მომზადება მინიმუმ 2100 დოლარი ჯდება, აღნიშნავენ აბიტურიენტები.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში ყოველ წელს დაახლოებით 30 000 აბიტურიენტი ხდება სტუდენტი, შესაბამისად, საქართველოში ყოველწლიურად აბიტურიენტების მომზადებაზე საშუალოდ 70 მილიონი დოლარი იხარჯება. ამ მონაცემების დასაზუსტებლად სასურველია ჩატარდეს სპეციალური კვლევა და დადგინდეს უმაღლესი განათლების სისტემაში შავი ბაზრის მასშტაბები. ამ საკითხებს ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. თუკი მოხდება მისაღები გამოცდებისას კორუფციის აღმოფხვრა და სკოლებში ძირეულად ამაღლდება სწავლის ხარისხი, შესაძლებელი გახდება აღნიშნული თანხების გამოთავისუფლება შავი ბაზრიდან და მისი მოხმარება ეკონომიკის სხვა სფეროებში, ინვესტიციების მოზიდვისა თუ სხვა მოხმარების საგნების შეძენის სახით, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, აღნიშნული რესურსები ლეგალურ ჩარჩოებში მოექცეს. სახელმწიფო ბიუჯეტის უკეთ შესრულების წყალობით კი განათლების სისტემა დღევანდელზე გაცილებით მეტ დაფინანსებას მიიღებს.

### *მისაღები გამოცდები*

გამოკითხულ მშობელთა აზრით, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის კორუფციული სქემა შემდეგნაირია: აბიტურიენტი და მშობელი ირჩევენ უნივერსიტეტს და ფაკულტეტს, შემდეგ პოულობენ ადმინისტრაციასთან დაახლოებულ პირს,' რომელიც ხდება შუამავალი ორ დაინტერესებულ მხარეს შორის და იღებს შესაბამის გასამრჯელოს. ამგვარ სქემაში მშობლები თავს საკმაოდ დაცულად გრძნობენ, რადგან თვლიან, რომ მათი შეილების მომავალი გარანტირებულია არა მარტო მისაღები გამოცდების დროს, არამედ სწავლის პერიოდშიც. ეს სისტემა ხელსაყრელია ადმინისტრაციისთვის, რომელიც ბოროტად სარგებლობს თანამდებობით და ამისთვის იღებს დიდ გასამრჯელოს. გარკვეული მოგება რჩება შუამავალსაც, რომელიც მონაწილეობს ფინანსურ გარიგებაში უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.

ერთ-ერთი გამოკითხული მშობელი აღნიშნავს, რომ მისაღები გამოცდების დროს ადმინისტრაციის მხრიდან ფული კეთდება არა ინდივიდუალურად, არამედ კოლექტიურად. ამ სისტემაში ჩართულია არა მარტო ადმინისტრაცია, არამედ მისდამი ლოიალური ლექტორებიც, რომელნიც ტექნიკურად უზრუნველყოფენ სისტემის თანმიმდევრულ, შეუფერხებელ მუშაობას. რესპონდენტთა აზრით, თუკი მშობელი დიდ თანხას გადაიხდის, მაშინ აბიტურიენტი ყოველგვარი მისაღები გამოცდების გარეშე შეიძლება გახდეს სტუდენტი. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს შემთხვევას, როცა აბიტურიენტს თსუ-ში მოსაწყობად აკლდებოდა ერთი ქულა. 2 000 აშშ დოლარის გადახდა ქრთამის სახით უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის საკმარისი გახდა, რომ ის სტუდენტი გამხდარიყო.

გამოკითხულთა ერთი ნაწილის აზრით, უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრა შესაძლებელია ქრთამისა და ნაცნობობის გარეშეც, თუკი აბიტურიენტი მართლაც კარგად არის მომზადებული.

როგორც ზოგიერთი რესპონდენტი აღნიშნავს, თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩასარიცხად 8000-9000 აშშ დოლარია საჭირო, იურიდიულ ფაკულტეტზე კი ეს თანხა 20-30 ათას დოლარს უტოლდებოდა, მაგრამ ამჟამად ფასები 10-15 ათას დოლარამდე დაეცა, რადგან იურიდიული ფაკულტეტი ტექნიკურ უნივერსიტეტშიც

გაიხსნა. ამ უნივერსიტეტში ფასიან სექტორზე ჩასარიცხი თანხა უფრო დაბალია, რადგან აქ სწავლა ნაკლებად პრესტიჟულად ითვლება, ვიდრე თსუ-ში.

რესპონდენტთა აზრით, საშუალო ოფიციალური გადასახადი ფასიან სექტორზე დაახლოებით 4 000 აშშ დოლარია, უფასო სექტორზე მოსახვედრად ქრთამის მოცულობა შესაძლოა დაახლოებით 5 000 აშშ დოლარს შეადგენდეს. ზოგიერთი მშობელი არ რისკავს და შვილის მოსაწყობად იხდის ქრთამს მაშინაც კი, როცა ახალგაზრდა კარგადაა მომზადებული.

უნივერსიტეტში მისაღები გამოცდებისას არსებობს ორი სხვადასხვა სია: პრივილიგირებული აბიტურიენტების, რომელთა მშობლებმაც ქრთამი მისცეს ადმინისტრაციას და მათი, ვინც პროტექციის გარეშე აბარებს. პირველი ჯგუფის აბიტურიენტები გამოცდის დროს ცალკე ოთახში შეჰყავთ, სადაც მათ გამზადებული პასუხები ხვდებათ და მხოლოდ მათი გადაწერა ევალებათ, აღნიშნავს ერთ-ერთი რესპონდენტი.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა გვამცნო, რომ მის ახლობლებს სურდათ აბიტურიენტის მოწყობა თსუ-ს პრესტიჟულ ფაკულტეტზე,მაგრამ ლექტორებმა,რომლებიც აბიტურიენტს ამზადებდნენ, ურჩიეს, არ ჩაებარებინა არჩეულ ფაკულტეტზე, ვინაიდან ყველა ადგილი წინასწარ იყო დაკავებული. სამწუხაროდ, საქართველოში კარგადაა ცნობილი, რომ მისაღები გამოცდების დროს კონკურენცია ოჯახების ბიუჯეტებს შორის მიმდინარეობს და არა ახალგაზრდებს შორის, აღნიშნავს ერთ-ერთი გამოკითხული.

თუკი გავაერთიანებთ აბიტურიენტების მომზადებაში დახარჯულ თანხებს (უხეში გაანგარიშებით, 70 მილიონ დოლარს, ე.ი. საშუალოდ ერთი აბიტურიენტის მოსამზადებლად საჭირო 2 000 აშშ დოლარი გამრავლებული 30 000 ჩარიცხულ სტუდენტზე ყოველწლიურად) და ქრთამის სახით არსებულ ფულად მასას (საშუალოდ, 5 000 დოლარი 10 000 სტუდენტზე, თუ ვივარაუდებთ, რომ ყოველი მესამე ოჯახი იხდის ქრთამს), მივიღებთ დაახლოებით 120 მილიონ დოლარს, რომელიც ყოველწლიურად ილექება შავი ფულის სახით განათლების სექტორში. თუ შესაძლებელი გახდება ამ თანხების ლეგალიზაცია და მათი აკუმულირება სახელმწიფო ბიუჯეტში, უდავოა, რომ აღნიშნული კაპიტალის სწორი მართვის შედეგად საქართველო მიიღებდა სანიმუშო უნივერსიტეტებს არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეშიც.

*მექრთამეობა*

რესპონდენტების აზრით, უმაღლეს სასწავლებლებში ფულის შოვნის კიდევ ერთი ფორმა სემესტრის განმავლობაში სტუდენტის მომზადებაა მისივე ლექტორის მიერ,ვინაიდან ლექტორი სტუდენტთან დამატებით კი არ მუშაობს,არამედ მისგან ფულს იღებს და გამოცდაზე მაღალ შეფასებას აძლევს. თუკი სტუდენტი დაკავებულია სხვა საქმიანობით ან უბრალოდ ეზარება სწავლა, მას შეუძლია, გადაიხადოს 50-100 ლარი (დაახლოებით 23-40 აშშ დოლარი) და მიიღოს ნიშანი შუამავლის დახმარებით. სამხედრო კათედრაზე ქრთამის რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 5-35 ლარს "სხვადასხვა მომსახურებისთვის". ჩვეულებრივ, ქრთამს იხდიან ლარებში, მაგრამ ტექნიკურ უნივერსიტეტში მიღებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტებით გადახდაც, ამტკიცებენ გამოკითხულები.

რესპონდენტთა აზრით, "თუ ვერ სწავლობ ან სწავლობ ცუდად, შენ იხდი ფულს და ეს იმას ნიშნავს, რომ საჭირო ნიშნები გარანტირებული გაქვს." რაღა თქმა უნდა, ნიშანი შეიძლება დაწერონ ასევე ნაცნობობით ანდა "ავტორიტეტული" პირის თხოვნით. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, "საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არსებული სიტუაციის ფონზე ნაკლებად შესაძლებელია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. ერთ-ერთმა სტუდენტმა, რომელმაც გამოცდაზე არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო, გამოცდის მსვლელობის დროს მობილური ტელეფონის საშუალებით დააკავშირა საჭირო პიროვნებას ლექტორი, რომელმაც მაშინვე დადებითი შეაფასება მისცა უცოდინარ სტუდენტს.

რესპონდენტებმა მოგვაწოდეს ქრთამის ნიხრი სესიების დროს სხვადასხვა ფაკულტეტებისთვის. მაგალითად, თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე ეს თანხა შეადგენს 50-150 აშშ დოლარს. აბსოლუტურად უცოდინარ სტუდენტსაც შეუძლია, გადაიხადოს ქრთამი და მიიღოს დადებითი შეფასება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კარგ სტუდენტს გაუჭირდება გამოცდის ჩაბარება, მაგრამ ლექტორს შეუძლია, კარგი სტუდენტი შეაფასოს იმაზე ნაკლები ნიშნით, ვიდრე ის ამას იმსახურებს ან ერთნაირად შეაფასოს კარგად მომზადებული და უვიცი სტუდენტი. გამოკითხული სტუდენტები თვლიან, რომ მათ უმაღლეს სასწავლებელში სწავლების დონე ძალზე დაბალია. ამავე დროს, ისინი აღნიშნავენ, რომ თუ სტუდენტი კარგად სწავლობს, მის ცოდნას სათანადოდ აფასებენ, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ცუდად მომზადებული სტუდენტებიც ხშირად ღებულობენ მაღალ ნიშნებს.

ერთმა გამოკითხულმა სტუდენტმა გულახდილად გაგვიზიარა თავისი გამოცდილება და აღნიშნა, რომ სტუდენტისთვის საუკეთესო მაგალითია უფროსკურსელთა გამოცდილება. ერთ-ერთმა მე-5 კურსელმა (რესპონდენტმა), რომელმაც გადაიხადა 50 ლარი დამაკმაყოფილებელი ნიშნისთვის, აღნიშნა, რომ 28 სტუდენტისაგან შემდგარი მისი ჯგუფიდან ერთ-ერთ საგანში 25-მა ქრთამის საშუალებით მიიღო შეფასება. იყო ისეთი შემთხვევაც, როცა ლექტორმა 15 მოუმზადებელ სტუდენტს ერთი ჯგუფიდან არ მისცა დადებითი შეფასება, მაგრამ უნივერსიტეტის რექტორატმა აიძულა ლექტორი, ნიშანი დაეწერა ყველა სტუდენტისთვის. როგორც უკვე აღინიშნა, იმ შემთხვევაში, როცა ლექტორი ქრთამს არ იღებს, სტუდენტები ხშირად ადმინისტრაციის ჩარევით ახერხებენ ნიშნის მიღებას.

ზოგიერთი სტუდენტი იხსენებს ისეთ ფაქტებს, როცა ის მეორეხარისხოვანი საგნების ჩაბარებას შოკოლადის და კონიაკის საფასურადაც ახერხებდა. ასეთ შემთხვევებში სტუდენტებს კორუფციის არსებობა "გამართლებულად" მიაჩნდათ, ვინაიდან ისინი "დროს არ კარგავდნენ" "ნაკლებად საჭირო" საგნების მოსამზადებლად.

არის შემთხვევები, როცა უცხოეთში მყოფი სტუდენტები ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, არ ესწრებიან ლექციებს და, მიუხედავად ამისა, ახერხებენ დიპლომების მიღებას.

*შუამავლის ინსტიტუტი*

გამოკითხული მშობლების აზრით, შუამავლის ინსტიტუტს კარგად იცნობს საზოგადოება. ისინი არიან მედიატორები სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის, რომლებიც უპრობლემოდ აგვარებენ ნებისმიერი მსურველის უმაღლეს სასწავლებელში მოწყობის საკითხს ან სესიების დროს ნიშნის მიღებას.

სტუდენტების აზრით, შუამავლები უშუალოდ მონაწილეობენ კორუფციაში. ამისთვის ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიან სტუდენტები, რომლებიც ცდილობენ, თავი აარიდონ რისკს, ხოლო პროფესორებს არ სურთ რეპუტაციის შელახვა უშუალოდ სტუდენტთან მოლაპარაკებით. არის შემთხვევები, როდესაც მშობლები პირდაპირ უკავშირდებიან პროფესორ-მასწავლებლებს.

ხშირ შემთხვევაში შუამავლის როლს ასრულებს პროფესორ-მასწავლებლის კოლეგა, ნათესავი, მეგობარი თუ უბრალოდ ნაცნობი. შუამავალი იმისთვისაა საჭირო, რომ უზრუნველყოს ლექტორისთვის ფულის გადახდა. ზოგჯერ საშუამავლო პროცენტი სტუდენტს უჯდება დაახლოებით საერთო თანხის 30-40% ან მეტი. რესპონდენტთა აზრით, თუკი ნიშნის საფასური 50 ლარია, საშუამავლო პროცენტის გათვალისწინებით მისი ფასი 80-90 ლარამდე იწევს.

თუკი სტუდენტმა საერთოდ არ იცის საგანი, თანხა "ფრიადზე" შეფასებისთვის ზოგჯერ 50 აშშ დოლარამდე იზრდება. თუკი ნიშანს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაშინ დგება "გადამხდელ" სტუდენტთა სია და ამგვარად ხდება უმაღლესი შეფასების მიღება. სტუდენტი სრულყოფილად უნდა იყოს მომზადებული, რომ ქრთამის გარეშე მიიღოს უმაღლესი შეფასება.

შუამავლის ინსტიტუტის არსებობას ზოგი რესპონდენტი ხსნის პედაგოგების სურვილით, გაიუმჯობესონ სოციალური მდგომარეობა. პიროვნებას, რომელიც იღებს ქრთამს, ეძლევა საშუალება, ჰქონდეს „წარმატებული" სამეცნიერო თუ პედაგოგიური კარიერა. კორუფციულ სისტემაში მონაწილეობა პედაგოგებს საშუალებას აძლევს: ა) უკეთესი ურთიერთობა ჰქონდეს უნივერსიტეტების ადმინისტრაციასთან,ვინაიდან დამახინჯებული სისტემა სწორედ მართვის ორგანოებიდან იქმნება; ბ) გაიუმჯობესოს ფინანსური მდგომარეობა. რესპონდენტთა აზრით, თუკი პატიოსანი ადამიანი მიიღებს თანამდებობას, მას გაუძნელდება, გაუძლოს ადმინისტრაციის ზეწოლას და არ გახდეს კორუმპირებული.

უნივერსიტეტებში კორუფციის არსებობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად რესპონდენტები ასახელებენ ე.წ. წითელ პროფესორებსაც. სტუდენტები თვლიან, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ჭარბობს ასაკოვანი ლექტორები. პროფესორ-მასწავლებელთა საშუალო ასაკი, მათი აზრით, 65 წელია. მათი სწავლების მეთოდები და სალექციო კურსი დღესაც ეფუძნება მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს.

უმაღლეს სასწავლებლებში არ არის პირობები დასავლური მეთოდების დანერგვისთვის და იმ ახალგაზრდა სპეციალისტების დაქირავებისთვის, ვინც საზღვარგარეთ მიიღო განათლება. უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებს აშინებთ ის, რომ კარგად განათლებული ახალი თაობის ფონზე გამოაშკარავდება მათი დაბალი პროფესიონალიზმი და სერიოზული ჩამორჩენა თანამედროვე მოთხოვნილებებისგან.

### *ლექტორების მიერ წიგნების იძულებითი რეალიზაცია*

რესპონდენტებმა უმაღლეს სასწავლებლებში ფულის შოვნის კიდევ ერთ წყაროდ სახელმძღვანელოების რეალიზაცია დაასახელეს. ლექტორებისთვის, რომლებმაც გამოსცეს წიგნები, ფულის შოვნის ყველაზე იოლი გზაა თავიანთ სტუდენტებზე მათი გასაღება. თუ ლექტორი 5-ლარიან წიგნს მიჰყიდის 50 სტუდენტს, მაშინ ის სწრაფ რეალიზაციას გაუკეთებს თავის პროდუქციას, რაც მეტად მომგებიანია პედაგოგისთვის, ირწმუნება რესპონდენტი. თითქოს ეს ძალიან კარგია ორივე მხარისთვის და არანაირ კორუფციას არა აქვს ადგილი, თუ არ გავითვალისწინებთ წიგნების რეალიზაციის დამახინჯებულ ფორმებს. ერთ-ერთმა სტუდენტმა-რესპონდენტმა აღნიშნა, რომ 10-ლარიანი წიგნის ასლის გაკეთებას სჭირდებოდა მხოლოდ 3 ლარი, მაგრამ ლექტორმა გააფრთხილა სტუდენტები, რომ თუ ისინი არ შეიძენდნენ ორიგინალს, ამის გამო მათ ერთ ნიშანს დააკლებდა. ლექტორი აღრიცხავდა, თუ ვინ შეიძინა მისი წიგნი. ერთ-ერთი სტუდენტი (ჩვენი რესპონდენტი), რომელმაც არ შეიძინა წიგნი, გამოცდაზე სტუდკავშირის თავმჯდომარესთან ერთად გამოცხადდა. სტუდენტი ძალიან კარგად იყო მომზადებული გამოცდისთვის და ლექტორს მოერიდა სტუდკავშირის თავმჯდომარის თანდასწრებით დაბალი ნიშნის დაწერა.

სტუდენტმა-რესპონდენტებმა აღწერეს ფულის შოვნის სხვა ხერხებიც: გამოცდაზე ლექტორი მოითხოვდა გამოსაცდელი სტუდენტისაგან, წიგნი წარმოედგინა ლექტორის ავტოგრაფით, რომ მას სხვისთვის არ გადაეცა იგივე ეგზემპლიარი. სახელმძღვანელო ღირდა 10-20 ლარი.

ხშირად პედაგოგები სტუდენტებს სთხოვენ, შეძენილი წიგნები კათედრას დაუტოვონ, რაც მეტად სარფიანია ლექტორისთვის, ვინაიდან შემდეგ ამ წიგნებს სხვა სტუდენტებზე ასაღებს. ერთ-ერთმა ლექტორმა მოიგონა ფულის გაკეთების საკმაოდ ორიგინალური ხერხი: მას არასოდეს აუღია ქრთამი, სამაგიეროდ, თავის კონსპექტს ორი დღით აქირავებდა სტუდენტებზე ერთ ლარად. სემესტრის ბოლოს მისი შემოსავალი 200-250 ლარს შეადგენდა. ერთ-ერთმა სტუდენტმა საჩივრით მიმართა ფაკულტეტის დეკანს. შედეგად, ლექტორმა ამ სტუდენტს უფასოდ ათხოვა კონსპექტი 5 დღით.

სახელმძღვანელოების რეალიზაციის პრობლემა უშუალოდ უკავშირდება პროფესორ-მასწავლებელთა საავტორო უფლებების პრობლემას, რაც ცალკე შესწავლის საკითხი უნდა გახდეს და რაც ხელს შეუწყობს წიგნების იძულებითი რეალიზაციის საკითხის მოგვარებას.

## კორუფცია საერთაშორისო ორგანიზაციებში

გამოკითხულმა სტუდენტებმა კორუფციის ერთ-ერთ სახედ დაასახელეს საზღვარგარეთ სასწავლებლად გასაგზავნი სტუდენტების შერჩევის პროცედურაც. როგორც ცნობილია, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში კორუფციის აღზევებამ გამოიწვია დიპლომების გაუფასურება, რასაც მოჰყვა უცხოური დიპლომების ან სერთიფიკატების მიღების პრესტიჟულობა. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია კორუფციის ტალღა იმ საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომლებიც სტუდენტებს საზღვარგარეთ სასწავლებლად აგზავნიან. ზოგიერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებში, სადაც შერჩევას ქართველი სპეციალისტები

ხელმძღვანელობენ, კორუფციაა ფეხმოკიდებული, ხოლო სადაც ამავე პროცესს უცხოელი წარმომადგენლები წარმართავენ, შერჩევა უფრო ობიექტურია.

## კორუფცია საერთაშორისო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში

სტუდენტების აზრით, საერთაშორისო უმაღლეს სასწავლებლებში კორუფციის მასშტაბი უფრო დაბალია (ან საერთოდ არ არის). ამის მაგალითად ასახელებენ შავი ზღვის უნივერსიტეტს. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, ამ უნივერსიტეტის რექტორის მეუღლე ორჯერ ჩაიჭრა ამავე უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდებზე, რაც გარკვეულწილად გამოცდების ობიექტურობაზე მიუთითებს. კარგი რეპუტაციის მქონე სასწავლებლებად რესპონდენტებმა დაასახელეს: ESM, GIPA, კავკასიის ბიზნეს-სკოლა და სხვ., სადაც საგანგებოდ შერჩეული პროფესორ-მასწავლებლები ასწავლიან დასავლური ტიპის სასწავლო პროგრამებით. მიუთითებენ, რომ ამ სასწავლებლებში სწავლის საფასური საკმაოდ მაღალია. თუმცა უფასო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე საერთაშორისოში (თუ გავითვალისწინებთ ქრთამების რაოდენობას). გამოკითხული ექსპერტები აცხადებენ, რომ საერთაშორისო უმაღლეს სასწავლებლებშიც არსებობს კორუფციის ფაქტები, მაგრამ სხვა ფორმით. აქ სწავლის საფასურად გადახდილი თანხის ნაწილი ხშირად კერძო პირთა ჯიბეში მიდის, იმის მაგიერად, რომ მოხმარდეს სასწავლებლების რეინვესტირებას. ექსპერტები ფიქრობენ, რომ ამ უმაღლეს სასწავლებელთა ბიუჯეტები არაა გამჭვირვალე და მათი ხელმძღვანელები წარმატებულად არიდებენ თავს გადასახადების გადახდას სახელმწიფო ბიუჯეტში.

გამოკითხულთა აზრით, კერძო უმაღლეს სასწავლებელთა უმრავლესობა, სამწუხაროდ, მეტად შელახული რეპუტაციით სარგებლობს.

## პროტესტი

განათლების სისტემაში არსებული მძიმე მდგომარეობის პირობებში ჩვენთვის მეტად საინტერესო იყო, თუ რას ფიქრობდნენ რესპონდენტები პროტესტის გამოხატვის შესახებ.

გამოკითხულ მშობელთა აზრით, კორუფცია განათლების სისტემის განუყოფელ ნაწილად იქცა და, სამწუხაროდ, საზოგადოება ამას შეეგუა. ეს მდგომარეობა ხალხში იწვევს პროტესტის გრძნობას, მაგრამ უშედეგოდ. რესპონდენტთა აზრით, აღნიშნულ ფაქტებზე სასამართლოში ჩივილი "ქარის წისქვილებთან ბრძოლას ჰგავს, რადგან ეს უწყება თავადაც კორუმპირებულია. ამგვარად, რჩება ერთადერთი გზა – ქრთამის მიცემა".

ზოგიერთი სტუდენტის აზრით, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა თსუ-ში ფორმალურ ხასიათს ატარებს. "უარყოფითი რეპუტაციის მქონე ხალხის არჩევა თსუ-ს ადმინისტრაციაში ბევრ რამეზე მეტყველებს. თსუ-ს ბევრი ლექტორი პატიოსანია, მაგრამ ისინი ძალიან პესიმისტურად არიან განწყობილნი უნივერსიტეტში არსებული ვითარების თაობაზე", მიუთითა ერთ-ერთმა სტუდენტმა. ერთ-ერთმა რესპონდენტმა მაგალითისთვის დაასახელა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი. მას სურს, პატიოსანი ლიდერის იმიჯი ჰქონდეს, ამიტომ რამდენიმე კორუმპირებული ლექტორი

დაითხოვა სამსახურიდან, მაგრამ ეს გაკეთდა მხოლოდ გარეგნული ეფექტისათვის, ვინაიდან ინსტიტუტში კორუფციასთან დაკავშირებულია სხვა მრავალი საკითხიც და მათ მოგვარებაზე არავინ ფიქრობს.

არსებობს სტუდენტური ორგანიზაციები, რომლებმაც პოპულარობა კორუფციასთან ბრძოლით მოიპოვეს. მაგრამ რესპონდენტებს ეჭვი ეპარებათ მათ პატიოსნებაში, რადგან ზოგიერთ მათგანს კონკრეტული პოლიტიკური პარტია აფინანსებს. ამის წყალობით ბევრ სტუდენტს მიეცა საზღვარგარეთ სწავლის საშუალება (რაც, თავის მხრივ, დადებითი მოვლენაა). ეს წარმატებული სტუდენტები, რესპონდენტთა აზრით, საბოლოო ჯამში გარიყულები აღმოჩნდნენ სტუდენტური მოძრაობისაგან, რამაც გამოიწვია სტუდენტური ორგანიზაციების გახლეჩა. როგორც ერთ-ერთი სტუდენტი აღნიშნავს, სამწუხაროდ, არ არსებობს სტუდენტებს შორის ერთსულოვნება, რაც, ალბათ, საზოგადოებაში არსებული პროცესების ამსახველი ობიექტური მოვლენაა.

მშობლების უმრავლესობა ფიქრობს, რომ უმაღლეს სასწავლებლებში რეალურად არავინ ებრძვის კორუფციას. მათი აზრით, ზოგიერთი ლექტორი კარგი პროფესიონალია, მაგრამ ისინი არაფერს აკეთებენ მდგომარეობის შესაცვლელად. გამოკითხულთა აზრით, "ვიდრე ქვეყანაში რადიკალური რეფორმები არ გატარდება, არაფერი შეიცვლება. არავინ იბრძოლებს კორუფციის წინააღმდეგ,არც ლიდერები, არც ფაკულტეტები ან კათედრები და არც სტუდენტები". ერთ-ერთმა გამოკითხულმა მშობელმა განაცხადა, რომ იმ ფაკულტეტზე, სადაც მისი შვილი სწავლობდა, კორუფციასთან ბრძოლის არანაირი ნიშნები არ შეიმჩნეოდა. რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ სტუდენტებს ეშინიათ კორუფციასთან ბრძოლის და თვლიან, რომ იგი შედეგს ვერ გამოიღებს. ერთადერთი აქტიური ძალა, რომელიც პერიოდულად წამოჭრის ხოლმე ამ საკითხს, სტუდენტური კავშირია, მაგრამ ზოგმა რესპონდენტმა ისიც კონფორმისტულ ძალად მიიჩნია.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ უმაღლესი განათლების სისტემაში კორუფციის დასაძლევად სერიოზული სამუშაო და სიღრმისეული რეფორმებია ჩასატარებელი. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, "უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიის გამო", ბევრად უფრო ადვილი იქნება კორუფციის მასშტაბის შემცირება უმაღლესი განათლების სისტემაში, ვიდრე ზოგადად ქვეყანაში. ექსპერტთა მეორე ნაწილი კი თვლის, რომ სახელმწიფოებრივ დონეზე კორუფციასთან ბრძოლის გარეშე უმაღლესი განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებთან ბრძოლა უტოპიაა. მხოლოდ კარგი კანონები ან ახალი კრედიტები მდგომარეობას ვერ გააუმჯობესებს – საქართველოში კანონებს უგულებელყოფენ, კრედიტებს კი ფლანგავენ. კორუფციის დაძლევის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია პიროვნული პატიოსნება, განსაკუთრებით პოლიტიკური ლიდერების მხრიდან.

რესპონდენტთა აზრით, უმაღლესი განათლების სისტემაში ცვლილებების განსახორციელებლად სახელმწიფომ პრიორიტეტად უნდა მიიჩნიოს უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმა. არც ერთ სხვა სფეროში რეფორმა არ მოიტანს სასურველ შედეგს, ვიდრე არ მოხდება უმაღლესი განათლების სისტემის სრულყოფა. მაგალითად დაასახელეს სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რომელშიც უმაღლესი განათლების რეფორმა ნახსენებიც კი არ არის. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, მსგავსი რეფორმების გატარება მარცხისათვის არის განწირული.

ამგვარად, რესპონდენტები ერთსულოვნად აღიარებენ კორუფციის მაღალი დონის არსებობას როგორც უმაღლესი განათლების სისტემაში, ისე მთელ საზოგადოებაში და მის აღმოსაფხვრელად შესაბამისი რეფორმების გატარების აუცილებლობაზე მიუთითებენ.

კორუფცია მეტად მწვავე პრობლემაა როგორც საქართველოსათვის, ისე მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის. ეს ის ფენომენია, რომელიც მეტ-ნაკლებად იჩენს თავს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მიუხედავად მისი განვითარების დონისა. კორუფცია უმაღლესი განათლების სისტემაში გვხვდება როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში (იხ. დანართი 8).

არსებობს აშკარა განსხვავებები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში გავრცელებული კორუფციის დონეს შორის. განვითარებად ქვეყნებში კორუფციას სისტემატური და ყოვლისმომცველი სახე აქვს, ხოლო მაღალგანვითარებულ საზოგადოებებში მას გაცილებით მცირე მასშტაბი და ნაკლებად ნეგატიური შედეგები ახასიათებს. ორივე შემთხვევაში კორუფციის ნებისმიერი გამოხატულება უარყოფით გავლენას ახდენს ზოგადად საზოგადოებაზე და განსაკუთრებით მის მომავალ თაობაზე.

საქართველოში ამჟამად მიმდინარეობს დემოკრატიული ინსტიტუტების სრულყოფისა და უმაღლესი განათლების ანგლოსაქსური მოდელის დანერგვის პროცესი. ზეცენტრალიზებული მმართველობიდან განათლების დასავლურ, დეცენტრალიზებულ მოდელზე გადასვლა თავისთავად მეტად მტკივნეული პროცესია, რომელიც დამახასიათებელია ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკისთვის.

# დასკვნა

კორუფცია აღზევებული იყო საქართველოს მმართველობის ყველა დონეზე, იგი მოიცავდა საზოგადოების ყველა სეგმენტს, შესაბამისად, შეეხო და დააზიანა განათლების სფეროც, კერძოდ, უმაღლესი განათლების სისტემა. კორუფცია უმაღლესი განათლების სისტემაში ისევე ფეხმოკიდებულია, როგორც მთელ საქართველოში. მხოლოდ "ვარდების რევოლუციის" შემდეგ გადაიდგა რეალური ნაბიჯები მის აღმოსაფხვრელად. კორუფცია უმაღლესი განათლების სისტემაში გამოწვეულია პრობლემათა სამი ძირითადი წყებით:

მართვის ზეცენტრალიზებული სისტემა, დაფუძნებული ლოიალურ ქვეშევრდომთა ინსტიტუტზე, ფუნქციონირებდა როგორც სამთავრობო დონეზე, ისე უმაღლეს სასწავლებლებში. ეს იმ კულტურულ-ისტორიული ტრადიციის შედეგია, რომელიც რუსეთის იმპერიის მართვის სისტემას უკავშირდება. ეს სისტემა კი, თავის მხრივ, მართვის პრუსიულ მოდელზე იყო დამყარებული, რომელიც მოდერნიზებული სახით დამკვიდრდა საბჭოთა კავშირის განათლების სისტემაში და საქართველოში დღესაც უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს;

სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკა, რომელიც აკანონებს პროფესიონალთა, მათ შორის, პროფესორ-მასწავლებლების სიდუხჭირეს;

ფსიქოლოგიური ტრადიცია, რომელიც ამკვიდრებს ნათესავ-მეგობრების ინსტიტუტის პრიორიტეტს პროფესიონალიზმისა და დამსახურებათა პრინციპის უგულებელყოფის ხარჯზე. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს საზოგადოებრივი ინტერესების ხელყოფის ხარჯზე ინდივიდუალური თუ ჯგუფური კეთილდღეობის მენტალიტეტის სწრაფ გავრცელებას ქვეყანაში.

საკითხთა ამ სამი ჯგუფის ერთობლიობა უმაღლესი განათლების სისტემაში განაპირობებს სწავლების აბსოლუტურად მიუღებელ დაბალ დონეს და კორუფციის არსებობას წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში.

უმაღლესი განათლების სისტემის და ყველა სხვა სექტორის ძირითადი პრობლემაა არარაციონალური მართვა და, რაც მთავარია, აქტიური სოციალური ჯგუფების არარსებობა, რომლებიც შეძლებდნენ მათი მენეჯმენტის, შემოსავლებისა და ხარჯების გაკონტროლებას.

განათლების სამინისტრო, რომელიც უნდა ნერგავდეს მართვისა და სწავლების თანამედროვე პრინციპებს, თავად იყო კორუმპირებული. ვიმედოვნებთ, სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა რადიკალურად შეცვლის არსებულ ვითარებას, ხელს შეუწყობს როგორც თვით სამინისტროს, ისე უმაღლეს სასწავლებელთა მართვის რეფორმირებას და პროგრესული მენეჯმენტის დანერგვას.

უმაღლესი განათლების სისტემის ფუნქციონირება დღესდღეობით მხოლოდ ნეგატიურად შეიძლება შეფასდეს. მას ახასიათებს:

- ზნეობრივი ღირებულებებისა და ქცევის ნორმების დაკნინება;
- სწავლისა და სწავლების მეტად დაბალი დონე;

- პროფესორ-მასწავლებელთა ძირითადი ნაწილის სიღატაკე;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიდუხჭირე;
- სპეციალისტების მომზადების დაბალი ხარისხი;
- შეუსაბამობა უმაღლესი განათლების სისტემისა და შრომის ბაზრის მოთხოვნილებებს შორის;
- ახალგაზრდა სპეციალისტთა უმუშევრობის მაღალი დონე;
- კორუფციის გავრცელება უმაღლესი განათლების მართვისა თუ სწავლების ყველა რგოლში.

# რეკომენდაციები

### *გაუმჯობესდეს საკანონმდებლო ბაზა*

საქართველოს პარლამენტმა უმოკლეს ვადაში უნდა მიიღოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი უმაღლესი განათლების შესახებ;

სისხლის სამართლის კოდექსის XXXIX თავი, "სამოხელეო დანაშაული", პრაქტიკულად მოძველებულია. მას აქვს როგორც ენობრივი, ისე შინაარსობრივი სერიოზული ხარვეზები. მიზანშეწონილი იქნებოდა ძალზე ლმობიერი სადამსჯელო მექანიზმების მნიშვნელოვანი გამკაცრება.

### *გაუმჯობესდეს კანონის აღსრულება*

სამართალდამცავმა ორგანოებმა ობიექტურად უნდა შეისწავლონ უმაღლეს სასწავლებლებში არსებული ფინანსური თუ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-შენახვის სფეროში არსებული დარღვევები და პასუხისგებაში მისცენ ის პირები, ვინც წლების განმავლობაში ბოროტად იყენებდა თანამდებობას ან გულგრილად ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობებს;

უნდა მოხდეს კონტროლის პალატის რეფორმირება, იქ არსებული კორუფციული სისტემის აღმოფხვრა. უნდა გაუმჯობესდეს მოხსენებების ხარისხი. ისინი უნდა გახდეს უფრო ანალიტიკური და ორიენტირებული ნაკლოვანებების მიზეზთა გამოვლენაზე, არ უნდა ატარებდეს ზოგად ხასიათს. აუდიტის შედეგები უნდა განიხილებოდეს საქართველოს სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული კოდექსის ჩარჩოებში და ეძლეოდეს წინასწარი კვალიფიკაცია. კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული შემოწმების მასალები (თუ ისინი არ უკავშირდება ქვეყნის უსაფრთხოებას) უნდა განთავსდეს ინტერნეტში, რათა ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისთვის;

### *მართვის დეცენტრალიზაცია და რაციონალიზაცია*

უნდა მოხდეს უმაღლესი განათლების სისტემის ფუნქციონირების დეცენტრა-ლიზაცია, როგორც სამინისტროს, ისე უმაღლესი სასწავლებლების დონეზე. ფაკულტეტებს (კათედრებს) უნდა მიენიჭოთ სასწავლო პროცესის თუ პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის რეალური ფინანსური და აკადემიური თავისუფლება სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად;

კადრების შერჩევა უნდა მოხდეს არა ადმინისტრაციისადმი ლოიალურობის პრინციპით ან ნაცნობობით, არამედ ღია და ობიექტური კონკურსის წესით;

საკადრო პოლიტიკის გატარებისას უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაცია ორიენტირებული უნდა იყოს საუკეთესო პროფესორ-მასწავლებლების მოზიდვაზე და არა უმწეო, ძველი, საბჭოური მენტალიტეტის მქონე პედაგოგებისთვის სამუშაო ადგილების შენარჩუნებაზე. მათთვის უნდა გამოინახოს პენსიაზე გასვლის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები, რაც მეტწილად მოხსნის სოციალურ

დაძაბულობას საზოგადოებაში და ხელს შეუწყობს ახალგაზრდა პროფესიონალების დასაქმებას;

უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაცია უნდა იზიდავდეს საუკეთესო მენეჯერებს, რათა მოკლე ვადებში მოხდეს არსებული თანხების ოპტიმალური გამოყენება და დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა.

*კონტროლის მექანიზმების გამკაცრება*

სისტემატურად უნდა ხდებოდეს სტუდენტთა აზრის გაზიარება, მათი სამართლიანი მოთხოვნების შესწავლა და დაკმაყოფილება. უნდა შემუშავდეს პედაგოგთა რეიტინგის სისტემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სტუდენტთა აზრი, ასევე პედაგოგთა სამეცნიერო კვლევის შედეგები. ყოველ 2 ან 3 წელიწადში ერთხელ უნდა მოხდეს ყველა პედაგოგის მუშაობის შეფასება აღნიშნული წესით;

იმისთვის, რომ მოხდეს უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორ-მასწავლებლების ფინანსური და სოციალური უზრუნველყოფის, ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ამ ორგანიზაციებში ფინანსური ოპერაციები უნდა გახდეს გამჭვირვალე, უნდა განხორციელდეს მათზე მუდმივი კონტროლი პედაგოგთა და სტუდენტთა ასოციაციების მხრიდან;

უნდა შეიქმნას პროფესორ-მასწავლებელთა ეროვნული ასოციაცია. მისი ძირითადი დანიშნულება იქნება სპეციალისტებისთვის დახმარების გაწევა, თითოეული უმაღლესი სასწავლებლის ბაზაზე შექმნან მსგავსი ასოციაციები, რომლებიც, თავის მხრივ, გაერთიანდებიან ეროვნულ ასოციაციაში;

ამ ასოციაციებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ უმაღლესი განათლების სისტემაში ახალი ზნეობრივი პრინციპების დანერგვაში, რაც მნიშვნელოვანი ბერკეტი გახდება კორუფციასთან, პროტექციონიზმთან, პლაგიატის ინსტიტუტთან და არსებულ სხვა ხარვეზებთან ბრძოლისას. აღნიშნული ასოციაციები უნდა გახდეს უმაღლესი განათლების დაწესებულებების ადმინისტრაციათა ძირითადი მაკონტროლებელი ძალა;

ამ ასოციაციებმა უნდა დაიცვან შესაბამის სოციალურ ჯგუფთა პროფესიული ინტერესები; მათ უნდა დაამყარონ პროფესიული კონტაქტები და ხელი შეუწყონ სპეციალისტებისა და სტუდენტების თანამშრომლობას მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებთან;

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოციალურ მეცნიერებათა განვითარებას, ვინაიდან ეს რგოლი ტრადიციულად ყველაზე სუსტად, დამახინჯებულად ვითარდებოდა როგორც საბჭოთა, ისე გარდამავალ პერიოდში. ამ დარგში არსებული ხარვეზები მოითხოვს რადიკალურ ცვლილებებს სპეციალისტთა მომზადების საქმეში;

უნდა გაგრძელდეს უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული ნაკლოვანებების შესწავლა ცენტრალურ და რეგიონულ დონეებზე, რათა მოხდეს მათი აღმოფხვრა.

# შენიშვნები:

[1] International Covenant on Economic, Social and Cultural Rights. UN General Assembly. Resolution 2200A (XXI) of 16 December 1966 *Entry into force* 3 January 1976, in accordance with article 27. p. 4; www.uhchr.ch/html/menu3/b/a_cescr.htm;

[2] The European Higher Education Area. Joint declaration of the European Ministers of Education Convened in Bologna on the 19th of June 1999 p.1-2; http://www.unige.ch/cre/activities/Bologna%20Forum/Bologne1999/bologna%20decl... 11.04.2003. Lisbon Convention on the Recognition of Qualifications Concerning Higher Education in the European Region (Lisbon, 1997), p.1; http://www.cepes.ro/information_services/sources/on_line/lisbon.htm, Communiquй of the meeting of European Ministers in charge of Higher Education.in Prague on May 19th 2001. p.1-2; http://www.aic.lv/ace/bologna/bol_prg/pragcom.html 11.04.2003;

[3] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2000, გვ. 87;

[4] Народное Хозяйство СССР 1990, Статистический Ежегодник, Москва, 1991, стр. 210-211;

[5] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2000, გვ. 99, იქვე, 2003, გვ. 108;

[6] იქვე, გვ. 108;

[7] პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ანგარიში საქართველოს 2002 წლის ბიუჯეტის შესრულების თაობაზე, თბილისი, 2003, გვ. 4;

[8] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2000, გვ. 52-53, იქვე, 2003, გვ. 54-57;

[9] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2003, გვ. 38;

[10] იქვე, გვ. 38;

[11] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2000, გვ. 103-104, იქვე, 2003, გვ. 111;

[12] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: თბილისი, 2003, გვ. 268-269;

[13] 2003 წლის მონაცემებით, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ხელფასები მერყეობს თანამშრომელთა სტატუსიდან გამომდინარე, მაგრამ საშუალო ყოველთვიური განაკვეთი პედაგოგების/პროფესორების შეადგენს 48-86 ლარს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 50% დანამატის გათვალისწინებით – 72-120 ლარს. ფასიან სექტორზე განაკვეთი შეადგენს 156-208 ლარს იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომელი ოფიციალური 350-საათიანი დატვირთვის გარდა იღებს დამატებით სრულ განაკვეთს;

[14] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2003, გვ.75-76;

[15] უმაღლესი განათლების სისტემა (აშშ, გერმანია, საქართველო, უნგრეთი, ყაზახეთი) მიმოხილვა, თბილისი, 2002, გვ. 13;

[16] კანონი განათლების შესახებ, თბილისი, 1997, გვ. 9-11;

[17] იქვე, გვ. 19;

[18] იქვე, გვ. 19-20;

[19] საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს №316 ბრძანებულება იხ. ვებგვერდზე: http://www.acnet.ge./news/new_debs/deb_instr_xar.html;

[20] საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებები, თბილისი, 2002;

[21] კანონი განათლების შესახებ, თბილისი, 1997, გვ. 10;

[22] საქართველოს კონტროლის პალატა, ანგარიში განათლების სამინისტროს ფინანსური საქმიანობის აუდიტის შესახებ (მთავარი კონტროლიორი ე. მეტრეველი, კონტროლიორები ნ. კობაიძე, ა ჯოხაძე, კ. მელქაძე, კონტროლის პალატის პირველი დეპარტამენტი) დაამტკიცა კონტროლის პალატის თავმჯდომარემ, სულხან მოლაშვილმა 04.15.02. 2002. თბილისი. სრული ტექსტისთვის იხ. დანართი 2, სქოლიო 1;

[23] განათლების სამინისტროს, ასალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს საგზაო ფონდის მიერ 2001 წელს გაწეული ხარჯების სამოქალაქო მონიტორინგის შედეგები. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, თბილისი, 2002, გვ. 3-10;

[24] საქართველოს კონტროლის პალატა, I დეპარტამენტის მთავარი კონტროლიორის, ნოდარ ებანოიძის, მოხსენებითი ბარათი, დამტკიცებული საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის, სულხან მოლაშვილის მიერ, 01.05.02;

[25] იქვე;

[26] სამეცნიერო მუშაობის ანგარიში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2001 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2003; სამეცნიერო მუშაობის ანგარიში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2000 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2002;

[27] უმაღლესი განათლების ქრონიკა, 8/2/2002, ტომი, 48, გამოცემა 47, გვ.32, ჯინ ქრისტოფერ ფოიხი, საქართველო: საათი გამალებით რეკავს, განათლებას კორუფცია ჭამს, რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლება, მაკ უილიამს ბრაიანი "საქართველო, პროფესორები ფასების ფურცლებს არიგებენ". უმაღლესი განათლების ქრონიკები, 2002 წლის 2 აგვისტო, ტომი 48, გამოცემა 47, ა34., იოჰან ლორენცენი, „საქართველო: განათლების სექტორის შესწავლა, უმაღლესი განათლების სისტემა", ანგარიში, კოპენჰაგენის ბიზნესსკოლა, 2000;

[28] კორუფცია საქართველოში: გამოკითხვა. მომზადებულია მსოფლიო ბანკის მიერ სოციოლოგიური ცენტრის, გორბის გამოკითხვაზე დაყრდნობით, საქართველოს მთავრობასთან ერთად. სიღარიბის დაძლევა და ეკონომიკური მენეჯმენტის დეპარტამენტი, ევროპა და ცენტრალური აზიის რეგიონი. ივნისი, 2000 წელი, გვ. 17. Corruption in Georgia: Survey Evidence. A Report Prepared by The World Bank Based on a Survey Conducted by Georgian Opinion Research Bureau International with Funding from the World Bank and USAID and With The Collaboration and Support of the Government of Georgia;

[29] თევზაძე გ. საქართველოს განათლების სისტემაში აუცილებელი ანტიკორუფციული მოქმედებების შესახებ, თბილისი, 2000; კახნიაშვილი ა. კორუფცია საქართველოს უნივერსიტეტებში, რეზონანსი, 22-24 ივლისი, 2000; გურგენიძე, ნ. ანტიკორუფციული საქმიანობის შესახებ საქართველოში, თბილისი, 2001; კუპატაძე, თ. შეფასების სისტემა, თბილისი, 2001; მაჩაბელი, ი. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაცია, თბილისი, 2001; სამადაშვილი, ა. სწავლების ხარისხი. თბილისი, 2001.; ღლონტი, ლ. უმაღლესი განათლება და შრომითი ბაზარი საქართველოში, თბილისი, 2001.

## დანართი 1

*ცხრილი 1*

### მოსახლეობის განათლების დონე

| 10 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობის 1000 სულზე აქვს არასრული ან სრული უმაღლესი და საშუალო განათლება | 1959 | 1970 | 1979 | 1989 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 448 | 554 | 698 | 798 | 871 | 849 | 944 | 997 |
| მათ შორის: უმაღლესი | 48 | 73 | 103 | 137 | 201 | 196 | 247 | 243 |
| დაუმთავრებელი უმაღლესი | 13 | 19 | 19 | 22 | 40 | 39 | 57 | 36 |
| საშუალო პროფესიული | 55 | 69 | 100 | 169 | 174 | 170 | 189 | 170 |
| ზოგადი საშუალო | 137 | 210 | 292 | 328 | 330 | 322 | 331 | 32 |
| არასრული საშუალო | 195 | 183 | 184 | 142 | 125 | 122 | 120 | 390 |
| საბაზო | - | - | 184 | 142 | 125 | 122 | 120 | 126 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. – თბილისი, 2000, გვ. 87. იქვე, 2003 გვ. 96.

*ცხრილი 2*

## არასახელმწიფო საერო (ფასიანი) უმაღლესი სასწავლებლები (სასწავლო წლის დასაწყისისათვის)

| | სასწავლებლების რიცხვი | მოსწავლეთა რიცხოვნობა, ათასი კაცი | | |
|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის სწავლობენ განყოფილებებზე | |
| | | | დღის | დაუსწრებელზე |
| 1991/92 | 48 | 10,6 | 10,4 | 0,2 |
| 1992/93 | 131 | 33,1 | 31,0 | 2,0 |
| 1994/95 | 93 | 41,3 | 37,8 | 3,5 |
| 1995/96 | 109 | 42,0 | 38,9 | 3,1 |
| 1996/97 | 122 | 42,9 | 39,5 | 3,3 |
| 1997/98 | 159 | 40,2 | 37,2 | 3,0 |
| 1998/99 | 154 | 38,3 | 37,3 | 1,0 |
| 1999/2000 | 162 | 40,1 | 38,0 | 2,1 |
| 2000/2001 | 145 | 33,1 | 32,0 | 1,1 |
| 2001/2002 | 153 | 31,9 | 31,0 | 0,9 |
| 2002/2003 | 154 | 31,5 | 29,7 | 1,8 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. – თბილისი, 2000, გვ. 99; თბილისი, იქვე, 2003, გვ. 109.

*ცხრილი 3*

## სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები და სტუდენტთა რიცხოვნობა სწავლების სახეების მიხედვით

(სასწავლო წლის დასაწყისისათვის)

| წლები | სასწავლებლების რიცხვი | მოსწავლეთა რიცხოვნობა, ათასი კაცი | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის სწავლობენ განყოფილებებზე: | | |
| | | | დღის | საღამოს | დაუსწრებელზე |
| 1990/91 | 19 | 103,9 | 64,9 | 13,2 | 25,8 |
| 1991/92 | 19 | 102,8 | 61,6 | 10,9 | 30,4 |
| 1992/93 | 18 | 90,9 | 53,2 | 8,9 | 28,9 |
| 1993/94 | 23 | 91,1 | 50,7 | 8,5 | 31,8 |
| 1994/95 | 23 | 94,6 | 55,5 | 6,2 | 32,9 |
| 1995/96 | 23 | 82,2 | 48,5 | 3,4 | 30,3 |
| 1996/97 | 21 | 86,5 | 54,7 | 2,6 | 29,2 |
| 1997/98 | 23 | 87,3 | 58,8 | 1,7 | 26,7 |
| 1998/99 | 24 | 90,1 | 62,2 | 1,4 | 26,5 |
| 1999/2000 | 24 | 95,0 | 67,5 | 1,0 | 26,5 |
| 2000/2001 | 26 | 105,8 | 77,1 | 0,7 | 28,0 |
| 2001/2002 | 26 | 115,5 | 87,9 | 0,5 | 27,1 |
| 2002/2003 | 26 | 122,2 | 94,1 | 0,3 | 27,8 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. – თბილისი, 2000, გვ. 99, იქვე, 2003, გვ. 108.

*ცხრილი 4*

**მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი დარგების მიხედვით**

| წლები | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა | 3,9 | -6,6 | 6,9 | -12,0 | 8,2 | -0,1 |
| პროდუქცია | 4.3 | -1,8 | 3,7 | 5,3 | -4,5 | 7,8 |
| პროდუქტის წარმოება შინამეურნეობაში | 1,5 | -2,8 | 2,0 | -2,0 | 2,6 | 0,3 |
| მშენებლობა | 51.5 | 35,2 | -21,5 | 4,0 | 5,6 | 28,2 |
| ვაჭრობა | 2,2 | 1,6 | 3,8 | 10,8 | 5,4 | 3,5 |
| სასტუმროები და რესტორნები | 28,1 | 6,4 | 9,7 | 8,3 | 31,8 | 7,9 |
| ტრანსპორტი | 42.0 | 51,7 | 5,4 | 13,9 | 1,6 | 9.0 |
| კავშირგაბმულობა | 3.9 | 36,5 | 7,0 | 8,3 | 1,3 | 4,8 |
| ფინანსური შუამავლობა | 72,5 | 78,1 | 58,6 | 2,5 | 42,2 | 16,6 |
| უძრავი ქონება, კომერციული მომსახურება | 5,.5 | 1,5 | -2,7 | 2,9 | 8,2 | 9,7 |
| სახელმწიფო მართვა და თავდაცვა | -1,5 | 9,2 | 6,3 | 0,4 | -3,7 | 1,8 |
| განათლება | 0,3 | -3,0 | -9,53 | 8,2 | 3,5 | 1,9 |
| ჯანდაცვა | -3.8 | -1,0 | 3,6 | 3,0 | 0,3 | 2,6 |
| კავშირგაბმულობის სხვა სექტორები, სოციალური და საყოფაცხოვრებო მომსახურება | 3,7 | 10,0 | -5,0 | 8,8 | -7,1 | 3,9 |
| შიდამეურნეობაში დასაქმებულნი | -1,5 | -0,2 | -1,8 | -35,9 | -20,5 | -6,9 |
| ნეტო გადასახადები | 125,2 | -13,5 | 14,5 | 8,4 | 15,3 | 6,9 |
| მთლიანი შიდა პროდუქტი 1996 მუდმივ ფასებში | 10,6 | 2,9 | 3,0 | 1,9 | 4,7 | 5,4 |
| მთლიანი შიდა პროდუქტი 1996 მუდმივ ფასებში ერთ სულ მოსახლეზე | - | 2,7 | 2,8 | 1,7 | 5,6 | 6,0 |

წყარო: პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ანგარიში 2002 წლის ბიუჯეტის შესრულებაზე, საქართველო, თბილისი, 2003, გვ. 4.

*ცხრილი 5ა*

## დასაქმებულების განაწილება ეკონომიკის დარგების მიხედვით
(პროცენტი)

| ეკონომიკის სექტორები | 1990 | 1995 | 1996 | 1997 |
|---|---|---|---|---|
| დასაქმებულები – სულ | 100 | 100 | 100 | 100 |
| მათ შორის:<br>მრეწველობა | 20,3 | 14,5 | 8,9 | 6,2 |
| სოფლის მეურნეობა | 25,2 | 30,6 | 50,2 | 58,6 |
| სატყეო მეურნეობა | 0,4 | 0,2 | 0,2 | 0,3 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 7,1 | 7,5 | 6,7 | 4,8 |
| მშენებლობა | 10,2 | 3,9 | 1,4 | 1,6 |
| ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და გასაღება, დამზადება | 6,5 | 12,3 | 9,4 | 10,5 |
| საინფორმაციო-გამოთვლითი მომსახურება | 0,1 | 0,1 | 0,0 | 0,0 |
| მატერიალური წარმოების სფეროს სხვა დარგები | 2,7 | 1,6 | 1,1 | 0,9 |
| საბინაო-კომუნალური მეურნეობა და საყოფაცხოვრებო მომსახურება | 4,8 | 2,9 | 2,3 | 1,0 |
| ჯანდაცვა, ფიზკულტურა და სპორტი, სოციალური უზრუნველყოფა | 6,6 | 9,0 | 5,5 | 4,2 |
| ხელოვნება, კულტურა, განათლება | 11,2 | 13,7 | 10,8 | 8,8 |
| მეცნიერება, სამეცნიერო მომსახურება | 2,6 | 1,3 | 1,1 | 0,9 |
| დაკრედიტება, დაფინანსება | 0,4 | 0,5 | 0,4 | 0,3 |
| მმართველობის აპარატი | 1,9 | 1,8 | 1,7 | 1,9 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. – თბილისი, 2000, გვ. 52-53.

*ცხრილი 5ბ*

## დასაქმებულების განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

| | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 |
|---|---|---|---|---|---|
| დასაქმებულები – სულ | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| მათ შორის:<br>სოფლის მეურნეობა, ნადირობა, სატყეო მეურნეობა | 48,4 | 52,1 | 52,1 | 52,7 | 53,8 |
| თევზჭერა | 0,1 | 0,1 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება | 0,3 | 0,4 | 0,4 | 0,4 | 0,3 |
| გადამამუშავებელი მრეწველობა | 7,0 | 6,4 | 5,9 | 5,4 | 4,6 |
| ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალმომარაგება | 1,4 | 1,2 | 1,7 | 1,6 | 1,4 |
| მშენებლობა | 1,5 | 1,4 | 1,8 | 1,9 | 1,9 |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების, მოტოციკლების, საყოფაცხოვრებო მომსახურება | 9,2 | 8,9 | 10,0 | 9,7 | 11,7 |
| სასტუმროები და რესტორნები | 0,9 | 0,9 | 0,9 | 0,8 | 0,8 |
| ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა და კავშირგაბმულობა | 4,4 | 4,0 | 4,1 | 4,4 | 4,3 |
| საფინანსო შუამავლობა | 0,8 | 0,6 | 0,5 | 0,5 | 0,4 |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა | 2,5 | 2,3 | 2,2 | 2,1 | 1,1 |
| სახელმწიფოს მართვა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური დაზღვევა | 6,6 | 6,2 | 6,1 | 5,6 | 5,9 |
| განათლება | 8,3 | 8,0 | 6,5 | 7,4 | 7,1 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება | 4,8 | 4,5 | 4,9 | 4,5 | 3,4 |
| სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება | 2,8 | 2,5 | 2,6 | 2,5 | 2,8 |
| კერძო შინამეურნეობა დაქირავებული მომსახურებით | 0,9 | 0,4 | 0,2 | 0,2 | 0,4 |
| ექსტერიტორიული ორგანიზაციები და ორგანოები | 0,1 | 0,1 | 0,1 | 0,1 | 0,0 |
| არაიდენტიფიცირებული | 0,1 | 0,1 | 0,1 | 0,1 | 0,0 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2003 საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2003, გვ. 57.

*ცხრილი 5გ*

## დასაქმებულების განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით (ათასი კაცი)

| | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 |
|---|---|---|---|---|---|
| დასაქმებულები – სულ | 1731,1 | 1732,6 | 1839,3 | 1877,7 | 1839,2 |
| მათ შორის:<br>სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეტყევეობა | 837,7 | 903,2 | 957,4 | 989,9 | 988,4 |
| თევზჭერა | 1,8 | 1,2 | 0,8 | 0,7 | 0,6 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება | 5,9 | 6,1 | 6,6 | 7,3 | 5,2 |
| გადამამუშავებელი მრეწველობა | 121,2 | 111,2 | 109,3 | 102,4 | 85,3 |
| ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალმომარაგება | 23,7 | 21,0 | 30,6 | 29,2 | 26,6 |
| მშენებლობა | 25,5 | 24,9 | 33,7 | 35,3 | 34,1 |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების, მოტოციკლების, საყოფაცხოვრებო მომსახურება | 159,0 | 153,7 | 183,8 | 181,5 | 215,4 |
| სასტუმროები და რესტორნები | 15,8 | 15,4 | 15,8 | 16,0 | 15,1 |
| ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა და კავშირგაბმულობა | 75,7 | 68,5 | 75,6 | 83,1 | 78,3 |
| საფინანსო შუამავლობა | 13,1 | 10,9 | 9,5 | 10,2 | 7,7 |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა | 43,1 | 40,3 | 39,6 | 38,7 | 20,4 |
| სახელმწიფოს მართვა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური დაზღვევა | 114,5 | 107,4 | 111,3 | 105,6 | 108,5 |
| განათლება | 144,4 | 138,5 | 120,1 | 138,7 | 129,7 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება | 82,8 | 77,9 | 89,8 | 85,3 | 63,4 |
| სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება | 47,8 | 42,5 | 47,6 | 46,5 | 52,0 |
| კერძო შინამეურნეობა დაქირავებული მომსახურებით | 15,0 | 6,9 | 3,4 | 4,2 | 8,2 |
| ექსტერიტორიული ორგანიზაციები და ორგანოები | 1,9 | 1,9 | 2,0 | 2,0 | 0,3 |
| არაიდენტიფიცირებული | 2,2 | 1,1 | 2,4 | 1,3 | 0,0 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2003 საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2003, გვ. 57.

*ცხრილი 6*

## მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობა ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

(წლის დასაწყისისთვის; ათასი კაცი)

| | 1989 | 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 | 2003 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მთელი მოსახლეობა | 5400,8 | 5375,1 | 5373,4 | 5381,0 | 5394,9 | 5402,1 | 5100,5 | 4401,4 | 4371,5 | 4342,6 |
| მათ შორის ასაკში, წლის: 0-4 | 465,7 | 365,6 | 330,4 | 295,8 | 275,6 | 261,3 | 246,7 | 247,4 | 243,6 | 238,3 |
| 5-9 | 440,7 | 444,3 | 439,9 | 435,8 | 421,0 | 394,9 | 372,8 | 304,4 | 302,3 | 291,9 |
| 10-14 | 432,1 | 435,0 | 442,9 | 448,2 | 447,7 | 447,6 | 422,6 | 372,6 | 370,1 | 357,2 |
| 15-19 | 419,3 | 416,7 | 416,6 | 415,8 | 421,0 | 424,7 | 401,0 | 359,6 | 357,2 | 359,6 |
| 20-24 | 413,7 | 391,8 | 391,8 | 397,9 | 403,0 | 411,2 | 388,2 | 329,7 | 327,5 | 331,4 |
| 25-29 | 467,6 | 391,8 | 388,9 | 387,4 | 388,7 | 382,4 | 361,1 | 313,3 | 311,1 | 311,9 |
| 30-34 | 416,8 | 448,3 | 434,5 | 420,0 | 405,1 | 397,2 | 375,0 | 302,7 | 300,6 | 299,6 |
| 35-39 | 362,4 | 402,3 | 415,8 | 424,9 | 435,4 | 440,4 | 415,8 | 325,6 | 323,5 | 315,5 |
| 40-44 | 261,0 | 350,6 | 357,6 | 366,7 | 374,3 | 385,9 | 364,4 | 337,8 | 335,4 | 328,3 |
| 45-49 | 296,6 | 273,3 | 297,5 | 315,4 | 326,7 | 334,0 | 315,4 | 289,6 | 287,6 | 293,2 |
| 50-54 | 345,6 | 244,4 | 212,4 | 198,6 | 206,3 | 236,0 | 222,8 | 249,1 | 247,4 | 251,8 |
| 55-59 | 303,9 | 332,8 | 340,9 | 335,1 | 311,4 | 268,8 | 253,8 | 149,9 | 148,9 | 165,9 |
| 60-64 | 297,4 | 262,2 | 261,7 | 273,7 | 281,0 | 298,6 | 281,9 | 259,6 | 257,9 | 230,9 |
| 65-69 | 160,6 | 263,9 | 266,7 | 261,3 | 261,1 | 249,0 | 235,1 | 203,8 | 202,4 | 207,1 |
| 70 და მეტი | 317,4 | 352,1 | 375,8 | 404,4 | 436,6 | 470,1 | 443,9 | 356,3 | 356,0 | 360,0 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. – თბილისი, 2000, გვ. 35-38. იქვე, 2003, გვ. 38.

*ცხრილი 7*

## უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა
(სასწავლო წლის დასაწყისისათვის, კაცი)

| | სახელმწიფო სასწავლებლები | | | | | | | არასახელმწიფო საერო (ფასიანი) სასწავლებლები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1995/96 | 1997/98 | 1998/99 | 1999/2000 | 2000/2001 | 2001/2002 | 2002/2003 | 1997/98 | 1998/99 | 1999/2000 | 2000/2001 | 2001/2002 | 2002/2003 |
| პროფესორ-მასწავლე-ბელთა რიცხოვნობა – სულ | 9271 | 10430 | 13548 | 14484 | 15461 | 16107 | 15393 | 9144 | 11166 | 10423 | 10610 | 8712 | 11964 |
| მათ შორის: შტატით | 9181 | 8214 | 9947 | 9398 | 10689 | 11209 | 10003 | 2663 | 2496 | 3037 | 2714 | 2470 | 5989 |
| შემთავსე-ბელი | 90 | 2216 | 1501 | 5068 | 4772 | 4898 | 5390 | 6481 | 3747 | 7351 | 7896 | 6242 | 5975 |
| სამეცნიერო ხარისხის მქონე პროფესორ-მასწავლებელთა საერთო რიცხვი | 3195 | 4253 | 6050 | 5976 | 6969 | 7408 | 6583 | 3605 | 4356 | 4596 | 3794 | 4194 | 3864 |
| მეცნიერებათ დოქტორის | 752 | 847 | 1519 | 1580 | 2039 | 1942 | 1655 | 1016 | 1249 | 1232 | 1372 | 1532 | 1291 |
| მეცნიერე-ბათა კანდიდატის | 2443 | 3406 | 4531 | 4396 | 4930 | 5466 | 4928 | 2589 | 3107 | 3364 | 2422 | 2662 | 2573 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2000/ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2000, გვ. 103-104. თბილისი 2003, გვ. 111.

*ცხრილი 8*

## დასაქმების სამსახურებში რეგისტრირებული უმუშევრების რიცხოვნობის განაწილება განათლების დონის მიხედვით

(საშუალო წლიური; ათასი კაცი)

| | 1991 | 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002[1] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| უმუშევარი – სულ | 5,5 | 64,1 | 49,2 | 118,2 | 85,5 | 100,4 | 100,6 | 97,8 | 21,9 |
| მათ შორის აქვთ განათლება: დაწყებითი ან საბაზო | 0,1 | - | 0,1 | 0,1 | - | - | - | - | 0,0 |
| არასრული საშუალო | 0,3 | 1,2 | 0,5 | 14,8 | 15,3 | 26,1 | 26,8 | 26,1 | 0,1 |
| სრული საშუალო | 1,2 | 12,2 | 10,9 | 47,4 | 33,4 | 32,8 | 44,7 | 43,5 | 14,5 |
| უმაღლესი | 3,9 | 50,7 | 37,7 | 55,9 | 36,8 | 33,3 | 29,1 | 28,2 | 7,3 |

[1] დასაქმების ოფისის რეორგანიზაციის გამო ახალი სარეგისტრაციო კამპანია გახდა საჭირო, რომელიც გვაძლევს შარშანდელ მონაცემებზე უფრო დაბალ შედეგებს.
წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2000/ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2000, გვ. 56. თბილისი 2003, გვ. 64

*ცხრილი 9*

## დასაქმების სამსახურებში რეგისტრირებული უმუშევრების რიცხოვნობის განაწილება ასაკის მიხედვით

(საშუალო წლიური; კაცი)

| | 1991 | 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002[1] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| უმუშევარი – სულ | 5500 | 64120 | 49170 | 118169 | 85450 | 92161 | 100596 | 97861 | 21909 |
| მათ შორის ასაკის, წელი: 16-29 | 673 | 4554 | 1782[2] | 18187[2] | 31901[1] | 32858 | 36663 | 35666 | 2958[2] |
| 30-49 | 3895 | 46157 | 33840[3] | 86854[3] | 33826 | 39093 | 40206 | 39113 | 12203[3] |
| 50 და მეტი | 932 | 13409 | 13548 | 13128 | 19723 | 20210 | 23727 | 23082 | 6748 |

[1] დასაქმების ოფისის რეორგანიზაციის გამო ახალი სარეგისტრაციო კამპანია გახდა საჭირო, რომელიც გვაძლევს შარშანდელ მონაცემებზე უფრო დაბალ შედეგებს;
[2] 16-24;
[3] 25-49.
წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2000/ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2000, გვ. 56., იქვე, 2003, გვ. 63-64.

*ცხრილი 10*

## საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი
## (ფაქტიურად მოქმედ ფასებში; მლნ. ლარი)

| | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 |
|---|---|---|---|---|---|---|
| მთელი შემოსავლები და გრანტები | 593,2 | 621,9 | 650,2 | 640,3 | 740,3 | 905,6 |
| შემოსავლები – სულ | 568,8 | 591,4 | 600,8 | 625,9 | 692,3 | 883,0 |
| მათ შორის: საგადასახადო შემოსავლები | 352,7 | 330,1 | 414,4 | 437,8 | 630,5 | 752,5 |
| საშემოსავლო გადასახადი | 28,8 | 39,2 | 44,9 | 31,3 | 18,5 | 22,5 |
| მოგების გადასახადი | 13,5 | 20,4 | 20,2 | 21,0 | 7,0 | 11,2 |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 199,9 | 184,6 | 212,7 | 254,9 | 314,9 | 382,3 |
| აქციზები | 49,1 | 27,7 | 110,7 | 86,6 | 79,7 | 84,4 |
| საბაჟო გადასახადი | 58,7 | 58,1 | 26,0 | 44,0 | 38,5 | 48,7 |
| სხვა გადასახადები | 2,7 | - | - | - | 0,0 | 18,3 |
| კაპიტალური შემოსავლები | 13,2 | 47,0 | 21,0 | - | - | - |
| არასაგადასახადო შემოსავლები | 101,2 | 71,6 | 20,9 | 31,6 | 61,1 | 130,1 |
| სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსავლები | 101,8 | 142,7 | 144,5 | 156,5 | 172,5 | 185,1 |
| გრანტები | 24,4 | 30,4 | 49,3 | 14,3 | 48,1 | 22,6 |
| ხარჯები და წმინდა დაკრედიტება | 776,8 | 797,3 | 904,8 | 833,9 | 906,4 | 1049,4 |

(გაგრძელება)

| | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 |
|---|---|---|---|---|---|---|
| მათ შორის: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 95,8 | 65,8 | 125,1 | 100,8 | 172,6 | 218,0 |
| თავდაცვა | 67,5 | 56,5 | 35,7 | 28,9 | 36,2 | 48,0 |
| საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება | 93,3 | 65,9 | 75,7 | 63,8 | 77,7 | 80,4 |
| განათლება | 46,3 | 30,4 | 29,6 | 26,9 | 31,5 | 37,0 |
| ჯანმრთელობის დაცვა | 25,6 | 26,8 | 15,7 | 20,4 | 33,0 | 39,9 |
| სოციალური დაზღვევა, სოციალური უზრუნველყოფა | 190,0 | 216,1 | 250,2 | 280,0 | 233,2 | 267,0 |
| კულტურა, სპორტი | 36,1 | 33,2 | 25,6 | 21,2 | 20,0 | 24,7 |
| სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი | 11,9 | 3,8 | 11,5 | 25,3 | 9,0 | 16,9 |
| სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 17,4 | 22,2 | 15,5 | 12,3 | 14,8 | 8,9 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 38,6 | 49,3 | 35,8 | 31,4 | 34,2 | 36,9 |
| სხვა ხარჯები | 154,4 | 227,5 | 284,4 | 262,6 | 244,3 | 264,0 |
| შემოსავლების ხარჯებზე გადამეტება(+), დეფიციტი(-) | -183,6 | -175,4 | -254,6 | -193,6 | -166,1 | -143,8 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. – თბილისი, 2003, გვ. 268-269.

*ცხრილი 11ა*

## ეკონომიკის დარგებში დასაქმებულების საშუალო ყოველთვიური ნომინალური ხელფასი

(ლარი)

| ინდუსტრიები | 1990 | 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეკონომიკა – სულ | 214,0 | 13,6 | 29,0 | 42,5 | 55,4 | 67,5 |
| მრეწველობა | 249,0 | 20,5 | 50,3 | 56,7 | 71,9 | 88,6 |
| სოფლის მეურნეობა | 196,4 | 4,6 | 10,0 | 15,1 | 16,1 | 26,9 |
| ტრანსპორტი | 215,4 | 32,5 | 68,3 | 79,8 | 95,7 | 101,7 |
| კავშირგაბმულობა | 186,1 | 25,4 | 43,2 | 57,5 | 67,7 | 96,9 |
| მშენებლობა | 334,4 | 38,8 | 79,7 | 102,6 | 118,6 | 142,4 |
| ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, მომარაგება და გასაღება, დამზადება | 160,0 | 15,7 | 17,7 | 30,8 | 30,5 | 36,9 |
| საბინაო-კომუნალური მეურნეობა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების არასაწარმოო სახეობები | 168,2 | 18,8 | 34,0 | 46,5 | 56,1 | 96,7 |
| ჯანმრთელობის დაცვა, ფიზკულტურა და სოციალური უზრუნველყოფა | 133,9 | 5,5 | 16,1 | 23,5 | 26,6 | 33,5 |
| განათლება | 156,9 | 7,0 | 14,6 | 26,8 | 46,4 | 41,9 |
| კულტურა | 144,4 | 4,0 | 15,9 | 28,4 | 33,8 | 49,6 |
| ხელოვნება | 147,9 | 5,0 | 25,9 | 43,9 | 62,5 | 65,8 |
| მეცნიერება და სამეცნიერო მომსახურება | 236,5 | 9,9 | 24,3 | 44,0 | 61,2 | 69,3 |
| ფინანსები, კრედიტი და დაზღვევა, საპენსიო უზრუნველყოფა | 329,7 | 28,9 | 53,9 | 125,4 | 156,2 | 227,9 |
| სახელმწიფო მართვა | 255,9 | 10,4 | 38,7 | 54,4 | 73,8 | 87,1 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2000, გვ. 57-58.

*ცხრილი 11ბ*

## ეკონომიკაში დასაქმებულების საშუალო ყოველთვიური ნომინალური ხელფასი ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით

(ლარი)

| | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 |
|---|---|---|---|---|---|
| ეკონომიკა – სულ | 55,4 | 67,5 | 72,3 | 94,6 | 113,5 |
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა | 15,8 | 27,5 | 29,7 | 33,2 | 42,2 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება | 52,9 | 52,8 | 119,3 | 153,8 | 192,2 |
| გადამამუშავებელი მრეწველობა | 52,8 | 54,9 | 99,3 | 120,8 | 143,4 |
| ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალმომარაგება | 114,2 | 171,7 | 187,0 | 212,1 | 214,9 |
| მშენებლობა | 113,1 | 141,1 | 147,1 | 145,9 | 176,1 |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების, მოტოციკლების, საყოფაცხოვრებო მომსახურება | 25,7 | 37,6 | 47,0 | 57,4 | 72,8 |
| სასტუმროები და რესტორნები | 28,8 | 24,9 | 40,4 | 50,1 | 51,5 |
| ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა და კავშირგაბმულობა | 77,6 | 83,9 | 103,4 | 141,1 | 171,7 |
| საფინანსო შუამავლობა | 119,1 | 251,3 | 513,4 | 428,7 | 429,6 |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა | 33,8 | 55,8 | 74,3 | 88,2 | 92,0 |
| სახელმწიფოს მართვა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური დაზღვევა | 66,0 | 84,9 | 88,5 | 105,9 | 141,2 |
| განათლება | 46,4 | 44,1 | 45,5 | 45,5 | 56,5 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება | 25,7 | 34,9 | 32,1 | 45,6 | 55,6 |
| სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება | 40,7 | 54,9 | 66,9 | 75,3 | 82,1 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. – თბილისი, 2003, გვ. 65.

*ცხრილი 11გ*

### ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით დასაქმებულების საშუალო ყოველთვიური ნომინალური ხელფასის შეფარდება მთლიანად ეკონომიკაში დასაქმებულების საშუალო ყოველთვიურ ნომინალურ ხელფასთან (პროცენტი)

| | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 |
|---|---|---|---|---|---|
| ეკონომიკა – სულ | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა | 28,5 | 40,7 | 41,1 | 35,1 | 37,2 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება | 95,5 | 78,2 | 165,0 | 162,6 | 169,3 |
| გადამამუშავებელი მრეწველობა | 95,3 | 81,3 | 137,3 | 127,7 | 126,3 |
| ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალმომარაგება | 206,1 | 254,4 | 258,6 | 224,2 | 189,3 |
| მშენებლობა | 204,2 | 209,0 | 203,5 | 154,2 | 155,2 |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების, მოტოციკლების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი სარგებლობის ნივთების რემონტი | 46,4 | 55,7 | 65,0 | 60,7 | 64,1 |
| სასტუმროები და რესტორნები | 52,0 | 36,9 | 55,9 | 53,0 | 45,4 |
| ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა და კავშირგაბმულობა | 140,1 | 124,3 | 143,0 | 149,2 | 151,3 |
| საფინანსო შუამავლობა | 215,0 | 372,3 | 710,1 | 453,2 | 378,5 |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა | 61,0 | 82,7 | 102,8 | 93,2 | 81,1 |
| სახელმწიფოს მართვა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური დაზღვევა | 119,1 | 125,8 | 122,4 | 111,9 | 124,4 |

*(გაგრძელება)*

| | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 |
|---|---|---|---|---|---|
| განათლება | 83,8 | 65,3 | 62,9 | 48,1 | 49,8 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება | 46,4 | 51,7 | 44,4 | 48,2 | 49,0 |
| სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება | 73,5 | 81,3 | 92,5 | 79,6 | 72,3 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2003, გვ. 66.

*ცხრილი 12*

**სამუშაო ძალაზე გაწეული დანახარჯები ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით (საშუალოდ ერთ მუშაკზე)**

| | ლარი | | | პროცენტობით საშუალოსთან | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2000 | 2001 | 2002 | 2000 | 2001 | 2002 |
| დანახარჯები – საშუალოდ | 1136,41 | 1402,3 | 1806,5 | 100 | 100 | 100 |
| აქედან: სოფლის მეურნეობა და სატყეო მეურნეობა, თევზჭერა | 311,6 | 546,1 | 745,7 | 27,4 | 38,9 | 41,3 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება | 2021,3 | 2392,3 | 3271,9 | 177,9 | 170,6 | 181,1 |
| გადამამუშავებელი მრეწველობა | 1594,7 | 1947,2 | 2307,0 | 140,3 | 138,9 | 127,7 |
| ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალმომარაგება | 2149,4 | 3952,2 | 3412,2 | 189,1 | 281,8 | 188,9 |

*(გაგრძელება)*

| | ლარი | | | პროცენტობით საშუალოსთან | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მშენებლობა | 2109,2 | 2320,1 | 2812,1 | 185,6 | 165,4 | 155,7 |
| ვაჭრობა და საყოფაცხოვრებო საქონლის ტექნიკური მომსახურება | 749,3 | 957,8 | 1184,5 | 65,9 | 68,3 | 65,6 |
| სასტუმროები და რესტორნები | 650,4 | 832,1 | 837,6 | 57,2 | 59,3 | 46,4 |
| ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა და კავშირგაბმულობა | 2000,3 | 2267,3 | 2775,9 | 176,0 | 161,7 | 153,7 |
| საფინანსო შუამავლობა | 8068,1 | 6766,4 | 6979,8 | 710,0 | 482,5 | 386,4 |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და საქმიანი აქტივობა, კვლევითი და საპროექტო სამუშაოები | 1140,6 | 1426,7 | 1505,6 | 100,4 | 101,7 | 83,3 |
| სახელმწიფოს მართვა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური დაზღვევა | 1402,2 | 1603,8 | 2045,5 | 123,5 | 114,7 | 113,2 |
| განათლება | 727,0 | 757,3 | 926,8 | 64,0 | 54,0 | 51,3 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება | 456,7 | 768,2 | 912,2 | 40,2 | 54,8 | 50,5 |
| სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება, კულტურა, გართობა, დასვენება | 1046,5 | 1205,0 | 1326,7 | 92,1 | 85,9 | 73,4 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2003, გვ. 69.

*ცხრილი 13*

## სიღარიბის აბსოლუტური და ფარდობითი ზღვრები
(ლარი თვეში)

| 1997 | საარსებო მინიმუმი | მედიანური მოხმარება |
|---|---|---|
| I კვარტალი | 106,0 | 126,3 |
| II კვარტალი | 110,4 | 126,8 |
| III კვარტალი | 101,1 | 100,5 |
| IV კვარტალი | 103,6 | 117,1 |
| 1997 წელს, საშუალოდ | 105,3 | 117,7 |
| 1998 | | |
| I კვარტალი | 103,9 | 102,6 |
| II კვარტალი | 105,5 | 103,5 |
| III კვარტალი | 96,5 | 95,9 |
| IV კვარტალი | 100,5 | 109,6 |
| 1998 წელს, საშუალოდ | 101,6 | 102,8 |
| 1999 | | |
| I კვარტალი | 117,8 | 122,7 |
| II კვარტალი | 124,3 | 106,1 |
| III კვარტალი | 109,9 | 104,7 |
| IV კვარტალი | 111,3 | 119,7 |
| 1999, წელს, საშუალოდ | 115,8 | 113,3 |
| 2000 | | |
| I კვარტალი | 117,6 | 119,1 |
| II კვარტალი | 115,1 | 109,0 |
| III კვარტალი | 111,7 | 102,5 |
| IV კვარტალი | 113,8 | 115,9 |
| 2000 წელს, საშუალოდ | 114,6 | 111,6 |

*(გაგრძელება)*

| 2001 | საარსებო მინიმუმი | მედიანური მოხმარება |
|---|---|---|
| I კვარტალი | 115,7 | 122,4 |
| II კვარტალი | 117,3 | 115,7 |
| III კვარტალი | 115,1 | 103,0 |
| IV კვარტალი | 118,5 | 117,1 |
| 2001 წელს, საშუალოდ | 116,6 | 114,5 |
| 2002 | | |
| I კვარტალი | 126,6 | 127,1 |
| II კვარტალი | 126,5 | 112,7 |
| III კვარტალი | 123,7 | 113,5 |
| IV კვარტალი | 124,6 | 133,1 |
| 2002 წელს, საშუალოდ | 125,4 | 121,6 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2000, გვ. 80. თბილისი 2003, გვ. 88.

*ცხრილი 14*

## მოსახლეობის საშუალო ყოველთვიური შემოსავლები
(მილიონი ლარი)

| | 2001 | | | 2002 | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ქალაქად | სოფლად | ქვეყანაში სულ | ქალაქად | სოფლად | ქვეყანაში სულ |
| შემოსავალი სულ | 96,0 | 93,0 | 189,0 | 112,7 | 130,1 | 242,8 |
| ფულადი შემოსავლები და ტრანსფერები – სულ | 87,0 | 55,0 | 142,0 | 100,1 | 63,6 | 163,7 |
| დაქირავებული შრომიდან | 44,8 | 12,5 | 57,4 | 50,2 | 14,2 | 64,4 |
| თვითდასაქმებიდან | 18,6 | 7,8 | 26,4 | 23,4 | 9,4 | 32,8 |
| სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან | 1,6 | 21,7 | 23,3 | 2,0 | 28,9 | 30,9 |
| ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან და სხვა) | 1,4 | 0,3 | 1,7 | 0,8 | 0,3 | 1,1 |
| პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები | 7,1 | 6,3 | 13,4 | 5,8 | 2,8 | 8,6 |
| უცხოეთიდან მიღებული გზავნილები | 6,1 | 3,2 | 9,3 | 7,9 | 3,6 | 11,5 |
| ახლობლებისაგან მიღებული ფული | 7,3 | 3,2 | 10,5 | 8,9 | 4,0 | 12,9 |
| არაფულადი შემოსავლები | 9,0 | 38,0 | 47,0 | 12,6 | 66,5 | 79,1 |
| სხვა ფულადი შემოსავლები –სულ | 10,9 | 9,3 | 20,2 | 30,5 | 19,2 | 49,7 |
| ქონების გაყიდვა | 4,1 | 3,5 | 7,6 | 9,8 | 1,7 | 11,5 |
| ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება | 6,8 | 5,8 | 12,6 | 20,7 | 17,4 | 38,1 |
| ფულადი სახსრები – სულ | 97,9 | 64,3 | 162,2 | 130,6 | 82,8 | 213,4 |
| ფულადი და არაფულადი სახსრები – სულ | 106,9 | 102,3 | 209,2 | 143,2 | 149,3 | 292,5 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. – თბილისი, 2003, გვ. 75-76.

ცხრილი 15

**მოსახლეობის საშუალო ყოველთვიური ხარჯები ქალაქად და სოფლად (მლნ. ლარი)**

| | 2001 | | | 2002 | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ქალაქად | სოფლად | ქვეყანაში სულ | ქალაქად | სოფლად | ქვეყანაში სულ |
| სამომხმარებლო ხარჯები - სულ | 154,8 | 145,6 | 300,4 | 160,8 | 150,1 | 310,9 |
| ფულადი სამომხმარებლო ხარჯები - სულ | 140,4 | 79,3 | 219,6 | 148,2 | 83,6 | 231,9 |
| სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე | 74,1 | 42,0 | 116,1 | 76,2 | 44,7 | 120,9 |
| ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე | 7,8 | 5,5 | 13,2 | 7,8 | 5,5 | 13,3 |
| საოჯახო მოხმარების საქონელზე | 16,8 | 11,0 | 27,9 | 4,4 | 3,7 | 8,1 |
| ჯანმრთელობის დაცვაზე | 7,9 | 4,6 | 12,5 | 10,3 | 6,5 | 16,8 |
| სათბობსა და ელექტროენერგიაზე | 11,2 | 7,4 | 18,6 | 13,8 | 7,6 | 21,4 |
| ტრანსპორტზე | 9,8 | 3,7 | 13,4 | 18,1 | 9,4 | 27,5 |
| განათლებაზე, კულტურასა და დასვენებაზე | 6,0 | 1,9 | 7,9 | 10,5 | 3,7 | 14,2 |
| სხვა ფულადი სამომხმარებლო ხარჯები | 6,8 | 3,2 | 10,0 | 7,2 | 2,5 | 9,7 |
| ნატურით მოხმარება | 14,5 | 66,4 | 80,8 | 12,6 | 66,5 | 79,1 |
| სხვა ხარჯები – სულ | 14,4 | 15,1 | 29,6 | 27,8 | 25,8 | 53,6 |
| სასოფლო-სამეურნეო ხარჯები | 0,7 | 5,7 | 6,4 | 0,8 | 6,7 | 7,6 |
| ტრანსფერტებზე | 0,7 | 0,1 | 0,8 | 3,0 | 3,0 | 6,1 |
| დაზოგვაზე ან გასესხებაზე | 13,1 | 9,3 | 22,4 | 12,4 | 12,4 | 24,8 |
| ინვესტიციებზე | 0,0 | 0,0 | 0,0 | 11,6 | 3,6 | 15,2 |
| ფულადი ხარჯები – სულ | 154,8 | 94,4 | 249,2 | 176,1 | 109,4 | 285,4 |
| ხარჯები – სულ | 169,3 | 160,8 | 330,0 | 188,6 | 175,9 | 364,5 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2003, გვ. 79-81.

*ცხრილი 16*

**საშუალო ყოველთვიური შემოსავლები ერთ სულზე ქალაქად და სოფლად**
**(ლარი)**

| | 2001 | | | 2002 | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ქალაქად | სოფლად | ქვეყანაში სულ | ქალაქად | სოფლად | ქვეყანაში სულ |
| შემოსავალი სულ | 44,9 | 45,7 | 45,3 | 55,4 | 66,5 | 60,8 |
| ფულადი შემოსავლები და ტრანსფერები – სულ | 40,7 | 27,0 | 34,0 | 49,2 | 32,5 | 41,0 |
| დაქირავებული შრომიდან | 21,0 | 6,2 | 13,7 | 24,7 | 7,3 | 16,1 |
| თვითდასაქმებიდან | 8,7 | 3,8 | 6,3 | 11,5 | 4,8 | 8,2 |
| სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან | 0,7 | 10,7 | 5,6 | 1,0 | 14,7 | 7,7 |
| ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან და სხვა) | 0,7 | 0,1 | 0,4 | 0,4 | 0,2 | 0,3 |
| პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები | 3,3 | 3,1 | 3,2 | 2,8 | 1,4 | 2,2 |
| უცხოეთიდან მიღებული გზავნილები | 2,9 | 1,6 | 2,2 | 3,9 | 1,9 | 2,9 |
| ახლობლებისაგან მიღებული ფული | 3,4 | 1,6 | 2,5 | 4,4 | 2,0 | 3,2 |
| არაფულადი შემოსავლები | 4,2 | 18,7 | 11,3 | 6,2 | 34,0 | 19,8 |
| სხვა ფულადი შემოსავლები –სულ | 5,1 | 4,5 | 4,8 | 15,0 | 9,8 | 12,4 |
| ქონების გაყიდვა | *1,9* | *1,7* | *1,8* | *4,8* | *0,9* | *2,9* |
| ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება | 3,2 | 2,8 | 3,0 | 10,2 | 8,9 | 9,5 |
| ფულადი სახსრები – სულ | 45,8 | 31,5 | 38,8 | 64,2 | 42,3 | 53,5 |
| ფულადი და არაფულადი სახსრები – სულ | 50,0 | 50,2 | 50,1 | 70,4 | 76,3 | 73,3 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2003, გვ. 78-79.

*ცხრილი 17*

## საშუალო თვიური ხარჯები ერთ სულზე ქალაქ-სოფლის მიხედვით (ლარი)

| | 2001 | | | 2002 | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ქალაქად | სოფლად | ქვეყანაში სულ | ქალაქად | სოფლად | ქვეყანაში სულ |
| სამომხმარებლო ხარჯები - სულ | 72,4 | 71,4 | 71,9 | 79,1 | 76,7 | 77,9 |
| ფულადი სამომხმარებლო ხარჯები - სულ | 65,7 | 38,9 | 52,6 | 72,9 | 42,7 | 58,1 |
| სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე | 34,7 | 20,6 | 27,8 | 37,4 | 22,9 | 30,3 |
| ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე | 3,6 | 2,7 | 3,2 | 3,8 | 2,8 | 3,3 |
| საოჯახო მოხმარების საქონელზე | 7,9 | 5,4 | 6,7 | 2,2 | 1,9 | 2,0 |
| ჯანმრთელობის დაცვაზე | 3,7 | 2,3 | 3,0 | 5,1 | 3,3 | 4,2 |
| სათბობსა და ელექტროენერგიაზე | 5,2 | 3,6 | 4,4 | 6,8 | 3,9 | 5,4 |
| ტრანსპორტზე | 4,6 | 1,8 | 3,2 | 8,9 | 4,8 | 6,9 |
| განათლებაზე, კულტურასა და დასვენებაზე | 2,8 | 0,9 | 1,9 | 5,1 | 1,9 | 3,6 |
| სხვა ფულადი სამომხმარებლო ხარჯები | 3,2 | 1,6 | 2,4 | 3,6 | 1,3 | 2,4 |
| ნატურით მოხმარება | 6,8 | 32,6 | 19,4 | 6,2 | 34,0 | 19,8 |
| სხვა ხარჯები – სულ | 6,8 | 7,4 | 7,1 | 13,7 | 13,2 | 13,4 |
| სასოფლო-სამეურნეო ხარჯები | 0,3 | 2,8 | 1,5 | 0,4 | 3,4 | 1,9 |
| ტრანსფერტებზე | 0,3 | 0,1 | 0,2 | 1,5 | 1,6 | 1,5 |
| დაზოგვაზე ან გასესხებაზე | 6,1 | 4,6 | 5,4 | 6,1 | 6,3 | 6,2 |
| ინვესტიციებზე | 0,0 | 0,0 | 0,0 | 5,7 | 1,8 | 3,8 |
| ფულადი ხარჯები – სულ | 72,4 | 46,3 | 59,7 | 86,5 | 55,9 | 71,5 |
| ხარჯები – სულ | 79,2 | 78,9 | 79,0 | 92,7 | 89,9 | 91,3 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2003, გვ. 83-84.

*ცხრილი 18*

## საქართველოში რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა

| რიგითი № | დანაშაულის სახეობა | 2001 წლის 12 თვე | | | 2002 წლის 12 თვე | | | +მატება -კლება | +მატება -კლება პროცენ-ტებში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ რეგისტრი -რებული | გახსნილია | გახსნის პროცენტი | სულ რეგისტრი-რებული | გახსნილია | გახსნის პროცენტი | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 1. | სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება | | | | 96 | 95 | 99,0 | | |
| 2. | სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება | | | | 50 | 50 | 100,0 | | |
| 3. | მექრთამეობა | 31 | 31 | 100,0 | 36 | 36 | 100,0 | +5 | 16,1 |
| 4. | მათ შორის: მძიმე | 22 | 22 | 100,0 | 24 | 24 | 100,0 | +2 | 9,1 |
| 5. | მათ შორის: განსა-კუთრებით მძიმე | 6 | 6 | 100,0 | 3 | 3 | 100,0 | -3 | 50,0 |
| 6. | სამსახურებრივი სიყალბე | | | | 45 | 44 | 97,7 | | |
| 7. | სამსახურებრივი გულგრილობა | 39 | 39 | 100,0 | 65 | 65 | 100,0 | +26 | 66,7 |
| 8. | მითვისება ან გაფლანგვა | 246 | 244 | 99,2 | 226 | 225 | 99,6 | -20 | 8,1 |

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მასალები

## დანართი 2

ანგარიში განათლების სამინისტროს ფინანსური საქმიანობის აუდიტის შესახებ (მთავარი კონტროლიორი, ე. მეტრეველი, კონტროლიორები ნ. კობაიძე, ა ჯოხაძე, კ. მელქაძე, კონტროლის პალატის პირველი დეპარტამენტი) 15.04.02.

თანახმა ვარ

[signature]

15.04 2002წ.

საქართველოს კონტროლის პალატის
თავმჯდომარეს
ბატონ სულხან მოლაშვილს

პირველი დეპარტამენტის მთავარი
კონტროლიორის ე.მეტრეველის
კონტროლიორების ნ.კობაიძის,
ა.ჯოხაძის, კ.მელქაძის

### მოხსენებითი ბარათი

საქართველოს კონტროლის პალატის 2002 წლის 28 თებერვლის N148 ბრძანების საფუძველზე პირველი დეპარტამენტის მთავარმა კონტროლიორმა ე.მეტრეველმა, კონტროლიორებმა ნ.კობაიძემ, ა.ჯოხაძემ და კ.მელქაძემ საქართველოს განათლების სამინისტროში ჩავატარეთ 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ბიუჯეტგარეშე სახსრების მიღებისა და გამოყენების ანალიზი, სამინისტროს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის შედეგების რეალობისა და 1997-98 წლებში სამინისტროდან სხვადასხვა ორგანიზაციებზე დროებით სარგებლობაში გადაცემული მატერიალური ფასეულობების უკან დაბრუნების საკითხის თემატური შემოწმება.

ანალიზით დადგინდა, რომ საქართველოს განათლების სამინისტროს ბიუჯეტიდან, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13724,4 ათ.ლარისა, მიღებული აქვს 1179,8 ათ.ლარით ნაკლები. ამასთან, საკასო ხარჯთან შედარებით, ფაქტობრივი ხარჯი გაწეულია 612,4 ათ.ლარით მეტი.

საქართველოს განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში გაერთიანებულია 224 უწყება და ორგანიზაცია. 2001 წლის საანგარიშო პერიოდში სამინისტროს ბიუჯეტგარეშე შემოსავლებმა, ნაცვლად დაგეგმილი 7772,0 ათ.ლარისა 5778,4 ათ.ლარი შეადგინა, ანუ გეგმის შესრულებას დააკლდა 1993,6 ათ.ლარი. ფაქტობრივი არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან ფასიანი სწავლების გადასახადის შემოსავლის წილად მოდის 89,4%, თანხით 5168,7 ათ.ლარი, გრანტის სახით მიღებული თანხა შეადგენს 2,7%-ს, თანხით 160,1 ათ.ლარი, იჯარებიდან შემოსული-0,16%-ს, თანხით 9,6 ათ.ლარი, დამხმარე მეურნეობებიდან 0,34%-ს, თანხით 20,8 ათ.ლარი, ლტოლვილების თანხები შეადგენს 1,8%-ს და სხვა.

განათლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ბალანსებისა და პირველადი დოკუმენტების თანახმად, 2002 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სისტემაში ირიცხება 667,4 ათ.ლარის დებიტორული და 10784,2 ათ.ლარის კრედიტორული დავალიანება. ამასთან, სამინისტრო ჯეროვნად ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული დავალიანებების შემცირების საკითხის მოგვარებას. კერძოდ, ბალანსით რიცხუ

დებიტორულ დავალიანებებზე, რომელიც 1997 წლიდან მომდინარეობს; ზოგიერთ შემთხვევაში არაა შედგენილი ურთიერთშედარების აქტები, დაქვემდებარებული ობიექტებიდან სამინისტროში წარმოდგენილ ბალანსებს არ ახლავს გაშიფრული დავალიანებათა ჩამონათვალი, წარმოშობის ვადის და მიზეზების მითითებით და ა.შ. განსაკუთრებით დიდი ოდენობის დებიტორული დავალიანება ერიცხება ცენტრალურ აპარატს (43,9 ათ.ლარი), ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (207,6 ათ.ლარი) და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ საბალანსო ანგარიშ N160-ზე, "ანგარიშსწორება ანგარიშვალდებულ პირებთან", სამინისტროს აპარატს ხანდაზმულ დებიტორად ერიცხება 3,5 ათ.ლარი, რომელიც მომდინარეობს 1988 წლიდან. აღნიშნული დავალიანება ეკუთვნის განათლების მინისტრ ა.კარტოზიას და მის პირველ მოადგილეს ვ.სანაძეს.

ნაერთ ბალანსზე რიცხული მთლიანი კრედიტორული დავალიანებიდან სამინისტროს 224 ობიექტს სხვადასხვა საბალანსო ანგარიშებზე, 1998 წლიდან ერიცხება 8387,5 ათ.ლარი. კრედიტორული დავალიანების ზრდა გეგმის ფარგლებში სისტემის ორგანიზაციების დაუფინანსებლობასთან ერთად განპირობებულია არაგეგმური, უკანონო ხარჯების გაწევით. კერძოდ, კომუნალურ მომსახურებაზე და რბილი ინვენტარის და უნიფორმის ხარჯების მუხლებში გადახარჯვებმა შესაბამისად 169,1 ათ.ლარი და 21,5 ათ.ლარი შეადგინა. მათ შორის, კომუნალური მომსახურების მუხლით არაგეგმური ფაქტობრივი ხარჯები გაწეულია სამინისტროს აპარატში 1,5 ათ.ლარის, საბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღებში 26,0 ათ.ლარის, ბავშვთა სახლებში 1,2 ათ.ლარის, განსაკუთრებული რეჟიმის სკოლა-ინტერნატებში 9,8 ათ.ლარის და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში 154,6 ათ.ლარის ოდენობით და სხვა.

დაქვემდებარებული ორგანიზაციების ჭრილში ზეგეგმური, უკანონო ფაქტობრივი ხარჯები გასწიეს საბავშვო ბაგა-ბაღებმა. მათ შორის, საერთო ხარჯების სახით, მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბაღში გეგმის 70,8 ათ.ლარის პირობებში, გაწეული იქნა 86,3 ათ.ლარის, ფაქტობრივი ხარჯი ანუ 15,5 ათ.ლარით მეტი, ხოლო სმენადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბაღში 7,1 ათ.ლარით მეტი. ანალოგიური მდგომარეობაა ბავშვთა სახლებში, დაწყებით-პროფესიულ და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, სადაც ფაქტობრივად საერთო ხარჯებისა და წმინდა დაკრედიტების სახით გაწეული არაგეგმური ხარჯები, შესაბამისად 44,9 ათ.ლარს და 153,0 ათ.ლარს შეადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლეთა და სტუდენტთა სახელმწიფო დაკვეთით მომზადებასთან დაკავშირებით 2001 წლის ბიუჯეტის კანონის 29-ე მუხლის მე-20 პუნქტის მოთხოვნები არ არის შესრულებული. კერძოდ, "ა" პუნქტის თანახმად, განათლების სამინისტროს, 2000 წლის 1 [illegible]მდე უნდა შეემუშავებინა და დაემტკიცებინა სახელმწიფო საგანმანათ-

ლები სტანდარტები და სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამები. მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ 1996 წლის 27 ნოემბრის აღნიშნული სტანდარტები და პროგრამები ფაქტობრივად დამტკიცებულია, სამინისტრომ დღემდე ვერ უზრუნველყო მათი რეგისტრაცია და დამტკიცება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში და ამდენად აღნიშნული სტანდარტები და პროგრამები ნორმატიული ძალის მქონე აქტად არ შეიძლება ჩაითვალოს. შესაბამისად, კანონგარეშედ უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების საფუძველზე შექმნილი და გამოცემული სასწავლო პროგრამები.

რაც შეეხება 2001 წლის ბიუჯეტის კანონის 29 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნებს, განათლების სამინისტროს, სხვა სამინისტროებთან ერთად, 2001 წლის 1 ივნისამდე უნდა შეემუშავებინა განათლების სფეროში სახელმწიფო დაკვეთის განსაზღვრის წესი, რომელიც შემუშავებული და დამტკიცებული იქნა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 20 სექტემბრის N382 ბრძანებულებით. ანალიზით დადგენილია, რომ 2001-2002 სასწავლო წლისათვის, ქვეყნის 23 უმაღლეს სასწავლებელში აბიტურიენტთა მისაღები კონტიგენტი სახელმწიფო დაკვეთით განისაზღვრებოდა 9260 ერთეულით, ფაქტობრივად ჩარიცხული იქნა 13019 სტუდენტი, ანუ 3759 სტუდენტით მეტი. მათ შორის, უშუალოდ განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ქუთაისის წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში, 220 ერთეულის დაკვეთის პირობებში, ჩარიცხული იქნა 1298 სტუდენტი, ანუ 1079-ით მეტი, ქუთაისის მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკურ უნივერსიტეტში, ნაცვლად 350 ერთეულისა, ჩარიცხულია 1073 ანუ 3-ჯერ მეტი, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა ინსტიტუტში, ნაცვლად 200-სა ჩარიცხულია 490, ანუ 290-ით მეტი.

ასევე, შემოწმებულ იქნა საქართველოს განათლების სამინისტროს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების დაცვის საკითხი 2002 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და დადგინდა, რომ როგორც სამინისტროს ხელმძღვანელობა, ასევე სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურები, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მატერიალურ-ფასეულობათა მოვლა-პატრონობის, დაცვის უზრუნველყოფის და აღრიცხვიანობის საქმეს. კერძოდ, სისტემაში დაგვიანებითაა განხორციელებული საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის N263 დადგენილების და საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 9 ივლისის N295 ბრძანებით განსაზღვრული ძირითადი საშუალებების გადაფასებები, რის გამოც 1995 წლის ძირითადი საშუალებების გადაფასებით მიღებული 25,7 მლნ ლარი, ნაცვლად 1995 წლის ბალანსისა, ასახულია 1996 წელს, ხოლო 1997 წლის გადაფასებით მიღებული 46,4 მლნ ლარი კი ასახულია 1998 წლის ბალანსში.

1996 წლიდან 2002 წლამდე, სამინისტროს სისტემაში, სიძველის გამო ჩამოწერილია სულ 9976,5 ათ.ლარის ძირითადი საშუალებები, რომელთა შესახებ სა-

მინისტრომ დოკუმენტაცია სრულად ვერ წარმოადგინა. მათ შორის, 2001 წელს, 984,5 ათ.ლარის ძირითადი საშუალებებია ჩამოწერილი. სამინისტროს განმარტებით, დოკუმენტაცია ჩამოწერის შესახებ (ქონების მართვის სამინისტროს ბრძანება, აუდიტის დასკვნა და სხვა) ინახება დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში და წლიური ბალანსების წარმოდგენის შემდეგ ხდება ნაერთ ბალანსში მათი ასახვა.

ამასთან, განათლების სამინისტროს მიერ უყურადღებოდაა დატოვებული სამინისტროს საწარმოების ნაერთ ბალანსზე რიცხული დაუმთავრებელი მშენებლობები, ღირებულებით 13,9 მლნ ლარი, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა რეგიონშია განლაგებული და მათი რაოდენობა 93 ერთეულს შეადგენს. დღეის მდგომარეობით, შპს "ვშენინვეი-2"-ის მიერ, მზადდება დოკუმენტაცია ზოგიერთი ამ ობიექტების ჩამოწერის თაობაზე, რაც გამოწვეულია მათი აღდგენისათვის საჭირო თანხების უქონლობით და უპატრონობის გამო მათი შემდგომ ექსპლოატაციაში (დანგრეულია, გაპარტახებულია) გადაცემის შეუძლებლობით.

შემოწმების მსვლელობისას, განათლების სამინისტროს 2002 წლის 1 მარტის N43 ბრძანების თანახმად, სამინისტროს თხი და კონტროლის პალატის სამი თანამშრომლის მონაწილეობით შეიქმნა საინვენტარიზაციო კომისია. ინვენტარიზაციის ოპერატიულად ჩატარების მიზნით კომისია დაიყო სამ ჯგუფად, რომლებიც აღნიშნული ბრძანებით დაევალათ 19 კომპონენტში და 9 ორგანიზაციაში სამინისტროდან გადაცემული მატერიალური ფასეულობების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა. ინვენტარიზაციის ჩატარებისას, როგორც სამინისტროს აპარატში, ასევე ადგილებზე ართულებდა ის, რომ მატერიალურ ფასეულობებს არ ჰქონდათ მინიჭებული საინვენტარიზაციო ნომრები, ნაწილი ქონებისა გადაცემული იყო მიღება-ჩაბარების აქტების გარეშე, ხოლო მიღება-ჩაბარების ზოგიერთ აქტებში არ იყო მითითებული ქონების ღირებულების განმსაზღვრელი ფასები.

ჩატარებული ფაქტობრივი აღწერების შედეგად, რაზედაც გაფორმებული იქნა საინვენტარიზაციო უწყისები, დროებით გადაცემულმა ფასეულობების ფაქტობრივმა ნაშთის ნაერთმა ღირებულებამ 1355,2 ათ.ლარი შეადგინა. იმის გამო, რომ ინვენტარიზაციის დაწყებამდე სამინისტროს ბუღალტერიამ ვერ წარმოადგინა რეალური ბუღალტრული ნაშთები, ჩვენს მიერ გადამოწმებული იქნა განათლების სამინისტროს 2001 წლის 15 თებერვლის N34 ბრძანების საფუძველზე შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის (თავმჯდომარე ვ.სანაძე) მიერ ჩატარებული ინვენტარიზაცია, რომელიც შეეხო სამინისტროს ცენტრალურ აპარატზე დროებით სარგებლობაში კომპონენტებზე და ორგანიზაციებზე გადაცემულ ფასეულობებს. ინვენტარიზაციის ჩატარება, თანახმად ბრძანებისა, კომისიას ერთი თვის ვადაში უნდა დაემთავრებინა. ფაქტობრივად, ყოველგვარი მოტივირების გარეშე, აღნიშნული სამუშაოები დამთავრდა მხოლოდ 2001 წლის ივნისში, თუმცა ინვენტარიზაციის შედეგები დღემდე არ არის დადგენილი. მიუხედავად იმისა, რომ შედეგე-

ნილია ინვენტარიზაციის უწყისები, გამოყვანილია როგორც ბუღალტრული, ასევე ფაქტობრივი ნაშთები, არ არის შედგენილი საინვენტარიზაციო კომისიის განხილვის ოქმი საბოლოო შედეგების გამოყვანით. უფრო მეტიც, ინვენტარიზაციის უწყისებზე ხელი არ აქვს მოწერილი კომისიის თავმჯდომარეს, ვ.სანაძეს, კომისიის წევრს დ.გოჩაშვილს, ინვენტარიზაციის დაწყებამდე არ არის ჩამორთმეული ხელწერილები მატერიალური პასუხისმგებელი პირებისაგან, ასევე ხელს არ აწერენ უწყისებზე 13 კომპონენტის და ორგანიზაციის მატერიალური პასუხისმგებელი პირები.

ჩვენს მიერ ახსნა-განმარტებები ჩამოერთვათ აღნიშნული საინვენტარიზაციო კომისიის წევრებს დ.გოჩაშვილს, ა.ბუქურს და ი.ნათიძეს. დ.გოჩაშვილი ინვენტარიზაციის უწყისებზე ხელის არ მოწერას ხსნის იმით, რომ ის იმ პერიოდში ხშირად იმყოფებოდა მივლინებებში. შევნიშნავთ, რომ ინვენტარიზაცია მიმდინარეობდა 2001 წლის თებერვლიდან ივლისამდე, ხოლო სამინისტროს ოფიციალური კორესპონდენციის დამუშავებისა და წერილებზე მუშაობის განყოფილების მიერ მოწოდებული ცნობით, დ.გოჩაშვილი, 2001 წლის განმავლობაში მხოლოდ სამი დღით იმყოფებოდა მივლინებაში, ხოლო კომისიის წევრების, ა.ბუქურისა და ი.ნათიძის მიერ ვერ იქნა განმარტებული ჩატარებული აღწერების უწყისებზე მატერიალური პასუხისმგებელი პირების ხელმოუწერლობის მიზეზები.

რაც შეეხება სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ჩატარებულ ინვენტარიზაციას, ავღნიშნავთ, რომ აპარატის თანამშრომლებზე რიცხული ფასეულობანი სათანადოდ არაა აღრიცხული ბუღალტრულად და ასევე არაა განსაზღვრული იმ თანამშრომელთა ჩამონათვალი, ვინც უშუალოდ მოიხმარს ამ ფასეულობებს. აღნიშნული გამოწვეულია მიღება-ჩაბარების აქტების გარეშე თანამშრომლებზე მატერიალური ფასეულობების გადაცემებით, რაც ბუღალტერიაში სათანადო ასახვას ვერ პოულობს.

ამრიგად, ცენტრალურ აპარატზე, კომპონენტებზე და ორგანიზაციებზე გადაცემული იქნა 1382,4 ათ.ლარის ღირებულების ფასეულობა. მათ შორის, კომპონენტებზე და ორგანიზაციებზე გადაცემული 1250,6 ათ.ლარის ფასეულობიდან, 1997-98 წლებში მიღება-ჩაბარების აქტების გარეშეა გადაცემული 169,3 ათ.ლარის ფასეულობები. დღეის მდგომარეობით, უკან დაბრუნებულია მხოლოდ 301,[illegible] ათ.ლარის ქონება. აღნიშნული ქონება კომპონენტებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან 30 დღის განმავლობაში დაზიანების გარეშე, უდანაკარგოდ უნდა დაებრუნებინათ, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მიმღები ვალდებული იყო სამინისტროსათვის აენაზღაურებინა ტექნიკის დაზიანებით ან დაკარგვით მიყენებული ზარალი. ხელშეკრულების აღნიშნული პუნქტი დარღვეულია "დ" კომპონენტის მიერ, რასაც სამინისტროს ხელმძღვანელობამ ყურადღება არ მიაქცია. კერძოდ, "დ" კომპონენტიდან სამინისტროში დაბრუნებული იქნა 10 კომპლექტი კომპიუტერი და პრინტერი, თანხით 22,[illegible] ათასი ლარი, საიდანაც

მხოლოდ 2 კომპიუტერის კომპლექტია მუშა მდგომარეობაში, ხოლო დანარჩენ 8 კომპლექტს აკლია ისეთი აუცილებელი სახის ნაწილები, როგორიცაა ძირითადი "პლატა", კვების ბლოკი და სხვა.

ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენს მიერ, ობიექტებზე, თანახმად მიღება ჩაბარების აქტებისა და ფაქტობრივად მიღებული ფასეულობების, სამინისტროს სახსრებით შეძენილი ფასეულობების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტების და ობიექტებიდან წარმოდგენილი ბუღალტრული ნაშთების საფუძველზე განხორციელებული იქნა რეალური ბუღალტრული ნაშთების დადგენა-დაზუსტება. დადგინდა, რომ სამინისტროს 2002 წლის 1 მარტის მდგომარეობით, ბუღალტრულად ერიცხება 1382,4 ათ.ლარის ფასეულობა, რომელიც შეუდარდა ჩვენს მიერ ფაქტობრივად აღწერილ დასახელებათა ღირებულებას, თანხით 1355,2 ათ.ლარს. საბოლოო დანაკლისმა 28,8 ათ.ლარი შეადგინა. მათ შორის, ცენტრალურ აპარატში -17,2 ათ.ლარი, საიდანაც სხვადასხვა პერიოდში გაქურდულია რიგ განყოფილებებზე. რიცხული 6 ერთეული კომპიუტერული ტექნიკა თანხით 9,6 ათ.ლარი. აღნიშნულზე სამინისტრომ წარმოადგინა შ/ს რაიონული განყოფილებიდან ცნობები ქონების დაკარგვის თაობაზე, თუმცა ცნობებში არაა მითითებული აღძრულია თუ არა სისხლის სამართლის საქმე. რაც შეეხება 7,7 ათ.ლარის დანაკლისს, მასზე რაიმე დოკუმენტაცია წარმოდგენილი ვერ იქნა და ამდენად ც/აპარატის თანამშრომლების აადასახდელად უნდა ჩაითვალოს, ხოლო 1,2 ათასი ლარის გახარჯული მარაგ-ნაწილები ჩამოსაწერია.

წარდგენილია ერთი კომპიუტერი "პენტიუმ 100"-ის, ღირებულებით 1,6 ათ.ლარის ზედმეტობა, რომელიც აღებულ უნდა იქნეს შემოსავალში. ამასთან, მთლიანი დანაკლისიდან კომპონენტებზე და ორგანიზაციებზე დროებით გადაცემული ქონებიდან დანაკლისმა 10,4 ათ.ლარი შეადგინა, საიდანაც მხოლოდ 2,4 ათ.ლარის ღირებულების დაკარგულ ელ.გენერატორზეა წარდგენილი ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ აღძრული საქმე წარმოებით იქნა შეჩერებული, თუმცა ბუღალტრულად დანაკარგი არ იქნა ჩამოწერილი.

სამინისტროს ბრძანებების საფუძველზე, რიგ ორგანიზაციებსა და კომპონენტებს, სამინისტროდან უსასყიდლოდ ბალანსიდან ბალანსზე უკანონოდ გადაეცათ 11,6 ათ.ლარის ღირებულების ქონება, რომლებიც პანამდე მათ დროებით სარგებლობაში ჰქონდათ გადაცემული, რითაც დარღვეულია საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს 1997 წლის 14 ნოემბრის N1-3/687 ბრძანებით დამტკიცებული დებულების "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმების მართვის წესის შესახებ", პირველი მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები.

ამრიგად, აღნიშნულიდან გამომდინარე, განათლების რეალიზაციის პროგრამისთვის შეძენილი და სხვადასხვა კომპონენტებზე და ორგანიზაციებზე დროებით სარგებლობაში გადაცემულ და დაუბრუნებელ ფასეულობებზე, თანხით 1000,7 ათ.ლარის ოდენობით, პასუხისმგებლობა ეკისრება განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობას.

შემმოწმებელთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია აქტში დაფიქსირებული დარღვევა-ნაკლოვანებები განხილვისა და რეაგირებისათვის გადაეგზავნოს განათლების სამინისტროს.

პირველი დეპარტამენტის
მთავარი კონტროლიორი — ე.მეტრეველი

კონტროლიორები — ნ.კობაიძე
ა.ჯოხაძე
კ.მელქაძე

2002 წლის
11 აპრილი

11.04.2002

12.04.02წ.

12.04.02წ

12.04.02.

## დანართი 3

განათლების სამინისტროს, ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს საგზაო ფონდის მიერ 2001 წელს გაწეული ხარჯების სამოქალაქო მონიტორინგის შედეგები. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, თბილისი, ნოემბერი, 2002. გთავაზობთ ამ მოხსენების ფრაგმენტებს.

გვ. 6

II. მონიტორინგის შედეგები

*I. სპეციალური სახსრების უკანონო მოძრაობა*

***განათლების სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების სპეცსახსრების 53% (2,7 მილიონი ლარი), სახაზინო სამსახურის გვერდის ავლით, უკანონოდ მოძრაობს კომერციული ბანკების ანგარიშებსა და სალაროში.***

გვ. 7

საგანგაშოა ის ფაქტი, რომ სახაზინო სამსახურისა და განათლების სამინისტროს ინფორმაცია სპეცსახსრების შემოსავლების შესახებ მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ცდომილება უკვე დაბალანსებულ (გათეთრებულ) მონაცემებს შორის შეადგენს 693 000 ლარს. აღნიშნული გვაძლევს მყარ საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ***განათლების სისტემაში არა მხოლოდ გარემოა შექმნილი, არამედ აქტიურად მიმდინარეობს კიდეც სახელმწიფო სახსრების დატაცება.***

ხსენებული პრობლემის ნაწილობრივი მოგვარების მიზნით სასურველი იქნებოდა, რომ ეროვნულმა ბანკმა აუკრძალოს კომერციულ ბანკებს ანგარიშების გახსნა საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის.

მიუხედავად ამ გარემოებისა, განათლების სამინისტრო გეგმის განაწილებისა და ბალანსების გაერთიანების გარდა არავითარ მაკონტროლებელ ფუნქციას არ ასრულებს დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიმართ. შესაბამისად, არ გააჩნია რეალური ინფორმაცია, რაში და როგორ იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტით განათლების სამინისტროსათვის გათვალისწინებული თანხები.

დაკვეთის საფუძველზე განისაზღვრება ცენტრალური ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობა და, შესაბამისად, უმაღლესი სასწავლებლების ასიგნებათა მოცულობა.

გვ.7-8

როგორც ბოლო წლების გამოცდილება გვიჩვენებს, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში მუდმივად ხდება სტუდენტთა ჩარიცხვა სახელმწიფო დაკვეთის გადაჭარბებით. ასე მაგალითად, 1998/1999 და 2000/2001 სასწავლო წლებში ქვეყნის სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში საბიუჯეტო სექტორზე ჩაირიცხა დაგეგმილზე 2,846 სტუდენტით მეტი.

სტუდენტების ზეგეგმურ ჩარიცხვაზე ნებართვებს განათლების სამინისტრო გასცემს თვითნებურად, პრეზიდენტთან და სხვა სამინისტროებთან შეთანხმების გარეშე. ამასთან, განათლების სამინისტრო რიგ შემთხვევებში დაკვეთის კვოტის გაზრდას ახორციელებს უმაღლესი სასწავლებლებიდან ასეთი მოთხოვნის არსებობის გარეშეც, რაც ამ გადაწყვეტილებების ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა.

კონტიგენტის თვითნებური გაზრდის შედეგად უმაღლეს სასწავლებლებში ეცემა სწავლის ხარისხი. წინასწარ განსაზღვრული დაფინანსების პირობებში სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის გამო სწავლის პროცესი ნაკლებადეფექტიანი ხდება.

კვოტის ზემოთ სტუდენტთა ჩარიცხვის გამო უმაღლესი სასწავლებლები დამატებით დაფინანსებას მოითხოვენ, რაც ისედაც მწირი საბიუჯეტო სახსრების პირობებში კიდევ უფრო აუარესებს მდგომარეობას. ვეჭვობთ, რომ განათლების სამინისტროს მიერ სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი სტუდენტების რაოდენობის გაზრდა ხშირ შემთხვევაში კორუფციული გარიგებებით არის განპირობებული.

გვ. 8

*4. უკანონოდ ჩატარებული სახელმწიფო შესყიდვები*

***2001 წელს განათლების სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვები კანონის უხეში დარღვევებით განხორციელდა.*** მაგალითად, სამინისტროს მიერ თბილისის მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის ავარიული კორპუსის გამაგრების სამუშაოები შესყიდული იქნა დახურული ტენდერის ფორმით და მისმა ღირებულებამ 156,340 ლარი შეადგინა.

გვ. 9

*2. ანგარიშგების უგულებელყოფა*

განათლების სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დღემდე სრულად არ წარმოუდგენია 2001 წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიში. ეს უწყება თავს არიდებს კანონმდებლობით დადგენილ კონტროლის პროცედურებს, რითაც გაუმჭვირვალეს ხდის თავის ფინანსურ საქმიანობას.

აღნიშნული ნათლად ადასტურებს, რომ ***განათლების სამინისტრო უხეშად არღვევს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ხელს უშლის შესყიდვების სააგენტოს თავისი ფუნქციების განხორციელებაში და მალავს სამინისტროში ამ მხრივ არსებულ მდგომარეობას.***

*3. დარღვევები სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების განხორციელებაში*

2001 წელს განათლების პროგრამების საერთო ღირებულებამ 2,995,000 ლარი შეადგინა. მონიტორინგის ჯგუფმა ვერ მოიპოვა ყველა პროგრამის ტექსტი და მათი შესრულების ანგარიში, რადგან ისინი თავად სამინისტროსაც არ აღმოაჩნდა. მოძიებული მასალების გაანალიზების შედეგად ჩამოყალიბდა ერთიანი აზრი,

*რომ განათლების სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამები გამოირჩევა დაბალი პროფესიონალიზმით და მათში სათანადოდ არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო ინტერესები. აღნიშნული პროგრამების ეფექტი უმნიშვნელო ან საერთოდ ნულის ტოლია, ხოლო მიზანშეწონილობა – ფრიად საეჭვო.* ასე მაგალითად, განათლების სამინისტროს ერთ-ერთი ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ალტერნატიული აღრიცხვა.

პროგრამის შედეგად დადგინდა, რომ ბავშვთა სახლებში ოფიციალურად აღრიცხული კონტიგენტის დაახლოებით 20% (823 ბავშვი) ადგილზე არ იმყოფება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი ბავშვის შენახვაზე ბიუჯეტიდან წელიწადში 657 ლარია გამოყოფილი, შეგვიძლია იოლად გამოვიანგარიშოთ, რომ მხოლოდ ამ სფეროში ყოველწლიურად ნახევარ მილიონ ლარამდე სახელმწიფო სახსრების დატაცება მიმდინარეობს 'მკვდარი სულების" ხარჯზე. მიუხედავად ასეთი საგანგაშო მონაცემებისა, <u>განათლების სამინისტროს არანაირი რეაგირება არ მოუხდენია აღრიცხვის შედეგებზე. შესაბამისად, ამ პროგრამით დახარჯული 53,970 ლარი უბრალოდ წყალში იქნა გადაყრილი.</u>

გვ. 10

<u>2001 წელს სამინისტროს მიერ გაწეული ხარჯების ნაწილი უკანონო და საეჭვო დოკუმენტების საფუძველზეა გაცემული.</u>

გვ. 11

აღნიშნული ფაქტები ადასტურებს, რომ *განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სტრუქტურების ხელმძღვანელები კანონის გვერდის ავლით, თვითნებურად განკარგავენ საბიუჯეტო სახსრებს.*

ასეთი ქმედებები სახელმწიფო სახსრების გაფლანგვასთან ერთად იწვევს სხვა უარყოფით მოვლენებსაც, კერძოდ, მიმწოდებელთა არასაკონკურსო საწყისებზე შერჩევის გამო ბევრი კერძო კომპანია კარგავს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს საბიუჯეტო დაწესებულებების მომსახურებაში. იკვეთება მეწარმეთა პრივილეგირებული ჯგუფი, რომელიც უცვლელად იღებს სახელმწიფო დაკვეთებს. შედეგად: იზღუდება კონკურენცია ბაზარზე, რაც აზარალებს როგორც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ისე დაწესებულებათა მცირეწლოვანი, მზრუნველობას მოკლებული აღსაზრდელების ინტერესებს.

## <u>7.3. დარღვევები ფინანსური აღრიცხვის სფეროში</u>

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ *შესწავლილი დაწესებულებების საბუღალტრო აღრიცხვაში სრული ქაოსია. პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაცია ხშირ შემთხვევებში არ უპასუხებს კანონმდებლობით დადგენილ აუცილებელ მოთხოვნებს და გაყალბებულია.* კერძოდ:

– საქონლისა და მომსახურების დიდი მოცულობის შესყიდვები განხორციელებულია ბაზრობებზე ნაღდი ანგარიშსწორებით. აღნიშნული ოპერაციის დამადასტუ-

რებელ საბუღალტრო საბუთად წარმოდგენილია ხელნაწერი აქტი, რომელშიც არ არის მითითებული გამყიდველის ვინაობა და, ბუნებრივია, არც სათანადო ბეჭდით არის დამოწმებული (ნიმუში იხ. №4 დანართში);

– საფინანსო დოკუმენტების ძირითად ნაწილს შეადგენს გამარტივებული ფორმის საბუთები, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ 2000 წლის ივლისიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსი ამგვარ ფორმებს კანონიერად აღარ ცნობს. შესაბამისად, 2001 წელს გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი უკანონო დოკუმენტების საფუძველზეა გაწერილი (ნიმუში იხ. №5 დანართში);

– საფინანსო დოკუმენტაციის ნაწილი გაყალბებულია (იხ. №6 დანართი), ერთმანეთს არ ემთხვევა საბუთის გამცემის ვინაობა და ბეჭედი, გამოყენებულია დაუდგენელი ტიპის ბლანკები (იხ. №7 დანართი).

*განათლების სამინისტროს სისტემაში საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება ხდება კანონის დარღვევით. ხშირ შემთხვევაში არ არსებობს ხარჯვის დამადასტურებელი კანონიერი დოკუმენტები, მათ ნაცვლად გვხვდება ყალბი საბუთები და დაუმოწმებელი ხელნაწერი აქტები. ყოველივე ეს ქმნის უზარმაზარ შესაძლებლობას სახელმწიფო სახსრების დატაცებისა და კორუფციისათვის. განათლების სამინისტრო არ ახორციელებს მის სისტემაში შემავალი დაწესებულებების მიერ საბუღალტრო აღრიცხვის კანონიერების რეალურ მონიტორინგს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფუნქცია მას კანონით ეკისრება.*

## დანართი 4

საქართველოს კონტროლის პალატის პირველი დეპარტამენტის მთავარი კონტროლიორის, ნოდარ ებანოიძის მოხსენებითი ბარათი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური საქმიანობის შესახებ, 01.05. 2002.

თანახმა ვარ

[illegible]

01.05 2002წ.

საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს ბატონ სულხან მოლაშვილს

I დეპარტამენტის მთავარი კონტროლიორის

ნოდარ ებანოიძის

### მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური შემოწმების შესახებ.

#### შემოწმების საფუძველი

"საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის შესაბამისად გამოცემული საქართველოს კონტროლის პალატის 2002 წლის 29 იანვრის №71 ბრძანება და 2002 წლის 28 თებერვლის №147 ბრძანება რევიზიის ვადის გაგრძელების შესახებ.

#### შემოწმების მიზანი

უნივერსიტეტის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესწავლა.

#### შემოწმების პერიოდი

2000 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 იანვრამდე.

#### შემოწმების ვადა

№71 და №147 ბრძანებებით განისაზღვრა 2002 წლის 28 იანვრიდან 30 მარტამდე. ამასთან, შემოწმების აქტიც 30 მარტით არის დათარიღებული, თუმცა კი შემოწმების შედეგების გაცნობა და მასზე უნივერსიტეტის პასუხისმგებელი მუშაკების ხელმოწერა დამთავრდა 26 აპრილისათვის.

## შესამოწმებელი ობიექტის სამართლებრივი ფორმა და სტატუსი

უნივერსიტეტი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 ივლისის №277 ბრძანებულება).

## საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირები:

უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი რ.მეტრეველი, პრორექტორები: თ.ხუროძე, გ.ტურძელაძე, პ.მარგველაშვილი. საფინანსო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსი გ.ჩადუნელი. აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს უფროსი თ.შოშიტაშვილი, სამმართველოს უფროსის მოადგილეები: გ.გოგილიძე და ე. აკობია.

## შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებანი

– საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 ივლისის №277 ბრძანებით დამტკიცებული თსუ-ს წესდების მიხედვით – "უნივერსიტეტისათვის გადაცემული ქონების მფლობელობისა და სარგებლობის რეჟიმი დგინდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად დადებული უზუფრუქტის ხელშეკრულებით" – დღეის მდგომარეობით მსგავსი ხელშეკრულება გაფორმებული არ არის.

– დარღვეულია "სალაროს მეურნეობის შესახებ" დებულების მოთხოვნები. კერძოდ, რიგ შემთხვევებში: სალაროს წიგნის ბოლოს მინიშნებული ფურცლების რაოდენობა არ ემთხვევა ფაქტობრივად არსებულს, სალაროს წიგნში მოხდენილია ჩანაწერების წაშლა და გადასწორება მთავარი ბუღალტერისა და მოლარის დადასტურების

ბოლოში არასწორადაა გამოყვანილი სალაროს ნაშთები. განსაზღვრული არ არის სალაროს მოულოდნელი შემოწმების პერიოდულობა და ნაღდი ფულის ნაშთის ლიმიტი. ადგილი აქვს საქვეანგარიშო ვალდებულებების დაუხურავად, ანგარიშვალდებულ პირებზე სალაროდან თანხების გაცემას.

– თსუ-ს 2000-2001 სასწავლო წელს სახელმწიფო დაკვეთით მისაღებმა კონტიგენტმა შეადგინა 1607 ერთეული, ფაქტობრივად ჩარიცხული იქნა 1765. ე.ი. დაკვეთის ზევით მიღებულია 158 სტუდენტი.

2001-2002 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო დაკვეთა შეადგენდა 1637 ერთეულს, ფაქტობრივად ჩაირიცხა 1861. ე.ი. სახელმწიფო დაკვეთის ზემოთ მიღებული იქნა 224 სტუდენტი.

– ჭვირნიშნიანი ფურცლებისა და დიპლომების გაცემა წარმოებს მკაცრი აღრიცხვის ფორმებისა და დოკუმენტების წარმოებისა და გამოყენების წესების დარღვევით. კერძოდ: სასწავლო-მეთოდურ სამმართველოში თანხების მიღება ხდება ქვითრების გაცემის გარეშე, არ არის ნაწარმოები ჭვირნიშნიანი ფურცლებისა და დაბეჭდილი დიპლომების რეგისტრაციისა და მოძრაობის ჟურნალები.

– ხელფასის ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდით 2000 წელს დაზუსტებული გეგმის – 1274,2 ათასი ლარისა და საკასო ხარჯის – 1300,2 ლარის ოდენობით გაწევის პირობებში ფაქტობრივი ხარჯი გაწეულია 1453,4 ათ. ლარის ოდენობით, რაც დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯზე შესაბამისად 179,2 და 153,2 ათ. ლარით მეტია. გადახარჯვა გამოწვეულია თსუ-ს მიერ, შტატების დაგეგმილი 10%-იანი შეკვეცის განუხორციელებლობით.

– კომუნალური მომსახურეობის ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდით 2000-2001 წლებში ადგილი ჰქონდა ფაქტობრივი ხარჯების დიდი ოდენობით გადამეტებას დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებთან მიმართებაში. კერძოდ: 2000 წელს შესაბამისად 717,6 და 719,6 ათ ლარით, ხოლო 2001 წელს – 721,5 ათ. ლარით. გადახარჯვა

ძირითადად გამოწვეულია წყლის ხარჯვასა და აღრიცხვიანობაზე სათანადო კონტროლის არ არსებობით და მოწოდებული წყლის ღირებულების დროულად გადაუხდელობის გამო საურავების დარიცხვით, რამაც 2002 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 608,1 ათ. ლარი შეადგინა.

– სახელმწიფო ბიუჯეტსა და არასაბიუჯეტო ფონდებში დამატებით გადახდას დაექვემდებარა 26971,91 ლარი. აქედან, ძირითადი დაბეგრილი თანხა შეადგენს 16372,95 ლარს, სანქცია-საურავი 6505,71 ლარს, ხოლო ჯარიმა – 4093,25 ლარს. აღნიშნული თანხა დღეის მდგომარეობით გადახდილია დანიშნულებისამებრ.

– არ სრულდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები. კერძოდ, 2000-2001 წლების განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვები ტენდერის გზით საერთოდ არ განხორციელებულა.

## წინადადება

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შემოწმების მასალებზე რეაგირებისათვის ინფორმაცია გადაეგზავნოს ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის უმაღლეს ორგანოს – უნივერსიტეტის საბჭოს ("დიდი საბჭო").

ნ. ებანოიძე
29.04.2002

30.04.2002

30.04.02

30.04.02

## დანართი 5

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. რექტორის წერილი საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეს, გ. პატარიძეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური საქმიანობის შესახებ, 04.06.02.

[illegible]

გთხოვთ, განიხილოთ

5.06 2002წ.

ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
JAVAKHISHVILI STATE UNIVERSITY

[illegible] ჭავჭავაძის გამზ. 1
[illegible]avadze av. 1, 380028 Tbilisi, Georgia
ფაქსი-Fax: (99532) 221103
ტელექსი-Telex: 212912 PTD SU
Tel: [illegible]

№ [illegible]-01-32-79 «04» 06 2002 წ.

საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის
პირველ მოადგილეს

ვ. პ ა ტ ა რ ი ძ ე ს

ბატონო ვლადიმერ,

თქვენს მიერ 2002 წლის 10 მაისს №6-01-5/835 გამოგზავნილი წერილი– „ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2001 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 იანვრამდე პერიოდის საფინანსო–სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ" – გაცნობებთ, რომ წერილი განხილული იქნა უნივერსიტეტის რექტორატის საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე და აღნიშნული ნაკლოვანებების გასწორების მიზნით გატარდა, შემდეგი ღონისძიებები:

– უნივერსიტეტის პრორექტორი ეკონომიკისა და ადმინისტრაციული მუშაობის დარგში გ. ტურძელაძეს და იურიდიულ სამსახურს (ლ. დევდარიანი)

დაევალა უნივერსიტეტისათვის გადაცემული ქონების მფლობელობისა და სარგებლობის უზურფრუქტის ხელშეკრულების გაფორმება.

–აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველომ (თ. შოშიტაშვილი, ე. აკობია, გ. გოგილიძე) მოაწესრიგა სალაროს დოკუმენტაციის გაფორმების საკითხი დადგენილი წესის შესაბამისად, დაშვებული შეცდომებისათვის მკაცრად იქნენ გაფრთხილებული სალაროს მთავარი ბუღალტერები ი. ტაბატაძე, ჯ. სვანიძე და უფროსი მოლარე ჯ. მუსერიძე.

აიკრძალა წინა პერიოდის საქვეანგარიშო თანხების დაუბრუნავად ანგარიშვალდებულ პირებზე განმეორებით თანხის გაცემა.

გათვალისწინებული იქნა შენიშვნა სტუდენტთა კონტიგენტის სახელმწიფო დაკვეთის შესრულების შესახებ და მიღებული იქნა დადგენილება, რომ დაკვეთის ზევით აბიტურიენტთა ჩარიცხვის აუცილებლობის საკითხი საგანგებოდ იქნა განხილული მიმღები კომისიის სხდომაზე.

– სასწავლო-მეთოდურმა და აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოებმა (ნ. სხირტლაძე, თ. შოშიტაშვილი) შეიმუშავა მჭვირნიშნიანი ფურცლებისა და დიპლომების რეგისტრაციისა და გაცემის წესი.

– საფინანსო-ეკონომიკური სამმართველო (გ. ჩადუნელი) მომავალში განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს საშტატო ერთეულების დადგენილი შემცირების განხორციელებაზე და არ დაუშვებს ხელფასის ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლში გადახარჯვებს.

– დაევალათ სათანადო სამსახურებს (პრორექტორი გ. ტურძელაძე, მთავარი ენერგეტიკოსი ტ. სირაძე, მთავარი ინჟინერი ტ. მურუსიძე) წყლისა და ელექტრო ენერგიის ეკონომიკური ხარჯვის უზრუნველყოფა.

– გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტთან და სხვა არასაბიუჯეტო ფონდებთან ანგარიშსწორების ვადების მკაცრი დაცვა, ჯარიმებისა და სანქცია-საურავების დარიცხვის თავიდან აცილების მიზნით.

– თსუ პრორექტორს ბ-ნ გ. ტურძელაძეს დაევალა სახელმწიფო შესყიდვებზე არსებული წესის დაცვა.

რექტორი, აკადემიკოსი რ. მეტრეველი

## დანართი 6

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიების, საპირფარეშოებისა და ბიბლიოთეკის ფოტოები.

### თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, I კორპუსი



თსუ-ს II კორპუსის კორიდორის ნაწილი



თსუ-ს IV კორპუსის კორიდორი



თსუ-ს II კორპუსის კორიდორის ნაწილი



თსუ-ს II კორპუსის ერთ-ერთი აუდიტორია



თსუ-ს II კორპუსის ერთ-ერთი აუდიტორია



თსუ-ს II კორპუსის ერთ-ერთი აუდიტორია



თსუ-ს I კორპუსის ტუალეტი



თსუ-ს II კორპუსის ტუალეტი



თსუ-ს I კორპუსის ტუალეტი



თსუ-ს II კორპუსის ტუალეტი



თსუ-ს II კორპუსის ტუალეტი



თსუ-ს IV კორპუსის ტუალეტი



თსუ-ს II კორპუსის ტუალეტი



თსუ-ს IV კორპუსის ტუალეტი



თსუ-ს II კორპუსის კორიდორის ნაწილი



თსუ-ს I კორპუსის 93-ე აუდიტორია



თსუ-ს I კორპუსის 93-ე აუდიტორია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა





თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შენობის ფრაგმენტი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შენობის ფრაგმენტი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შენობის ფრაგმენტი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ოთახი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დერეფანი



კედლის ფრაგმენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავიდან



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავი



დაზიანებული წიგნები



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ოთახი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დერეფანი

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ადმინისტრაციული კორპუსი



დერეფნის ფრაგმენტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, კორპუსი VI



დერეფნის ფრაგმენტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, კორპუსი VI



ლიფტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, კორპუსი VI



ტუალეტის ფრაგმენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კორპუსი VI



ერთ-ერთი აუდიტორია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, კორპუსი VI



ტუალეტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, კორპუსი VI



ტუალეტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, კორპუსი VI



დერეფნის ფრაგმენტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, კორპუსი VI



ერთ-ერთი აუდიტორია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, კორპუსი VI



ერთ-ერთი აუდიტორია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, კორპუსი VI

## თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი





ჭერის ფრაგმენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, კორპუსი I



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კედლის ფრაგმენტი, კორპუსი I

## დანართი 7

### ინტერვიუები

რესპონდენტებთან ხდებოდა პრობლემატიკის და არა შეკითხვების განხილვა. აქცენტი გაკეთდა თავისუფალ, სიღრმისეულ დიალოგზე, რომელიც ორიენტირებული იყო კონკრეტულ ფაქტებსა და მონაცემებზე.

### ექსპერტებთან განსახილველი საკითხები

1. გთხოვთ, მოგვეცეთ კორუფციის განსაზღვრება;
2. შეაფასეთ მისი გავრცელების საზღვრები და მასშტაბები საქართველოში;
3. დაასახელეთ ყველაზე კორუმპირებული ორგანიზაციები, განსაზღვრეთ უმაღლესი განათლების სისტემის ადგილი მათ შორის;
4. კორუფცია – თქვენი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი;
5. კორუმპირებული ადამიანები ცალკეული ეგოცენტრული ინდივიდები არიან თუ საზოგადოების ტიპური წარმომადგენლები?
6. კორუფცია ძირფესვიანადაა გამჯდარი ერის კულტურაში თუ ის თანამედროვე ფენომენს წარმოადგენს?
7. ადრეულ პერიოდსა და დღევანდელობაში გავრცელებული კორუფციის შედარებითი ანალიზი;
8. კორუფციის მიზეზები, საზოგადოების შესაძლებლობები კორუფციასთან ბრძოლაში;
9. რესპონდენტებმა უნდა მიუთითონ კორუფციის სპეციფიკაზე, არის თუ არა ის გარდაუვალი სენი (სიღარიბე გვკარნახობს) თუ "ის ნამდვილი სენია" და შეუძლებელია მისი გამართლება;
10. პიროვნება არის მოხელე, რომელსაც შეუძლია აიღოს ქრთამი, მაგრამ ამას არ აკეთებს. აღწერეთ რესპონდენტის ან სხვა ხალხის შესაძლო რეაქცია;
11. გაავლეთ ზღვარი საჩუქარსა და ქრთამს, როგორც კორუფციის ფორმას შორის. ითხოვეთ საილუსტრაციო მაგალითის მოყვანა;
12. კორუფცია არის ფაქტი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის სოციალურ სტატუსს, ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფთან მიკუთვნების საკითხს; რესპონდენტმა უნდა დაასახელოს, მისი აზრით, საზოგადოების ყველაზე მეტად და ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული ჯგუფები;
13. დაასახელეთ სოციალური ინსტიტუტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სოციალური ჯგუფები, რომელთაც შეუძლიათ ითამაშონ არსებითი როლი კორუფციასთან ბრძოლის პროცესში. რესპონდენტმა უნდა გამოავლინოს ცოდნა

დასახელებული ორგანიზაციების როლისა კორუფციასთან ბრძოლის საქმეში, განსაზღვროს მათი საქმიანობა, რესპონდენტის უშუალო მონაწილეობა ამ საქმიანობაში, მისი ეფექტიანობა და მიუთითოს ეფექტიანობის ზრდის შესაძლებლობებზე;

14. გამოაელინეთ, იცნობს თუ არა რესპონდენტი კორუფციასთან ბრძოლის სპეციალურ პროგრამებს და მათ ეფექტიანობას;

15. რესპონდენტის ინფორმაცია კორუფციის ფაქტებზე, თუკი ოდესმე სმენია რესპონდენტს კორუფციის შესახებ უმაღლესი განათლების სისტემაში. მითითებული უნდა იქნას ფაქტები;

16. კორუფციის გავრცელების დონე: ა) განათლების სამინისტროში, ბ) უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციაში, გ) ადმინისტრაციის შუალედურ რგოლებში (ფაკულტეტები და დეკანები), დ) უშუალოდ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ურთიერთობაში;

17. განსაზღვრეთ კორუფციის გავრცელების დონე უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ადმინისტრაციებში: დაბალი, მაღალი და ა.შ. და უშუალოდ კორუფციაში ჩაბმულ ადამიანთა რაოდენობა;

18. რესპონდენტის აზრით, რამდენადაა გათვითცნობიერებული ადმინისტრაცია კორუფციის ფაქტების არსებობაში, ისინი თვალს ხუჭავენ ამაზე თუ უბრალოდ ადმინისტრაცია ინდიფერენტულია კორუფციის მიმართ?

19. აღწერეთ კორუფციის ფორმები უმაღლესი განათლების სისტემაში, კორუფციის რომელ ფორმასთან ჰქონია შეხება თავად რესპონდენტს ან თუ ყოფილა მოწმე?

20. კორუფციის გავლენა განათლების ხელმისაწვდომობაზე ან სწავლის საზღვარგარეთ გაგრძელებაზე (შესაბამისი მაგალითები, კორუფციის ფორმები, ხარისხი);

21. აღწერეთ კორუფციის მასშტაბები: კორუფციის გამო არაჯანსაღ სახეს ატარებს კონკურსი მისაღები გამოცდების დროს, სემესტრის ბოლოს სტუდენტის ობიექტური შეფასებისას, აქვეითებს კარგი ცოდნის მიღების სურვილს, კორუფცია ნეგატიურ გაელენას ახდენს მომავალი სპეციალისტების ხარისხზე;

22. კორუფცია არაა ისე ფართოდ გავრცელებული, რომ მან გავლენა მოახდინოს უმაღლესი განათლების სისტემაში სწავლების ხარისხზე;

23. დაახასიათეთ კორუფციასთან ბრძოლის პროცესი უმაღლესი განათლების სისტემაში, მისი ინიციატორები, მონაწილეები, ეფექტიანობის ხარისხი;

24. რესპონდენტებმა უნდა დაგვეხასიათონ, რამდენად აქტიურია უმაღლესი განათლების ინსტიტუტების მმართველობა, დეკანები და კათედრის გამგეები, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ანტიკორუფციულ საქმიანობაში;

25. მოსალოდნელი მოვლენები უმაღლესი განათლების სისტემის სრულყოფის პროცესში.

**მშობლებთან განსახილველი საკითხები:**

1. კორუფციის განსაზღვრება;

2. საზოგადოებაში კორუფციის გავრცელების მასშტაბები;

3. ყველაზე კორუმპირებული ორგანიზაციები, განსაზღვრეთ უმაღლესი განათლების სისტემის ადგილი მათ შორის;

4. კორუფცია საზოგადოებრივი ცხოვრების არსებითი ნაწილია საქართველოში;

5. კორუმპირებული ადამიანები ცალკეული ეგოცენტრული ინდივიდები არიან თუ საზოგადოების ტიპური წარმომადგენლები;

6. კორუფცია ფესვგადგმულია ერის კულტურაში, მაგრამ მისი აღმოფხვრა შესაძლებელია;

7. განსაზღვრეთ კორუფციის დონე დღევანდელ საქართველოში; შეადარეთ იგი წარსულ, სოციალიზმის პერიოდს;

8. კორუფციის მიზეზები, საზოგადოების როლი ამ პროცესში;

9. დაადგინეთ ზღვარი კორუფციას, როგორც გარდაუვალ სენსა (სიღარიბისგან გამოწვეულს) და ისეთ კორუფციას შორის, რომელიც არსებითად მავნეა და გამართლება არ მოეპოვება;

10. განსაზღვრეთ პიროვნების საქციელი, რომელიც არის სახელმწიფო მოხელე და შეუძლია აიღოს ქრთამი, მაგრამ არაა კორუმპირებული. აღწერეთ ხალხის რეაქცია;

11. კორუფცია არის ფაქტი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის სოციალურ სტატუსს, ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფთან მიკუთვნების საკითხს; აღწერეთ კორუფციის მასშტაბები სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში;

12. დაასახელეთ სოციალური ინსტიტუტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სოციალური ჯგუფები, რომელთა საქმიანობა ყველაზე ეფექტიანია კორუფციასთან ბრძოლის პროცესში;

13. დაასახელეთ ორგანიზაციები, რომლებიც სპეციალიზდებიან კორუფციასთან ბრძოლის საკითხებში; აღწერეთ მათი საქმიანობა, ეფექტიანობა, თქვენი მონაწილეობა, მათი ფუნქციონირების გაუმჯობესების შესაძლებლობები;

14. გამოავლინეთ, იცნობს თუ არა რესპონდენტი კორუფციასთან ბრძოლის სპეციალურ პროგრამებს და მათ ეფექტიანობას;

15. განიხილეთ რესპონდენტის ინფორმაცია უმაღლესი განათლების სისტემაში კორუფციის ფაქტების შესახებ. დაასახელეთ ინფორმაციის წყარო;

16. კორუფციის გავრცელების დონე: ა) განათლების სამინისტროში, ბ) უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციაში, გ) ადმინისტრაციების შუალედურ რგოლებში (დეკანები, ფაკულტეტები), დ) პროფესორ-მასწავლებელთა შორის;

17. დაასახელეთ კორუფციის ფაქტები ადმინისტრაციაში, პროფესორ-მასწავლებლებში, განსაზღვრეთ მასშტაბები: მცირე, დიდი და ა.შ.;

18. რესპონდენტის აზრით, უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციამ არაფერი იცის კორუფციის შესახებ, უგულებელყოფს მას თუ, პირიქით, თავადვე აძლევს სტიმულს?

19. აღწერეთ კორუფციის ფორმები უმაღლესი განათლების სისტემაში, კორუფციის რომელ ფორმასთან ჰქონია შეხება თავად რესპონდენტს ან ყოფილა მოწმე?

20. კორუფციის ინიციატორი (რესპონდენტი, ლექტორი, ფაკულტეტის, კათედრის თუ ადმინისტრაციის წარმომადგენელი). კორუფციას ადგილი ჰქონდა ზეწოლის, რჩევის თუ პირდაპირი მითითების შედეგად, ჰქონდა თუ არა ადგილი ფასებზე შეთანხმებისას ვაჭრობას; დაასახელეთ ქრთამის რაოდენობა და მისი სტაბილურობა;

21. რესპონდენტმა უარი თქვა შემოთავაზებულ ფასზე ან საერთოდ კორუფციაზე. აღწერეთ შედეგები;

22. რესპონდენტის შანსები, ყოფილიყო კორუფციის ინიციატორი. კორუფციის უარყოფა ეფუძნება მორალურ მიზეზებს, ქრთამის რაოდენობას, კორუმპირებული კავშირების დამყარების შეუძლებლობას ან მისი შედეგების შიშს;

23. რესპონდენტი განზრახ მოიქცა თუ ეს სპონტანური გადაწყვეტილება იყო? იცოდა თუ არა რესპონდენტმა, ვისთვის უნდა მიემართა მიზნის მისაღწევად და კორუმპირებული კავშირების დასამყარებლად? კორუფციის პროცესში შუამავლად გვევლინება ფაკულტეტის წარმომადგენელი, რესპონდენტის ნათესავი;

24. რესპონდენტს ეუხერხულება გარიგებაში პირადად მონაწილეობა (გამოცდილების ნაკლებობის, მორალური დისკომფორტის ან სხვა ნებისმიერი მიზეზის გამო). ქრთამის გადახდამ გავლენა მოახდინა რესპონდენტის ფინანსურ მდგომარეობაზე, აღწერეთ მისი ოჯახის ან იმ ჯგუფის რეაქცია, სადაც რესპონდენტის შვილი სწავლობს;

25. კორუფციაში გარევამ გავლენა მოახდინა სტუდენტის ურთიერთობებზე გარიგების მეორე მხარეს მდგომ ხალხთან;

26. ჩვეულებრივ, კორუფციის ფაქტები ცნობილი ხდება ყველასთვის, შემთხვევით ან უბრალოდ ეს ფაქტები საყოველთაოდ ცნობილია;

27. რესპონდენტის უახლოესი გარემოცვის რეაქცია კორუფციის ფაქტზე (ფაქტის გაგება-გააზრება, შეწყნარება, დაგმობა), თვით რესპონდენტის რეაქცია;

28. აღწერეთ რესპონდენტის რეაქცია, როცა ვინმე კორუმპირებული კლანების თაობაზე დაიჩივლებს;

29. კორუფციის გავლენა სტუდენტის არჩევანზე, შევიდეს ამა თუ იმ უნივერსიტეტში, ჩააბაროს მისაღები გამოცდები, აირჩიოს სპეციალობა, დასახოს მომავლის გეგმები (მაგალითად, ისწავლოს საზღვარგარეთ), რამდენად იცვლება მისი

გეგმები კორუფციის გამო. მაგალითის სახით მოყევით პატარა ამბავი მისაღები გამოცდებიდან;

30. განსაზღვრეთ ახალგაზრდის მომზადების საშუალო დონე უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას, იყვნენ თუ არა რეპეტიტორები მისაღები გამოცდების კომისიის წევრები? დაახასიათეთ რესპონდენტის მონაწილეობის ხარისხი კორუმპირებულ გარიგებაში უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციასთან;

31. ჩვეულებრივ, კორუფცია გავლენას ახდენს ახალგაზრდის შესაძლებლობაზე, განათლება მიიღოს ან სწავლა გააგრძელოს საზღვარგარეთ;

32. რესპონდენტის მიერ უმაღლეს სასწავლებლებში გავრცელებული კორუფციის დონის შეფასება. კორუფციის გამო მისაღები გამოცდების დროს დარღვეულია კონკურენციის პრინციპები, ცოდნა არაობიექტურად ფასდება უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დროს;

33. კორუფცია აქვეითებს სწავლის სტიმულს და ამგვარად ნეგატიურ გავლენას ახდენს მომავალი სპეციალისტების ხარისხზე. კორუფციას არ გააჩნია საზღვრები, რომლის ფარგლებშიც ის ახდენს გავლენას უმაღლესი განათლების სისტემაში სწავლების ხარისხზე. კორუფცია ნაწილობრივ აზიანებს სწავლების პროცესს ანდა, შესაძლოა, ის სასარგებლოა სწავლისთვის. ის ხელს უწყობს ძალების დაზოგვას და ნაკლებად მნიშვნელოვანი საგნების შესწავლის თავიდან აცილებას;

34. აღწერეთ კორუფციასთან ბრძოლის პროცესი იმ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც რესპონდენტთა შვილები სწავლობენ და რომლებიც კორუფციის ინიციატორები ან მონაწილეები არიან. შეაფასეთ ამ ბრძოლის ეფექტიანობა, რამდენად კარგადაა იგი ორგანიზებული და რამდენად სამართლიანია.

**სტუდენტებთან განსახილველი საკითხები:**

1. კორუფციის განსაზღვრება;

2. საზოგადოებაში კორუფციის გავრცელების მასშტაბები;

3. ყველაზე კორუმპირებული ორგანიზაციები, განსაზღვრეთ უმაღლესი განათლების სისტემის ადგილი მათ შორის;

4. კორუფცია საზოგადოებრივი ცხოვრების არსებითი ნაწილია საქართველოში;

5. კორუმპირებული ადამიანები ცალკეული ეგოცენტრული ინდივიდები არიან თუ საზოგადოების ტიპური წარმომადგენლები;

6. კორუფცია ფესვგადგმულია ერის კულტურაში, მაგრამ მისი აღმოფხვრა შესაძლებელია;

7. განსაზღვრეთ კორუფციის დონე დღევანდელ საქართველოში; შეადარეთ იგი წარსულ, სოციალიზმის პერიოდს;

8. კორუფციის მიზეზები, საზოგადოების როლი ამ პროცესში;

9. დაადგინეთ ზღვარი კორუფციას, როგორც გარდაუვალ სენსა (სიღარიბისგან გამოწვეულს) და ისეთ კორუფციას შორის, რომელიც არსებითად მავნეა და გამართლება არ მოეპოვება;

10. განსაზღვრეთ პიროვნების საქციელი, რომელიც არის სახელმწიფო მოხელე და შეუძლია აიღოს ქრთამი, მაგრამ არაა კორუმპირებული. აღწერეთ ხალხის რეაქცია;

11. კორუფცია არის ფაქტი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის სოციალურ სტატუსს, ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფთან მიკუთვნების საკითხს; აღწერეთ კორუფციის მასშტაბები სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში;

12. დაასახელეთ სოციალური ინსტიტუტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სოციალური ჯგუფები, რომელთა საქმიანობა ყველაზე ეფექტიანია კორუფციასთან ბრძოლის პროცესში;

13. დაასახელეთ ორგანიზაციები, რომლებიც სპეციალიზდებიან კორუფციასთან ბრძოლის საკითხებში; აღწერეთ მათი საქმიანობა, ეფექტიანობა, თქვენი მონაწილეობა, მათი ფუნქციონირების გაუმჯობესების შესაძლებლობები;

14. გამოავლინეთ, იცნობს თუ არა რესპონდენტი კორუფციასთან ბრძოლის სპეციალურ პროგრამებს და მათ ეფექტიანობას;

15. განიხილეთ რესპონდენტის ინფორმაცია უმაღლესი განათლების სისტემაში კორუფციის ფაქტების შესახებ. დაასახელეთ ინფორმაციის წყარო;

16. კორუფციის გავრცელების დონე: ა) განათლების სამინისტროში, ბ) უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციაში, გ) ადმინისტრაციების შუალედურ რგოლებში (დეკანები, ფაკულტეტები), დ) პროფესორ-მასწავლებელთა შორის;

17. დაასახელეთ კორუფციის ფაქტები ადმინისტრაციაში, პროფესორ-მასწავლებლებში, განსაზღვრეთ მასშტაბები: მცირე, დიდი და ა.შ.;

18. რესპონდენტის აზრით, უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციამ არაფერი იცის კორუფციის შესახებ, უგულებელყოფს მას თუ, პირიქით, თავადვე აძლევს სტიმულს?

19. აღწერეთ კორუფციის ფორმები უმაღლესი განათლების სისტემაში, კორუფციის რომელ ფორმასთან ჰქონია შეხება თავად რესპონდენტს ან ყოფილა მოწმე?

20. კორუფციის ინიციატორი (რესპონდენტი, ლექტორი, ფაკულტეტის, კათედრის თუ ადმინისტრაციის წარმომადგენელი). კორუფციას ადგილი ჰქონდა ზეწოლის, რჩევის თუ პირდაპირი მითითების შედეგად, ჰქონდა თუ არა ადგილი ფასებზე შეთანხმებისას ვაჭრობას; დაასახელეთ ქრთამის რაოდენობა და მისი სტაბილურობა;

21. რესპონდენტმა უარი თქვა შემოთავაზებულ ფასზე ან საერთოდ კორუფციაზე. აღწერეთ შედეგები;

22. რესპონდენტის შანსები, ყოფილიყო კორუფციის ინიციატორი. კორუფციის უარყოფა ეფუძნება მორალურ მიზეზებს, ქრთამის რაოდენობას, კორუმპირებული კავშირების დამყარების შეუძლებლობას ან მისი შედეგების შიშს;

23. რესპონდენტი განზრახ მოიქცა თუ ეს სპონტანური გადაწყვეტილება იყო? იცოდა თუ არა რესპონდენტმა, ვისთვის უნდა მიემართა მიზნის მისაღწევად და კორუმპირებული კავშირების დასამყარებლად? კორუფციის პროცესში შუამავლად გვევლინება ფაკულტეტის წარმომადგენელი, რესპონდენტის ნათესავი;

24. რესპონდენტს ეუხერხულება გარიგებაში პირადად მონაწილეობა (გამოცდილების ნაკლებობის, მორალური დისკომფორტის ან სხვა ნებისმიერი მიზეზის გამო). ქრთამის გადახდამ გავლენა მოახდინა რესპონდენტის ფინანსურ მდგომარეობაზე, აღწერეთ მისი ოჯახის ან იმ ჯგუფის რეაქცია, სადაც რესპონდენტი სწავლობს;

25. კორუფციაში გარევამ გავლენა მოახდინა სტუდენტის ურთიერთობებზე გარიგების მეორე მხარეს მდგომ ხალხთან;

26. ჩვეულებრივ, კორუფციის ფაქტები ცნობილი ხდება ყველასთვის, შემთხვევით ან უბრალოდ ეს ფაქტები საყოველთაოდ ცნობილია;

27. რესპონდენტის უახლოესი გარემოცვის რეაქცია კორუფციის ფაქტზე (ფაქტის გაგება-გააზრება, შეწყნარება, დაგმობა), თვით რესპონდენტის რეაქცია;

28. აღწერეთ რესპონდენტის რეაქცია, როცა ვინმე კორუმპირებული კლანების თაობაზე დაიჩივლებს;

29. კორუფციის გავლენა სტუდენტის არჩევანზე, შევიდეს ამა თუ იმ უნივერსიტეტში, ჩააბაროს მისაღები გამოცდები, აირჩიოს სპეციალობა, დასახოს მომავლის გეგმები (მაგალითად, ისწავლოს საზღვარგარეთ), რამდენად იცვლება მისი გეგმები კორუფციის გამო. მაგალითის სახით მოყევით პატარა ამბავი მისაღები გამოცდებიდან;

30. განსაზღვრეთ ახალგაზრდის მომზადების საშუალო დონე უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას, იყვნენ თუ არა რეპეტიტორები მისაღები გამოცდების კომისიის წევრები? დაახასიათეთ რესპონდენტის მონაწილეობის ხარისხი კორუმპირებულ გარიგებაში უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციასთან;

31. ჩვეულებრივ, კორუფცია გავლენას ახდენს ახალგაზრდის შესაძლებლობაზე, განათლება მიიღოს ან სწავლა გააგრძელოს საზღვარგარეთ;

32. რესპონდენტის მიერ უმაღლეს სასწავლებლებში გავრცელებული კორუფციის დონის შეფასება. კორუფციის გამო მისაღები გამოცდების დროს დარღვეულია კონკურენციის პრინციპები, ცოდნა არაობიექტურად ფასდება უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დროს;

33. კორუფცია აქვეითებს სწავლის სტიმულს და ამგვარად ნეგატიურ გავლენას ახდენს მომავალი სპეციალისტების ხარისხზე. კორუფციას არ გააჩნია საზღვრები, რომლის ფარგლებშიც ის ახდენს გავლენას უმაღლესი განათლების სისტემაში სწავლების ხარისხზე. კორუფცია ნაწილობრივ აზიანებს სწავლების პროცესს ანდა, შესაძლოა, ის სასარგებლოა სწავლისთვის. ის ხელს უწყობს ძალების დაზოგვას და ნაკლებად მნიშვნელოვანი საგნების შესწავლის თავიდან აცილებას;

34. აღწერეთ კორუფციასთან ბრძოლის პროცესი იმ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც რესპონდენტები სწავლობენ და რომლებიც კორუფციის ინიციატორები ან მონაწილეები არიან. შეაფასეთ ამ ბრძოლის ეფექტიანობა, რამდენად კარგადაა იგი ორგანიზებული და რამდენად სამართლიანია.

# დანართი 8

## საერთაშორისო გამოცდილება

კენიაში სამართალდამცავებმა დააპატიმრეს განათლების სამინისტროს 21 თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობდა დიპლომების გაყიდვაში.

იაპონიაში ქვეყნის ერთ-ერთი მინისტრის მოადგილემ საჯაროდ აღიარა, რომ მან გამოიყენა თავისი პოლიტიკური გავლენა და დაეხმარა მისი ერთ-ერთი მხარდამჭერის შვილიშვილს, მოხვედრილიყო ტოკიოს სამედიცინო უნივერსიტეტში, რის შემდეგაც იგი იძულებული გახდა, დაეტოვებინა თანამდებობა.

ინგლისური გაზეთის, *სანდი თაიმსის* თანამშრომელს, რომელმაც თავი გაასაღა მდიდარ ბანკირად, შესთავაზეს 480 000 აშშ დოლარის გადახდა შვილის ჩასარიცხად ოქსფორდის უნივერსიტეტის ერთ-ერთ კოლეჯში.

ბევრი ამერიკელი მკვლევარი ფიქრობს, რომ ამერიკის კოლეჯებს არ ძალუძთ, აღუდგნენ სტუდენტების მიერ ინტერნეტის საშუალებით საკურსო ნაშრომების ყიდვის პრაქტიკას (წყარო: Chronicle of Higher Education, 8/2/2002, Vol. 48 Issue 47, pA32,1).

# ბიბლიოგრაფია

## წყაროები:

### საერთაშორისო დოკუმენტები

International Covenant on Economic, Social and Cultural Rights. UN General Assembly. Resolution 2200A (XXI) of 16 December 1966 *Entry into force* 3 January 1976, in accordance with article 27. p. 4. www.uhchr.ch/html/menu3/b/a_cescr.htm;

The European Higher Education Area. Joint declaration of the European Ministers of Education Convened in Bologna on the 19th of June 1999 p.1-2. http://www.unige.ch/cre/activities/Bologna%20Forum/Bologne1999/bologna%20decl... 11.04.2003;

Lisbon Convention on the Recognition of Qualifications Concerning Higher Education in the European Region , Lisbon, 1997; http://www.cepes.ro/information_services/sources/on_line/lisbon.htm;

Communiqué of the meeting of European Ministers in charge of Higher Education in Prague on May 19th 2001. p.1-2. http://www.aic.lv/ace/bologna/bol_prg/pragcom.html 11.04.2003;

### საქართველოს სახელმწიფო დოკუმენტები

კანონი განათლების შესახებ, საქართველო, 1997 წლის 27 ივნისი, თბილისი 1997;

საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებები, თბილისი, 2002;

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (პროექტი), თბილისი, 2004, www.mes.gov.ge;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი, 2003;

საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს №316 ბრძანებულება. http://www.acnet.ge./news/new_debs/deb_instr_xar.html);

საქართველოს კონტროლის პალატის ანგარიში განათლების სამინისტროს ფინანსური საქმიანობის აუდიტის შესახებ 04.15. 2002.;

საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენებითი ბარათი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური საქმიანობის შესახებ, 01.05. 2002;

### სტატისტიკური გამოცემები

საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2000;

საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2003;

Народное Хозяйство СССР 1990, Статистический Ежегодник, Москва, 1991;

UNESCO. (2000). Statistical Yearbook 2000. Paris: UNESCO.

## ანგარიშები, წესდებები

სამეცნიერო მუშაობის ანგარიში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2001 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2003;

სამეცნიერო მუშაობის ანგარიში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2000 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2002;

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება, თბილისი, 2001;

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება, თბილისი, 1998;

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული კავშირის წესდება, თბილისი, 1998;

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნორმატიული დოკუმენტების კრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2003.

## ლიტერატურა

### არასამთავრობო ორგანიზაციების მოხსენებები და ანგარიშები

განათლების სამინისტროს, ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს საგზაო ფონდის მიერ 2001 წელს გაწეული ხარჯების სამოქალაქო მონიტორინგის შედეგები. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, თბილისი, 2002;

იოჰან ლორენცენი, „საქართველო: განათლების სექტორის შესწავლა, უმაღლესი განათლების სისტემა", ანგარიში, კოპენჰაგენის ბიზნესსკოლა, 2000;

უმაღლესი განათლების სისტემა (აშშ, გერმანია, საქართველო, უნგრეთი, ყაზახეთი) მიმოხილვა. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, თბილისი, 2002;

Corruption in Georgia: Survey Evidence". A Report Prepared by The World Bank Based on a Survey

Conducted by Georgian Opinion Research Bureau International with Funding from the World Bank and USAID and With The Collaboration and Support of The Government of Georgia. "Poverty Reduction and Economic Management Department Europe and Central Asia Region". June 2000;

UNESCO. Higher Education in the Twenty-First Century. Paris: UNESCO. World Beat. [International]. (2002, May 3). Chronicle of Higher Education, p. A41;

## ცალკეული ნაშრომები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციოლოგიის კათედრა, "უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმისა და მისი შედეგების შესახებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში", თბილისი, 2000;

გურგენიძე, ნ. "ანტიკორუფციული საქმიანობის შესახებ საქართველოში." თბილისი., 2001;

კუპატაძე, თ. "შეფასების სისტემა", თბილისი, 2001;

მაჩაბელი, ი. "საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაცია" თბილისი, 2001;

თევზაძე გ. "საქართველოს განათლების სისტემაში აუცილებელი ანტიკორუფციული მოქმედებების შესახებ", თბილისი, 2000;

სამადაშვილი, ა. "სწავლების ხარისხი." თბილისი, 2001.;

ღლონტი, ლ. "უმაღლესი განათლება და შრომითი ბაზარი საქართველოში." თბილისი, 2001;

Boswell, N., "Crackdown on Corruption", Legal Times, August 24, 1998;.

Boswell, N., "New Tools Fight Corruption", Economic Reform Today, Volume 2, 1998;.

Coleman, J. W., "Toward an Integrated Theory of White-Collar Crime", *American Journal of Sociology*, 93:2, September. 1987;

*Corruption, Declining of the Society and the State*. Materials of Conference, 2002. (Moscow Center of TraCCC);

Della Porta, D., & A. Vannucci, *Corrupt Exchanges: Actors, Resources, and Mechanisms of Political Corruption*, Aldine de Gruyter, 1999;

Della Porta, D., *Social Movements: An Introduction*, Blackwell, 1999;

Heimann F. & Boswell, N. "New Perspectives on Combating Corruption," World Bank, 1998;

Klitgaard R., *Elitism and Meritocracy in Developing Countries*, Johns Hopkins University Press, 1986;

Klitgaard R., *Choosing Elites*, Basic Books, 1985;

Kostiukovski, J. (2002). *Organized Crime in Russia*. St. Petersburg;

Melikidze V. Role of the Formal Decision Making in Emerging of the "New Corruption" in a School Education in Transitional Societies (case of Georgia);

Rose-Ackerman S., Corruption and Government: Causes, Consequences, and Reform, Cambridge University Press, 1999;

Shelley, L., "Crime and Corruption: Developments in Russian Politics", *Developments in Russian Politics*, in Stephen White, Alex Pravda and Zvi Gitelman, eds, Palgrave, 2001.

## პერიოდული გამოცემები

კახნიაშვილი ა., "კორუფცია საქართველოს უნივერსიტეტებში", ნაწილი I-II, "რეზონანსი", 22-24 ივლისი, 2000;

ქრისტოფერ ჯინ ფოიხი, საქართველო: საათი გამაღლებით რეკავს, განათლებას კორუფცია ჭამს, რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლება, უმაღლესი განათლების ქრონიკა,8/2/2002,http://www.rferl.org mak;

MacWilliams, B. (2002, August 2). In Georgia, Professors Hand Out Price Lists. *Chronicle of Higher Education*, p. A34;

Corruption Plagues Academe Around the World. [International]. (2002, August 2). *Chronicle of Higher Education*, p. A32;

Dell Castillo, D., & Xueqin, J. (2001, September 14). International Notes. *Chronicle of Higher Education*, A51;

MacWilliams, B. (2001, December 14). Corruption, Conflict, and Budget Cuts Afflict Academe in Former Soviet Republics. *Chronicle of Higher Education*, p. A43;

In Colombia, Decades of Graft Cripple a University. [International]. (2002, August 2). *Chronicle of Higher Education*, p. A32;

Johnston, M., "Corruption and Development: Threats to Development, Opportunities for Reform", Revue Tiers Monde (Paris) No. 161, January-March 2000;

Shelley, L., "The Political-Criminal Nexus: Russian-Ukrainian Case Studies," *Trends in Organized Crime*, Spring 1999, Vol. 4, No. 3;

Shelley, L., "Organized Crime and Corruption in Ukraine: Impediment to the Development of a Free Market Economy", *Demokratizatsiya*, Fall 1998, Vol. 6, no.4;

Fruman, N. (1991). A Cautionary Tale. *College Teaching, 39* (4), 145-149;

Kendall, M. E. (1991). [The Hollow Men] Aint it Awful? *College Teaching, 39* (4), 145-147;

Tomusk, V. (2000). Reproduction of the State Nobility in Eastern Europe: Past Patterns and New Practices. *British Journal of Sociology of Education*, 21(2), 269-283;

Toledano, R. (2003, January 21). NEA Hastens Death of American Education. Insight on the News. 19 (3) p.56;

World Beat, (2002, May 3). Chronicle of Higher Education, 48 (34), p. A41;

Government Plan to Abandon National Exam Lauded. (2001, December 14). Jakarta Post;

Dowling, W. C. (2001, Fall) Big-Time Sports as Academic Prostitution. Academic Questions, 14 (4), 82-9;

MacWilliams, B. (2001, April 20). Russia to Try Standardized Exam. Chronicle of Higher Education, p. A62;

MacWilliams, B. (1999, July 16). Diplomas For Sale on Moscow's Streets. Chronicle of Higher Education, p. 43-45;

On Line, (1999, June 4). Chronicle of Higher Education, 45 ( 39);

Cohen, C. (1998, Summer). The Corruption That Is Group Preference, Academic Questions, 11( 3). 14-22;

Nwagwu C. C., (1997, March). The Environment of Crises in the Nigerian Education System. Comparative Education, 33 ( 1), 87-96;

Kekes J. (1996, October). Academic Corruption, Monist, 79 (4), 564-573;

Kumar, S. (1993, February 27). India: Curbs on Private Medical Colleges. Lancet, 341 (8844), p. 549;

Roche G. (1992, September). The Government is Corrupting Our Colleges. USA Today Magazine, 121 (2568), 76-79;

Chalberg, J. C. (1991, Summer). Book Reviews. Academic Questions, 4 (3), 91-95;

New Materials (1991 May). Education Digest, 56 ( 9), 68-70;

Hart, J. (1990 October 15). A Report From The Front. National Review, 42 (20), 72-74.

ქეთევან როსტიაშვილი

# კორუფციის პრობლემები საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

ამერიკის უნივერსიტეტის
ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევითი ცენტრის
საქართველოს ოფისი, ფონდი STARR და IREX

თბილისი
2004